

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675 / 3
1988 / 2

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

113

3 . 1988

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ქურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

3. 1988

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბუაჩიძე, გ. თევზაძე, ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი,
ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე),
პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Джioев О. И. (зам. редактора), Кешелав В. В.,
Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С.,
Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1988, № 3.

რ ე დ ა კ ტ ი ო ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46 телефон

ვადეცა წარმოებას 7.06.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.9.88; შუკვ. № 1926
ანაწყოების ზომა 7×12; ქალაქის ზომა 7×108¹/₂; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,80;
პირ. სალ. გატარება 10, 15; სააღრიცხვო-სავაჭრომეცლო თაბახი 7,87;
ტირაჟი 1500

ფასი 85 კაპ.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*
საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

უიწსარსი

ფილოსოფია

ც. ხინთიბიძე, ზელოვნების უოფიერებითი სტატუსი პ. მარკუზეს ფილოსოფიაში	5
თ. წირეთელი, რასელ-ეინშტეინის მანიფესტი	21
მ. ცუცქერიძე, პედაგოგიური მორალის საფუძვლები	35
ა. მღვივანი, ლანდშაფტის ესთეტიკის პრობლემები რეკრიაციაში	47
ა. ალექსიძე, პროკლე და იოანე პეტრიწი: „უოველი უოველსა შორის“	52

ფსიქოლოგია

შ. ნადირაშვილი, კარლ როჯერის საქართველოში	59
ტ. როჯერსი, საბჭოთა სპეციალისტების სამუაროში	64
ი. იმედაძე, ნებისუოფის პრობლემის დასმისათვის — ენერგეტიკული პარადიგმა	78
ჯ. კუპრაშვილი, სივრცითი კონსტრუირების უნარისა და ფიქსირებული განწყობის ურთი- ერთობისათვის	80

ახალი თარგმანები

ფ. ნიცში, ესე იტყოდა ზარატუსტრა	107
---------------------------------	-----

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

Ц. Ч. ХИНТИБИДЗЕ, Бытийственный статус искусства в философии Г. Маркузе	5
Т. Ш. ЦЕРЕТЕЛИ, Манифест Рассела—Эйнштейна	21
М. А. ЦУЦКИРИДЗЕ, Основы педагогической морали	35
А. Р. МДИВАНИ, Проблемы эстетики ландшафта в рекреации	47
Л. З. АЛЕКСИДЗЕ, Прокл и Иоанн Петрици: «все есть во всем»	52

ПСИХОЛОГИЯ

Ш. А. НАДИРАШВИЛИ, Карл Роджерс в Грузии	59
К. Р. РОДЖЕРС, В мире советских специалистов	64
И. В. ИМЕДАДЗЕ, К постановке проблемы воли — энергетическая парадигма	78
Д. Т. КУПРАШВИЛИ, К взаимоотношению способности пространственного конструирования и фиксированной установки	90

НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Ф. НИЦШЕ, Так говорил Заратустра	107
--	-----

ფილოსოფია

ცილა ხინთიბიძე

ხელოვნების ყოფიერებითი სტატუსი ჰ. მარკუზეს ფილოსოფიაში

XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიმართულებათა შორის ფრანკფურტის სოციალური ფილოსოფიის სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. თუმცა იგი ჩვენი საუკუნის 30—60-იან წლებს განეკუთვნება და როგორც ცალკე სკოლა უკვე ისტორიულ ფაქტად იქცა, ამ მიმართულების წარმომადგენელთა მიერ დასმული პრობლემებისა და იდეების დღევანდელი ანალიზი მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობისადმი რეტროსპექტული ინტერესებით არ შემოიფარგლება; მათ მიერ პრობლემათა დაყენება და გადაწყვეტა თანამედროვე დასავლეთის მხატვრული ცხოვრების რიგი ასპექტის გასარკვევად უდავოდ ღირებულია.

მარქსისტულ ლიტერატურაში ფრანკფურტის სოციალური ფილოსოფიის სკოლის კრიტიკის სოლიდური ტრადიცია არსებობს, რაც იმ გარემოებითაა განსაზღვრული, რომ ამ სკოლის თეორეტიკოსები თავისებური, საბჭოთა მარქსიზმის საპირისპირო, მარქსიზმის სახელით გამოდიოდნენ და, მისი შესატყვისი მოდელის საფუძველზე ცდილობდნენ დასავლეთის საზოგადოების კრიტიკას.

ფრანკფურტის სოციალური ფილოსოფიის სკოლა ერთგვაროვანი არაა; თავისი არსებობის მანძილზე, სხვადასხვა პერიოდში მან მნიშვნელოვან ტრანსფორმაცია განიცადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუძემდებლების მ. ჰორკჰაიმერისა და თ. ადორნოს მიერ „კრიტიკული თეორიის“ ჩამოყალიბების პერიოდი, რომელიც ამ სკოლს ამერიკულ პერიოდს (1939—1945 წწ.) ემთხვევა და რომლის დროს შეიქმნა ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებმაც ამ სკოლას აღიარება მოუპოვა.

წინამდებარე სტატიის მიზანია ხელოვნების ყოფიერებითი სტატუსის შესახებ ფრანკფურტის სოციალური ფილოსოფიის სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ჰერბერტ მარკუზეს შეხედულებათა ანალიზი.

ჰ. მარკუზე (1898—1979) ფრანკფურტის სკოლის ერთ-ერთი გავლენიანი და პოპულარული წარმომადგენელია. მისმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ფრანკფურტის სკოლის განვითარება. მას, ამავე სკოლის სხვა წარმომადგენლებთან — მ. ჰორკჰაიმერთან, თ. ადორნოსთან, ე. ფრომთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის დასავლეთში სოციალურ ფილოსოფიის განვითარების საქმეში. მისი საკუთარი თეორია ჰორკჰაიმერისა და განსაკუთრებით თ. ადორნოს პრინციპების შემდგომი განვითარება დასავლეთის ცივილიზაციის კონკრეტული აქტუალური პრობლემების შესაბამისად.

5
1883

მარკუზე
სა. ს. ხინთიბიძე

უნდა აღინიშნოს, რომ მარკუზეს სოციალური ფილოსოფია ეკლექტიკური ხასიათისაა. იგი ჰეგელის, მარქსის, ფროიდის, ნიცშესა და მ. ვებერის, ჰაიდეგერისა და ჰუსერლის ფილოსოფიური სისტემების გამოყენებით ცდილობს თავისი ორიგინალური თეორიის შექმნას, რომლის მიზანი XX ს. II ნახევრის სოციალური მოძრაობის მიმართულების გაგება და წარმართვაა. ამ მიზანს იგი პერიოდულად, მაგრამ ძალზე მოკლე დროით აღწევს კიდევ (მაგ., 60-იანი წლების სტუდენტურ მოძრაობაზე მისი გავლენა), თუმცა შედეგი მისი სურვილის საპირისპირო გამოდის ხოლმე.

მარკუზე უარყოფს ტრადიციულ ფილოსოფიას. მისი აზრით, იმის მაგივრად, რომ ფილოსოფიის ნაშედეგი საგანი — ადამიანი — ეკვლიათ, ფილოსოფოსები ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური საკითხებით, ღმერთის, კოსმოსის, სამყაროს, მატერიალური თუ სულიერი ბუნების შესახებ მსჯელობებით იყვნენ დაკავებულნი. ამიტომ ადამიანის პრობლემა ფაქტობრივად უგულვებელყოფილი იყო. უკეთეს შემთხვევაში ფილოსოფიურ სისტემებში ადამიანი უმთავრესად გაგებული იყო ხან გნოსეოლოგიურ, ხან ეთიკურ, ხან ესთეტიკურ სუბიექტად, ხოლო კემპარიტად ადამიანური არსის პრობლემა კვლევის გარეშე აღმოჩნდა. ამრიგად, მარკუზეს სოციალური ფილოსოფიის მთავარი საკითხი ადამიანის პრობლემაა.

მარკუზე დასავლეთის მარქსიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი გახდა ლუკაჩისა და კორშის შემდეგ, რომელთა გავლენაც მან განიცადა. მას სურს მარქსიზმი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის მისაღები გახადოს, ცდილობს მარქსიზმისა და ჰაიდეგერის ეგზისტენციალიზმის შეერთებას. ამისათვის იგი პირველ რიგში, მარქსის „1844 წლის ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებს“ მიმართავს და მოითხოვს მარქსიზმის ძირითადი კატეგორიების გადასინჯვას „ხელნაწერების“ მიხედვით. მარკუზეს ფილოსოფიაზე დიდ გავლენას ახდენს ფსიქოანალიზი, რომელთანაც შეხვედრა მისი ამერიკაში ემიგრაციისას მოხდა.

როგორც ჩანს, ამერიკული კულტურის გაცნობამ მარკუზეს უბიძგა შეექმნა „ეროსი და ცივილიზაცია“, რომელშიც პირველად ჩამოაყალიბა თავისი კონცეფტია ხელოვნებაზე.

„ეროსი და ცივილიზაცია“ პირველად 1956 წელს გამოვიდა ბოსტონში. ამ ნაწარმოებმა ავტორის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი. მისი გამოქვეყნების შემდეგ, რასაც ასევე გახმაურებული ნაწარმოებები „ერთვანზომილებიანი ადამიანი“ (1964) და „ესე განთავისუფლებაზე“ (1969) მოჰყვა მარკუზემ თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი და რადიკალური კრიტიკოსის სახელი მოიხვეჭა.

„ეროსსა და ცივილიზაციაში“ მარკუზე ცდილობს ფროიდის ფსიქოანალიზური თეორიის ფილოსოფიური გააზრების საშუალებით კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიის საკუთარი ინტერპრეტაციის მოცემას. იგი ფროიდის თეორიიდან ამოდის პროგრესის წარმოშობისა და განვითარების გაგებაში. აქ კი უმთავრესად ინსტინქტების თეორიას ეყრდნობა და ამ თეორიის თავისებური გააზრებით ცდილობს არა მარტო თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების კრიტიკული ანალიზი მოგვეცეს, არამედ თეორიულად მომავალი საზოგადოების პერსპექტივებიც დასახოს.

მარკუზეს ამოსავალს ადამიანის არსის ფროიდისეული გაგება წარმოადგენს. ადამიანური ყოფიერების სტრუქტურაში მასთან გადაწყვეტი მიწი-

ენელობა ენიჭებათ ნამდვილ ადამიანურ არსობრივ ძალებს — პირველად ინსტინქტებს. სწორედ ამ პირველადი ინსტინქტების (სიამოვნების ინსტინქტი) დათრგუნვაა საზოგადოების განვითარების გზა. მარკუზე ადასტურებს, რომ ბუნებაზე გაბატონება, პროდუქტიულობის ზრდა, ადამიანის საჭიროებათა დაკმაყოფილება — ეს ცივილიზაციის ნაყოფია, რომელიც სიამოვნების ინსტინქტის სუბლიმაციის გზით, შრომით მიიღწევა. თუმცა, დასძენს იგი, „მზარდი პროგრესი დაკავშირებულია მზარდ არათავისუფლებასთან“, რომლის ცხადი მაგალითია თანამედროვე ცივილიზაცია, სადაც ჩაგვრას უკიდურეს ფორმები აქვს მიღებული, სადაც ძლიერდება საზოგადოების უფლება პიროვნებაზე და მის „ხარჯზე“. მაგრამ თუ ფროიდს არსებული ვითარება ცივილიზაციის არსებობისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნდა, თუ იგი თვლიდა, რომ ადამიანური ინსტინქტების დათრგუნვის „გარეშე“ ცივილიზაცია შეუძლებელია, მარკუზე სწორედ არარეპრესიული ცივილიზაციის არსებობის შესაძლებლობას ამტკიცებს; მისთვის მთავარია მოინახოს გზა, ვაამართლოს და დაასაბუთოს დებულება, რომ ცივილიზაციას რეპრესიისაგან განთავისუფლების შემდეგაც შეუძლია იარსებოს.

მარკუზეს არა აქვს რაიმე გარკვეული სურათი იმ საზოგადოებისა, რომელიც ბუტყუაზიული რეპრესიული კულტურის იქით გაგვიყვანს; იგი ვერ მიუთითებს გზას, მან მხოლოდ ის იცის, რომ არსებულ პირობებში ადამიანური არსებობა შეუძლებელია. მარკუზეს აზრით, ყველაზე რეალური გზა, რომელსაც ახალი რეალობისაკენ მივყავართ, არის წარმოსახვის, ფანტაზიის ძალა, რომელიც ყველაზე უფრო უგულვებელყოფილია არსებული კულტურული ღირებულებების მიერ. რეალობისაგან თავისუფლებას მხოლოდ წარმოსახვა ინარჩუნებს. რეალობის პრინციპი არასასიამოვნოა, მაგრამ სასარგებლო, ხოლო ფანტაზია, რომელიც სიამოვნებას ინარჩუნებს — უსარგებლო. მარკუზეს მიაჩნია, რომ ფანტაზიის მოთხოვნები შეიძლება გადაიქცნენ რეალობად, რომ ისინი ცოდნას იძლევიან, თუმცა რეალობის პრინციპის თვალსაზრისით უტოპიური არიან.

ცოდნას ფანტაზია ხელოვნების ნაწარმოების საშუალებით იძლევა, საქმე ისაა, რომ ფანტაზიის ჭეშმარიტებებს დამაჯერებლობისათვის გაფორმება, ფორმა სჭირდებათ, რაც ხელოვნების ნაწარმოებში რეალიზდება. ხელოვნების ნაწარმოებს, მარკუზეს აზრით, შეუძლია ისეთი სინამდვილე ააგოს, რომელიც გონებამ დაანგრია; კერძოდ, ჰარმონიაში მოიყვანოს რეალობის ყველა ის წინააღმდეგობები, რომლებიც რეალობას ანტაგონისტურს ხდიან: ფანტაზია ჭეშმარიტია იქ, სადაც იგი თავისუფლებაზე, არქაული ჰარმონიის დაბრუნებაზე მიგვიანიშნებს; ეს კი ხელოვნების ნაწარმოებში არათავისუფლებას უარყოფით მიიღწევა და მისი ჭეშმარიტება თავისუფლების წარმოღვევნის ხარისხით იზომება, ე. ი., იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც ესთეტიკური ფენომენი: ამრიგად, ხელოვნება წარმოებულური პრინციპით მართულ რეალობას ეწინააღმდეგება. მარკუზე აქ აღორნოს იმ აზრს იზიარებს, რომ ნამდვილი ხელოვნება — ეს მხოლოდ არათავისუფლების დამნახველი ხელოვნებაა. ესე იგი, ხელოვნებამ უნდა უარყოს არათავისუფლება.

მარკუზე ამტკიცებს, რომ ხელოვნების ნაწარმოებში ამ შინაარსმა ესთეტიკური ფორმა უნდა მიიღოს: „არათავისუფლება ხელოვნების ნაწარმოებებში წარმოდგენილი უნდა იყოს რეალობის გამოჩენით (show, schein); ამ გამო-

ჩინების ელემენტი აუცილებლად იქვემდებარებს წარმოდგენილ რეალობას ესთეტიკურ სტანდარტად და ამგვარად იცავს მას ერთფეროვნებისაგან. უფრო მეტიც, ხელოვნების ნაწარმოების ფორმა ტვირთავს შინაარსს სიამოვნების ელემენტებით. სტილი, რიტმი, მეტრი გვიხსნის ესთეტიკურ წესრიგს, რომელიც თავისთავად სასიამოვნოა, იგი ეთანხმება შინაარსს“ [5, გვ. 131]. როგორი ტრაგიკულიც არ უნდა იყოს ნაწარმოები, ესთეტიკური თვისებების გამო იგი სასიამოვნოა. აქ მარკუზე არისტოტელეს კათარზისის თეორიას იხსენებს, თუმცა მას ცალმხრივად მიიჩნევს. მისი აზრით, ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც რეალობის ტრანსცენდირებას წარმოადგენს და სუბლიმაციის საშუალებით ხორციელდება, უმჯველია შეიცავს კათარზისს. „არისტოტელეს აზრი ხელოვნების კათარზისული ეფექტის შესახებ, — ამბობს მარკუზე, — კვეცავს ხელოვნების ორმაგ ფუნქციას: ორივე წინააღმდეგობა და შერჩევა, ორივე, ბრალდება და შეწყნარება, ორივე, რეპრესირებულის გახსენება და მისი ხელახალი რეპრესია — „განწმენდილია“ [5, გვ. 181]. კათარზისის ცნებაში მარკუზე ორ ფუნქციას გამოყოფს და აღნიშნავს რომ „კათარზისი“ თანაგრძნობასთან ერთად ბრალდებაცაა და წინააღმდეგობაც.

მარკუზე მიუთითებს, რომ მართალია ხელოვნება ყოველთვის იყო წინააღმდეგობა, რამდენადაც რეპრესირებულ თავისუფლებას უჩვენებდა, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე, მწარმოებლური პრინციპის უკიდურესი ფორმის გამო, ხელოვნებაში აქამდე არსებული ოპოზიცია მას ეფექტურად უკვე აღარ მიაჩნია. მისი აზრით, ამ ოპოზიციამ სიცოცხლისუნარიანობა დაკარგა, იგი რადიკალურ ძალას აღარ წარმოადგენს. მარკუზე თვლის, რომ ხელოვნება თავის კეშმარტ არსს იქ შეინარჩუნებს, სადაც თავის ტრადიციულ ფორმებს დაარღვევს და რადიკალურ ძალად გადაიქცევა რეპრესირებული თავისუფლების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში (ასეთ ძალას ის თანამედროვე ავანგარდისტულ ხელოვნებაში ხედავს). წინააღმდეგ შემთხვევაში კი ხელოვნება უარყოფით ძალად იქცევა საზოგადოებაში, ვინაიდან იგი ძლიერ შეეგუა ამ უკანასკნელის დამორტყვუნებლ ხსიათს.

მარკუზეს მიაჩნია, რომ ფანტაზია ოპოზიცია მარტო ხელოვნებაში კი არ არის, არამედ მისი ნაკლებადსუბლიმირებული ფორმები — ოცნება, შიში, თამაში, ცნობიერების ნაკადი და ა. შ. — ასევე ოპოზიციაა რეალობის მიმართ; მას რეალობაში, ემპირიულ სინამდვილეში აქვს ადგილი.

როგორც აღვნიშნეთ, მარკუზესათვის ფროიდის ფსიქოანალიზი ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს საკუთარი კონცეფციის შესაქმნელად, თუმცა რეალობის პრინციპში ფანტაზიის როლის შესახებ იგი მის ყველა დებულებას არ იზიარებს. მარკუზეს ფროიდის შეცდომად პირველ რიგში ის მიაჩნია, რომ იგი ცივილიზაციის ისტორიულ ფორმას მის ბუნებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ მართალია ის სახე (image), რომელსაც ფანტაზია მართავს, უნივერსალურია, ინდივიდუალის პრინციპზე მაღლა დგას, დაკარგულ მთლიანობას შეიცავს, მაგრამ ცივილიზაცია სწორედ ამ მთლიანობის რღვევითა და რეალობის პრინციპის დამკვიდრებით შეიქმნა. ხოლო ეს სახე (image) კი არა-ცნობიერში დარჩა და ფანტაზიის ფუნქციობაც ამავე სფეროთი შემოიფარგლა, რითაც იგი უბრალოდ ოცნებად წარმოსდგა. ესე იგი, მარკუზე არ იზიარებს ფროიდის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ფანტაზია ცივილიზაციის არც ერთ საფეხურზე მნიშვნელობას არ იცვლის.

მარკუზე ცდილობს დაასაბუთოს თეზისი, რომ ცივილიზაციის განსხვავებული ფორმა სხვა რეალობის პრინციპის ქვეშ შესაძლებელია, რომ ფანტაზიის ეს ძალუძს, რომ მისი სახეები (images) არა მარტო წარსულს მიმართავენ, არამედ მომავალსაც, და უფრო მეტად მომავალს, ვიდრე წარსულს. მომავლისაკენ ფანტაზიის მიმართვის შესაძლებლობის დასაბუთება მარკუზესთვის მთავარი, დასაბუთება იმისა, რასაც ფროიდი უბრალოდ უტოპიად თვლიდა. აქ კი მარკუზე იუნგს მიმართავს, იზიარებს რა წარმოსახვის შესახებ მის შეხედულებას. იუნგი წარმოსახვას ცნობიერ თვისებებს მიაწერს და მას შემოქმედებითი აქტივობის ყველაზე მძლავრ ძალად მიიჩნევს. არ გამოყოფს რა წარმოსახვას გონების სხვა ფუნქციებიდან. წარმოსახვა, იუნგის აზრით, ამთლიანებს ყოველგვარ გონებრივ წინააღმდეგობას. აქ მარკუზესათვის ყველაზე მნიშვნელოვანია იუნგის მიერ წარმოსახვის გამაერთიანებელ ძალად მიჩნევა, რითაც ხიდი იდება დაპირისპირებულთა — სუბიექტსა და ობიექტს, წარსულსა და მომავალს და ა. შ. — შორის.

მომავლის წარმოსახვის შესაძლებლობის ფაქტოლოგიური დასაბუთებისთვის მარკუზე სიურრეალიზმს მიმართავს, რომელიც თავისუფლებასა და ბედნიერებას მომავალში ეძებს. აქ მას მოაქვს სიურრეალიზმის მამამთავრის ა. ბრეტონის, სიტყვები: „...მხოლოდ წარმოსახვა მეუბნება მე რა შეიძლება იყოს“ [5, გვ. 135]. ფანტაზიას, ამტკიცებს მარკუზე, შეუძლია რეალობის პრინციპის მიერ თავსმოხვეული ღირებულებები დაივიწყოს და მომავალს მიმართოს, ამ საკითხში კი სიურრეალისტები ფროიდზე წინ წავიდნენ. მარკუზე საესეებით ეთანხმება სიურრეალისტების აზრს, რომ წარმოსახვა უფრო ღრმად წვდება რეალობას, რომ მისი სახეები უფრო ჭეშმარიტნი არიან, ვიდრე ფაქტები; სწორედ ის არის ამ სახეების ჭეშმარიტობის ნიშანი, რომ მათი ჭეშმარიტებები ფაქტებისას არ ემთხვევა. ეს ჭეშმარიტობა კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი „დიად უარყოფას“ (ეს გამოთქმა პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა უაიტჰედმა გამოიყენა თავის სოციოლოგიურ კვლევებში), რეპრესიის უარყოფას გამოხატავს ყველა განზომილებაში. თავისუფლებისათვის ეს ბრძოლა მხოლოდ ხელოვნებას ძალუძს, ვინაიდან სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით იგი ჭერჭერობით უტოპიაა; „ჭერჭერობით“, ვინაიდან არარეპრესიულ ინსტიტუტურ კონსტრუქციასზე დაყრდნობით მომავლისაკენ მიმართვა, თუნდაც სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მონაწილისათვის მას არც თუ ისეთ უტოპიად მიაჩნია, როცა ზერბერესია (რებრესია, გამოწვეული მწარმოებლური პრინციპით) მოცილებულია და არარებრესიული ცივილიზაციის შესაძლებლობასაც გზა ეხსნება.

წარმოსახვა, ამტკიცებს მარკუზე, ყოველთვის შეიცავს შემეცნების ელემენტებს, რითაც იგი გონების ჭეშმარიტებას არყევს. წარმოსახვის ჭეშმარიტება იცავს არა გახლეჩილ, არამედ მთლიანი გონების უფლებებს, თავისუფლების მოთხოვნებს, ინსტიტუტების თავისუფალ დაკმაყოფილებას. წარმოსახვის ჭეშმარიტებები ზღაპრებში, ფოლკლორში, მითოლოგიაშია მოცემული. რეალობის პრინციპისათვის, იმისათვის, რომ რაიმე რეალური კავშირება შექმნან პრაქტიკაში, ისინი, რასაკვირველია, არ გამოდგებიან. თუმცა ის არქეტიპები, რომლებიც კულტურის ისტორიამ შემოინახა, სიმბოლურნი არიან და მათი ღირებულებები მნიშვნელოვან. მარკუზეს სწორედ ეს სიმბოლოები აინტერესებს.

მთავარი „არქეტიპი“ ანუ სიმბოლო, რომელმაც ცივილიზაციის ისტორია წარმართა, მარკუზესთანაც პრომეთეა. იგი როგორც ვიცით, გონების გამარჯვების, პროდუქტიულობის, პროგრესის სიმბოლოა. მაგრამ პრომეთეს, ამდენ სიკეთესთან ერთად, კაცობრიობისათვის ბევრი ტკივილიც მოაქვს, ვინაიდან ეს პროგრესი მძიმე შრომაზეა (toil) დაფუძნებული; მისგან განსხვავებით, ქალური საწყისი — პანდორა — რომელიც სიამოვნების, სექსუალობის, ბედნიერების მომტანია, მარკუზეს აზრით, უარყოფილი და განდევნილია. პრომეთეს სიმბოლო რეალობის პრინციპს განამტკიცებს, მის პროგრესს ემსახურება; მარკუზესათვის კი, რომელიც სიამოვნების პრინციპია დაფუძნებას ცდილობს, ასეთი სიმბოლო მიუღებელია. იგი ახალი რეალობისათვის სიმბოლოებს საწინააღმდეგო შინაარსის არქეტაიპებში — ორფევისა და ნარცისის სახეებში ეძებს. ისინი სიმღერის, თავისუფლების, სიმშვიდის სახეებია, რომლებიც ბუნებისა და ადამიანის ერთიანობისაკენ მოუწოდებდნენ. ცხადია, ისინი ტრადიციული კულტურის ადამიანის ანტაგონისტურნი არიან. ორფევისა და ნარცისის სახეები არარეპრესიული რეალობის სიმბოლოებია. ამ სიმბოლოთა დახასიათებისათვის მარკუზე რილკეს პოეზიასა და პოლ ვალერის გამოკვლევებს მიმართავს. აქ იგი ამ რეალობას პოულობს, რომელიც ეს სიმბოლოები მართლდებიან, — სადაც სილამაზე, სიმშვიდე და წესრიგია („წესრიგის“ აქ თავისებური მნიშვნელობა აქვს. იგი არარეპრესიული კმაყოფილების წესრიგია). რაც შეეხება თავისუფლებას, იგი ეროსის განთავისუფლებას ნიშნავს, როცა ინსტიქტების დათრგუნვა მოხსნილია და ისინი თავისუფლად კმაყოფილდებიან. ორფევისა და ნარცისის სახეები ისეთ კავშირებს ასიმბოლიურებენ, რომლებიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგებიან არსებულ რეალობას, მაგრამ მომხიბლავნი და პოეტურნი არიან, თუმცა კი ხელოვნების სახდერებს იქით გასვლა არ შეუძლიათ.

სამყაროს განხილვა ნარცისული და ორფევესული სახეებით ისეთი ვარემოს შექმნას ნიშნავს. სადაც კმაყოფილება, სიყვარული, სიმშვიდე და თანაგრძნობა სუფევს, სადაც ადამიანის ინსტიქტური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია. მას მარკუზე „ორფევესულ-ნარცისულ ეროსს“ უწოდებს. მარკუზეს მიხედვით, ეროტიკული წარმოსახვა იმაზე ფართოა, ვიდრე იგულისხმება. იგი ისეთი სხვა ეროტიკული რეალობისკენ მიილტვის, სადაც ინსტიქტები ახალ ცხოვრებას პოულობენ.

მარკუზესთან ნარცისის სიმბოლო ტრადიციული დახასიათებისაგან განსხვავებულია. ორფევესიც, ისევე როგორც ნარცისი, ჩვეულებრივ ეროსს უარყოფს. ორფევესი პოეტის არქეტაიპია — განმათავისუფლებელი და შემქმნელი. მისი წესრიგი უფრო მაღალია, არარეპრესულია; მასში ხელოვნება, თავისუფლება და კულტურა გამთლიანებულია, ერთად არის მოცემული. მისი ეროსიც უფრო სრულია. როგორც ორფევესი, ასევე ნარცისი სექსუალური რეპრესიის წინააღმდეგ იბრძვიან, ისინი ჩვეულებრივ ეროსს უარყოფენ უფრო ფართო და სრული ეროსისათვის; პროტესტს აცხადებენ შთამომავლობის გამაგრძელებელი სექსუალობის წინააღმდეგ. მათ ახალი რეალობა აქვთ, რომელიც განსხვავებული პრინციპით იმართება, სისასტიკისა და რეპრესიის გარეშე. „ორფევესული ეროსი გარდაქმნის ყოფიერებას: იგი ძლევს სისასტიკესა და სიკვდილს განთავისუფლების საშუალებით. მისი ენა სიმღერაა, მისი შრომა —

თანაში; ნარცისის ცხოვრება ეს სილამაზეა, მისი ეგზისტენცი — ჰერტა“ [5, გვ. 156].

ამ მოდელის ფილოსოფიური დაფუძნებისათვის მარკუზე კანტის ფილოსოფიის მიმართავს, სადაც ესთეტიკურ განზომილებას გამაშუალებლის როლი აქვს განკუთვნილი გრძნობადობასა და მორალს შორის — ადამიანური არსებობის ორ საწინააღმდეგო მხარეს შორის. ამით ესთეტიკური განზომილება ამ სფეროთა გამამთლიანებელ ფენომენად წარმოსდგა. კანტის მიხედვით, ესთეტიკური განზომილება უფრო გრძნობადია ვიდრე ცნობითი და, ამიტომ, აღქმადიცაა: სწორედ გრძნობადობის გამო შეუძლია მას პრაქტიკული გონების მატერიალიზება დროსა და სივრცეში. ესთეტიკური აღქმა სიამოვნების განცდას ბადებს, რომელიც დაუინტერესებელ ჰერტაში წარმოიქმნა, ობიექტის წმინდა ფორმის აღქმით. ამგვარად აღქმული ობიექტი მშვენიერია. მშვენიერების გრძნობა წარმოსახვის საშუალებითაა მიღწეული; ამ დროს შემეცნებითი უნარები თამაშის მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ მდგომარეობას ახლავს სპეციფიური სიამოვნების გრძნობა. ასეთი წარმოსახვა, აღნიშნავს მარკუზე, ერთი მხრივ, გრძნობადია, მეორე მხრივ, მესამე გონებრივი უნარი. ესთეტიკურ აღქმაში სიამოვნება წარმოსახვისა და განსჯის უნართა თამაშის მდგომარეობის შედეგად წარმოიქმნება; იგი საყოველთაო და აუცილებელია (ვინაიდან ჩვენი შემეცნებითი უნარები აპრიორულნი არიან). ამის გამო მარკუზეს მიაჩნია, რომ ესთეტიკური წარმოსახვა შემქმნელიცაა, რადგან ჰარმონიულ თამაშში იგი მშვენიერს ქმნის. „ესთეტიკურ წარმოსახვაში გრძნობადობა აკვიდრებს წიქმედ პრინციპებს ობიექტური წესრიგისათვის“. მარკუზეს აზრით, ამ წესრიგის განმსაზღვრელია კანტის მიერ დადგენილი ორი კატეგორია — „მიზანშეწონილება მიზნის გარეშე“, რომელიც მშვენიერის სტრუქტურას ქმნის, და „კანონზომიერება კანონის გარეშე“, რომელიც თავისუფლების სტრუქტურას განსაზღვრავს. ეს ნიშნავს, რომ მშვენიერს ქმნის შემოქმედ, რომელიც თავისუფლებას საფუძველზე მოქმედებს. მათი საერთო ნიშანს კი არის „დაკმაყოფილება ადამიანისა და ბუნების განთავისუფლებული პოტენციალობების თამაში“.

ამ ნათლად ჩანს, თუ როგორ ცდილობს მარკუზე კანტის დახმარებით ახალი რეალობის ხელოვნების საფუძვლების დაძებნას, თუმცა თვითონვე აღნიშნავს, რომ ეს კატეგორიები კანტს ესმოდა როგორც საერთოდ აზროვნებისათვის აუცილებელი, რის გამოც მისმა თეორიამ შემდგომში შილერთან ცივილიზაციის ახალი მოდელის შექმნა განაპირობაო. მარკუზეს ინტერპრეტაციით კანტისათვის ფორმალური მიზანშეწონილება ობიექტის თავისუფლების შემქმნელია; იგი იმგვარადაა მოცემული, რომ სრულიად განსხვავდება როგორც მეცნიერული, ასევე ყოველდღიური ცდის ობიექტებისაგან, თავისუფალია თეორიული და პრაქტიკული გონების კავშირებისაგან. ასე წარმოდგენილი ობიექტი წარმოსახვის თავისუფალი თამაშის პროდუქტია: მრავალსახეობის. ისეთი ერთიანობაა, რომელიც საკუთარი კანონებით მოქმედებს. ეს კი მშვენიერის გამოვლენაა. წარმოსახვა ჰარმონიულ, თამაშის მდგომარეობაში იმყოფება თეორიული გონების უნარებთან; ეს ჰარმონია კანონებთან შეგუებულია, მაგრამ ამ კანონებიც თავისუფალნი არიან („კანონზომიერება კანონის გარეშე“), ისინი „თავისთავადი ეგზისტენციის წმინდა ფორმაა“ — ე. ი. შემოქმედის, გენიოსის კანონებია. ამგვარი დეკავშირება იმის საწინდარია, რომ შესაძლებ-

ლია, ბუნებისა და თავისუფლების, სიამოვნებისა და მორალის ჰარმონიული არსებობა.

ამრიგად, კანტის თეორიის მისეული ინტერპრეტაციით მარკუზემ ესთეტიკური განზომილება ისეთ სფეროდ დაგვისახა, სადაც შესაძლებელი იქნება არარებრესიული ცივილიზაციის პრინციპების გატარება, რომელშიც „გონება გრძნობადია, ხოლო გრძნობა — რაციონალური“. აქ კი იგი უკვე შილერის ცივილიზაციის თეორიას მიმართავს.

მარკუზეს აზრით, ბაუნგარტენის მიერ ესთეტიკის როგორც ახალი ფილოსოფიური დისციპლინის დამკვიდრება, ესთეტიკური ფუნქციისათვის ცენტრალური როლის მინიჭება, გრძნობადობის დაქვემდებარებული პოზიციის შეცვლა გონების მიმართ, რეალობის პრინციპისათვის დამლუბველ პოტენციალს წარმოადგენს. იგი მიუთითებს, რომ ესთეტიკა გრძნობადობის წესრიგს აყალიბებს, დათრგუნვისაგან გრძნობების განთავისუფლებისაკენ მოგვიწოდებს. აქ მარკუზე ადამიანის ბაზისურ იმპულსზე — თამაშის იმპულსზე — მიუთითებს, რომელიც შილერის ცნობილ დებულებას წარმოადგენს. იგი ეთანხმება შილერის აზრს, რომ ამ იმპულსის საშუალებით ესთეტიკური ფუნქცია გრძნობებისა და გონების იდეას თანხმობაში მოიყვანს, რომ გონებას რეპრესულ ნიშნებს ჩამოაშორებს და მოარიგებს მას გრძნობის მოთხოვნებთან. მარკუზეს აზრით, არარებრესიული რეალობის პრინციპის თეორიული დაფუძნება და გამართლება კანტის შემდეგ ყველაზე უფრო ხელსაყრელად შილერის ცივილიზაციის თეორიაში განხორციელდა. თავის ცნობილ ნაშრომში „წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ შილერი მართლაც მიუთითებს, რომ ესთეტიკური ფუნქცია მთავარია ცივილიზაციის ახალი მოდელის შექმნისათვის, რომ „თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ მშვენიერებაზე გადის“.

მიუხედავად იმისა, რომ შილერის მოღვაწეობის პერიოდში კაპიტალისტური ინდუსტრია გერმანიაში სუსტად იყო განვითარებული, მისი არსებითი ნიშნები უკვე აშკარად გამოვლინდა და ახალი საზოგადოების აშენების შესაძლებლობათა ძიების აუცილებლობა შილერისათვის, როგორც ჩანს, ნათელი გახდა.

მარკუზე მიუთითებს, რომ ასეთი განწყობილება მარტო შილერისთვის არ იყო დამახასიათებელი იმ პერიოდში, რომ ჰერდერმა და შლეგელმა, ჰეგელმა და ნოვალისმა მსგავსი ვითარება გამოხატეს გაუცხოების ცნებით.

მარკუზე შილერისეულ თამაშის იმპულსს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გრძნობადობის განთავისუფლების საქმეში. იგი მიუთითებს, რომ თამაშის იმპულსის საშუალებით მოხდება საწინააღმდეგო იმპულსების მორიგება და გრძნობადობის უფლებების აღდგენა, მასზე რებრესიული კონტროლის მოსპობა. თავისუფლება უფრო გრძნობადობის სფეროში უნდა იქნეს მოძებნილი, ვიდრე გონების სფეროში. მარკუზეს მიაჩნია, რომ თამაშის იმპულსის ეს მნიშვნელობა, კერძოდ, გრძნობადობის სფეროს წინ წამოწევა, ესთეტიკური აღზრდის სფეროს სცილდება და უფრო გლობალურ დანიშნულებას იძენს ცივილიზაციის გადასარჩენად.

„წერილებში“ მარკუზე იმ ადგილებზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც გრძნობადობის სფეროა წინ წამოწეული: რომ მორალი გრძნობადობას უნდა დაეფუძნოს, რომ გონება გრძნობათა ინტერესს შეურიგდეს და თავის გაბატონებულ პოზიციებს გადახედოს, რათა ანგარიში გაუწიოს გრძნობათა მოთხოვნებს. გრძნობათა მოთხოვნებიც უნდა დაექვემდებარონ ვარკვეულ ტრანს-

ფორმაციას, უნდა შეეგუონ თავისუფლების უნივერსალურ წესრიგს. „თავისუფალმა ინდივიდმა თავისით უნდა მოიტანოს პარმონია ინდივიდუალურ და უნივერსალურ დაკმაყოფილებას შორის [5, გვ. 174]. ეს ნიშნავს, რომ თავისუფალ ცივილიზაციაში ყველა კანონი თავისუფალი ინდივიდების მიერ არის მოცემული; ესთეტიკური მდგომარეობა თავისუფლების საშუალებით თავისუფლების მინიჭებას ნიშნავს. ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა მთელისა და ინდივიდის, სახელმწიფოსა და ცალკეული პიროვნების მოთხოვნები და სურვილები ერთმანეთს ემთხვევიან. ტრადიციული შრომა ტრანსფორმირებული კი არ უნდა იყოს, არამედ ადამიანისა და ბუნების თავისუფლად განვითარებულ პოტენციებისადმი სრულიად დაქვემდებარებული. თავისუფალ კულტურაში, მიუთითებს მარკუზე, გადამწყვეტია გონების დესუბლიმაცია და გრძობადობის თვითსუბლიმაცია, რის შედეგადაც მაღალი ღირებულებები და დაბალი უნარები კოორდინაციაში მოვლენ და ხელს შეუწყობენ თავისუფალ საზოგადოებაში თავისუფალი ინდივიდის არსებობას. ამ შესაძლებლობათა კონკრეტული დასაბუთება მარკუზეს არა აქვს. თუ საზოგადოების აუცილებლობა აღიარებულია, აუცილებელი ყოფილა აგრეთვე სავალდებულო კანონებიც, მათი ურთიერთობა. ამ გზაზე მარკუზე აუცილებლად მივა ტიპიურ ბურჟუაზიულ თეორიასთან, რომელიც პიროვნების „სრული“ თავისუფლების აღიარებიდან გამოდის და ბოლოს მაინც საზოგადოების რეპრესიული ზემოქმედების ჩარჩოებში რჩება.

„ეროსსა და ცივილიზაციაში“ განვითარებული იდეები და დებულებები მარკუზეს მიერ გაღრმავებული იქნა „ერთგანზომილებიან ადამიანში“, სადაც უკიდურესობამდეა მიყვანილი თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების წინააღმდეგობათაგან გამოდინარე შედეგები. აქ „კულტურული ღირებულებები“ კი არ გაქრნენ, არამედ შეეგუენ და შეესისხლბორცენ გამყარებულ წესრიგს, ისინი „მასობრივი კულტურის“ სახით საზოგადოების მთელი კულტურის ნაწილი გახდნენ და ემსახურებიან არსებული საზოგადოების სიმტკიცეს. ამიტომ, მიუთითებს მარკუზე, წარსულის მაღალი ღირებულებები, ჰუმანიტური იდეალები, თავისუფლების წარმოდგენები ისე არიან გამოყენებულნი ახალ პირობებში, რომ ყურადღება აღარ ექცევა იმას, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან იმ საზოგადოებას, რომელიც მათ იყენებს. ადამიანები ამას გრძობენ, მაგრამ უგულებელყოფენ იმას, რომ ეს ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. მარკუზე ინდენად არის გატაცებული ერთგანზომილებიანობაში ყველა მოვლენის მოქცევით, რომ ვერ ამჩნევს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე საზოგადოების ინდუსტრიულობის მიუხედავად, ლიტერატურასა და ხელოვნებაში უამრავი მაგალითია როცა პროგრესული ხელოვნების ნიმუშები ოპოზიციაში არიან სინამდვილესთან და მაღალ ღირებულებებს ქადაგებენ.

მარკუზეს „ერთგანზომილებიანი ადამიანი“ და მასში გამოთქმული იდეები თეორიული მსჯელობის საგანი კი გახდა, მაგრამ პრაქტიკის, რეალობის თვალსაზრისით მისთვის სერიოზული ყურადღება არავის მიუქცევია. იდეა არარეპრესიული ცივილიზაციის შესახებ მშვენიერი უტოპია იყო. და მაინც მალე ეს უტოპია კონკრეტული მოქმედებების საფუძველი გახდა, რამაც გამოხატულება 60-იანი წლების ახალგაზრდობის ამბოხში პოვა და თავად მარკუზესთვისაც სანანებელი შეიქნა.

სტატიაში „უტოპიის დასასრული“ მარკუზემ „ერთგანზომილებიანი ადამიანი“ პესიმისტური დასკვნების შერბილება სცადა. უფრო მეტიც, მან

წამოაყენა აზრი, რომ თანამედროვე პირობებში შესაძლებელია სინამდვილის ნებისმიერი შეცვლა და ეს მოწმობს უტოპიის დასასრულს. აქვე მარკუზემ ისიც აღნიშნა, რომ ჯერჯერობით, მოცემულ ისტორიულ სიტუაციაში, ეს შესაძლებლობა განუხორციელებელია. სინამდვილის შეცვლა შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა არსებულის რომელიმე წმარის შესწორებასა და კორექტირებას კი არ ექნება ადგილი, არამედ გაწყდება კავშირი არსებულ ისტორიულ კონტინუუმთან, როცა ინდივიდს გაუჩნდება სასიცოცხლო მოთხოვნილება თავისუფლებისა, როცა გაჩნდება ახალი გრძნობადობა და ახალი მორალი.

ასეთი იდეებით მარკუზე კვლავ სიურრეალიზმს უკავშირდება. ამიტომ ბრეტონისადმი, მისი ესთეტიკურ-პოლიტიკური მრწამსისადმი მიმართვა ამჟერადაც არ არის შემთხვევითი. ეს მარკუზემ თავის მომდევნო ნაშრომში „ესე განთავისუფლებაზე“ დაადასტურა. მარკუზეს აზრით, ახალი სუბიექტი ესთეტიკური განთავისუფლებით ჩამოყალიბდება; მას ახალი გრძნობადობა ექნება. ამგვარად ჩამოყალიბებული სუბიექტი სოციალურადაც განთავისუფლდება, რაც წარმოსახვის საშუალებით განხორციელდება. ასეთ სუბიექტს უტოპიის პრაქტიკაში გადატანა მხოლოდ წარმოსახვის განთავისუფლებით შეუძლია, წარმოსახვა კი მოცემული რეალობის იქითაა, ე. ი. „რეალობის პრინციპის“ იქით. ამრიგად, წარმოსახვა პოლიტიკასა და ესთეტიკას აკავშირებს. ახალი გრძნობადობა, რომელიც სიცოცხლის ინტინქტების აზღვლებასა და ახლებურად წარმოსახვას გამოხატავს და ხელს უწყობს ცხოვრების სტანდარტების შემდგომ ევოლუციას, პოლიტიკურ ძალად იქცა. იგი საზოგადოების შექმნის თვისობრივად ახალი გზაა, რომლის საფუძველზეც გადაიჭრება წინააღმდეგობა წარმოსახვასა და გონებას შორის, დაბალ და მაღალ სფეროებს შორის, პოეტურ და მეცნიერულ აზრს შორის. „ეს არის ახალი რეალობის პრინციპის გამოჩენა, რომლის ქვეშ ახალი გრძნობადობა და დესუბლიმირებული მეცნიერული ინტელექტი შეერთდებიან ესთეტიკური ethos-ის შესაქმნელად“ [6, გვ. 32]. ასეთი კავშირი, მარკუზეს აზრით, მწარმოებლურ-შემოქმედებით (productive creative) სახეს მიიღებს, რომელიც თავის გამოხატულებას თავისუფლებაში პოვებს. „ტექნიკა ხელოვნების ნიშან-თვისებებს შეიძენს და სუბიექტურ გრძნობადობას ობიექტურ ფორმაში, რეალობაში გადაიტანს“ [6, გვ. 32]. ამით კი, მისი აზრით, არსებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობა გადაილახება. ადამიანის დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ ძალადობისა და ექსპლუატაციის ნიშნებს დაკარგავს და ამით ახალი გრძნობადობა პრაქტიკად (praxis) გადაიქცევა; ეს კი ძველი მორალისა და კულტურის უარყოფას ნიშნავს, რითაც „მშვენიერი გრძნობა, მზიარულება, სიმშვიდე არსებობის ფორმებად იქცევიან და ამის საშუალებით თავისთავად საზოგადოების ფორმად“ [6, გვ. 33]. რასაკვირველია, საზოგადოების ასეთი შესაძლებელი ფორმის ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების ისეთ დონეს მოითხოვს, რომელიც არსებულ წინააღმდეგობათა დასაძლევად საკმარისია და რომელსაც, მარკუზეს აზრით, უკვე მიაღწია „წინ-წასულმა ინდუსტრიულმა საზოგადოებამ“. ახალი მორალისა და კულტურის მოთხოვნები გამოხატავენ რეალურ ცვლილებებს, ესთეტიკის ახალ განზომილებასა და მიმართულებებს, რის შედეგადაც ესთეტიკა შეიძლება გადაიქცეს საზოგადოების საწარმოო ძალად“ (gesellschaftliche produktivkraft) [6, გვ. 34].

აქამდე ესთეტიკური განზომილება მშვენიერების იდეაში გამოიხატებოდა. მარკუზე სვამს კითხვას, გამოხატავს თუ არა ეს იდეა ესთეტიკურ ethos-ს. მას მიაჩნია, რომ მშვენიერი განეკუთვნება პირველადი ინსტინქტების სფეროს — ეროსსა და თანატოსს, სიამოვნებასა და შიშს; „მშვენიერს შესწევს ძალა შეაჩეროს აგრესია: იგი ეწინააღმდეგება და აჩერებს აგრესორს, მშვენიერი მედღუხა აქვავებს იმას, ვინც ეწინააღმდეგება მას“ [6, გვ. 31]. კლასიკური ესთეტიკა „გრძნობის, წარმოსახვისა და გონების ერთიანობას ამტკიცებს, რითაც ამტკიცებს მშვენიერის ობიექტურ (ონტოლოგიურ) ხასიათს“ [6, გვ. 34]. მშვენიერი წარმოადგენს ისეთ ფორმას, რომელშიც ადამიანი და ბუნება თავისას ლებულობენ. ამ „თავისასში“ მარკუზე სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას გულისხმობს. ახალი სამყარო, მარკუზეს აზრით, წარმოადგენს ადამიანური შესაძლებლობებისა და სურვილების შეერთებას ბუნების ობიექტურ კანონზომიერებებთან, რითაც მოხდება ბუნების და თავისუფლების აუცილებლობის დამთხვევა. ა. ბრეტონმა ეს იდეა სიურრეალიზმის ცენტრად აქცია. ამ ორი მომენტის დამთხვევას მის კონცეფციაში ცენტრალური ადგილი უკავია. მარკუზეს აზრით, ასეთ სამყაროში, „სასიცოცხლო სამყაროში“ (Lebenswelt), ადამიანის არააგრესიული ეროტიკული შესაძლებლობები ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიისაკენ მიისწრაფიან. რეალობა მასში ახალი მიზნის გამოხატველ ფორმას მიიღებს. ამ ახალი ფორმით კი მიიღება არსებითად ახალი ესთეტიკური თვისება, რომელიც სინამდვილეს ხელოვნების საქმედ აქცევს. თვითონ ხელოვნებამ კი თავისი ტრადიციული ფუნქცია უნდა შეცვალოს. „იგი უნდა გახდეს საწარმოო ძალა როგორც მატერიალურ, ასევე კულტურულ ტრანსფორმაციაში“ [6, გვ. 39]. ესე იგი, ხელოვნება საგნებისა და მათი თვისებების, საგნების „გარეგნობის“ ფორმირებაში ინტეგრალური, არსებითი ფაქტორი იქნება. ეს კი, მარკუზეს აზრით, ნიშნავს ხელოვნების მოხსნას (auebung) პოზიტიური მნიშვნელობით.

ახალი გრძნობადობა და ახალი ცნობიერება მოითხოვს ახალ ენას, რომელიც ახალ ლირებულეებს დააკავშირებს. მარკუზეს ახალი ენა ფართო მნიშვნელობით ესმის, რომელიც გულისხმობს სიტყვას, ექსტს, ტონს, გამოხატველობას და ა. შ. ეს ახალი ენა თვისობრივად ახალია, სიურრეალისტური თვალსაზრისით პოეტი ნონკონფორმისტია, რომლის პოეტური ენა რევოლუციურ ელემენტებს შეიცავს.

ენასთან დაკავშირებით მარკუზე აღნიშნავს, რომ ახლადწარმოქმნილი სუბკულტურის ჯგუფები საკუთარ ენას ქმნიან. კენტრკულტურა თავის გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ სუბკულტურა ანგრევს იდეოლოგიურ შინაარსს და დასავლური ცივილიზაციის ყველაზე უფრო სუბლიმირებულ იდეებს დესუბლიმირებულად წარმოგვიდგენს. დესუბლიმირებულმა კულტურამ თავისი გამოხატულება ზანგურ კულტურაში ჰპოვა. „იგი უკვე აღარ არის ბეთპოვენიში, შუბერტში, არამედ ახალ ჯაზში, ბლუზში, როკ როლში“ [6, გვ. 43].

სიურრეალისტური თვალსაზრისი მატერიალურ წარმოებას კი არ უარყოფს, არამედ მის ავტონომიურობას ესთეტიკასთან მიმართებაში. ანალოგიურად, მარკუზე მოითხოვს ხელოვნებისა და პოლიტიკური სამყაროს დაახლოებას, მათ შორის ხიდის გადებას, რომელიც პოლიტიკის ბატონობას მოსპობს. საზოგადოების მატერიალურ და ტექნიკურ რეკონსტრუქციას აღქმის რეკონ-

სტრუქციაც ახლავს, რაც ახალი ესთეტიკური გარემოს საწინდარია. „საზოგადოების რადიკალური ტრანსფორმაცია გულისხმობს ახლი გრძნობადობის ახალ რაციონალობასთან კავშირს. წარმოსახვა, პროდუქტიული გახდება, თუ ის გახდება შუამავალი, ერთის მხრივ, გრძნობადობასა და, მეორე მხრივ, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ გონებას შორის და შესაძლებლობათა ასეთ ჰარმონიაში (რომელშიც კანტი თავისუფლების ნიშანს ხედავდა) წარუძღვება საზოგადოების რეკონსტრუქციას“ [6, გვ. 44].

მარკუზეს აზრით, თანამედროვე ხელოვნების ახალი ფორმები და საშუალებები ხელოვნების ერთი მიმართულების მეორეთი ისტორიულ შეცვლას კი არ წარმოადგენენ, არამედ ანგრევენ ძველი აღქმის სტრუქტურებს, რათა დასაბნო გზები ახალი აღქმის შესაქმნელად. აქვე მარკუზე აღნიშნავს, და ეს საყურადღებოა, რომ მას ჯერ კიდევ არ აქვს ახალი აღქმის ობიექტი განსაზღვრული, თუმცა დაბეჭდილებით იცის, რომ არსებული რეალობა ყალბია; ახალი რეალობა ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ არის, იგი უნდა შეიქმნას.

ხელოვნება, ამბობს მარკუზე, ავტონომიურია. იგი ფორმისადნია დაქვემდებარებული. ფორმა კი ინარჩუნებს გამაუცხოებელ ძალას სინამდვილისადმი. მარკუზეს ფორმა თავისებურად აქვს გაგებული, კერძოდ, ყურადღება არტისტულ აღქმაზე აქვს გადატანილი, რომელიც თავის თავში დამთავრებულია. ამრიგად, ფორმა შინაარსის მნიშვნელობით წარმოგვიდგება, იგი თვითონაა შინაარსი. ფორმა რეალობაში არსებობს და, ამავე დროს, მასთან წინააღმდეგობაშია. ხელოვნება რეალობის შემცვლელად გვევლინება: იგი სინამდვილის ობიექტებს ცვლის სიტყვებით, წარმოსახვით, ბგერით, ფერით. ეს იმიტომ ხდება, რომ ხელოვნების „ენამ“ ჭეშმარიტება უნდა გადმოგვეცეს, რაც ჩვეულებრივ ენაში დაკარგულია. ყოველივე ეს ხელოვნების სტილის შეცვლას კი არ ნიშნავს, არამედ ხელოვნება — ფორმის, ხელოვნების ტრადიციული „მნიშვნელობის“ წინააღმდეგ გალაშქრებას. მარკუზე თვლის, რომ ხელოვნების ნამდვილი ფორმა არ შეიძლება გამოცალკეებული იქნეს „მეორე რეალობისაგან“, ვინაიდან მან უნდა გადაიტანოს წარმოსახვის ჭეშმარიტება რეალობაში. ფორმა, მარკუზეს აზრით, უწყსრივობის, ძალადობის უარყოფაა. ხელოვნება დანაშაულსა და საშინელებებს ესთეტიკურ ფორმაში მოხსნის თავისი „ფორმის მიმცემი ძალის წყალობით“ [6, გვ. 47].

მარკუზეს აზრით, ილუზორული, სინამდვილისაგან მოწყვეტილი ხელოვნება კითხვის ქვეშ აყენებს თვით პარტენონისა და მაღალი პოეზიის ღირებულებებს, რომელიც სინამდვილის სუბლიმაციის შედეგია. პარტენონის მშვენიერება, შექმნილი ნიშნების ტანჯვის ფასად, აღარ არის ნამდვილი მშვენიერება; ოსვენციმის შემდეგ პოეზია კარგავს თავის ღირებულებას, მშვენიერება ბოროტებასთან წილნაყარია.

დესუბლიმირებული ხელოვნებისა და ანტიხელოვნების დღევანდელი დონე წარმოადგენს მხოლოდ საფეხურს, რომლითაც საზოგადოების მწარმოებლური ძალა უნდა დაუახლოვდეს ხელოვნანის შემოქმედებითს ძალას, ხელოვნების სამყარო — რეალურ სამყაროს. ეს საფეხური ამავე დროს წარმოადგენს რადიკალური პოლიტიკის არსებით ელემენტს, გარდამავალი პერიოდის დამანგრეველ ძალას.

როგორც ვხედავთ, მარკუზე ახალი რეალობის კონტურებს მიანიშნებს, მაგრამ ახალი რეალობის შინაარსზე, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს კონკრეტულად იგი, არაფერს ამბობს; მისი პათოსი მხოლოდ კონკრეტული უარყოფა

ფა ტრადიციული ხელოვნებისა და მხოლოდ ზოგადი მოწოდება რადიკალური ცვლილებებისაკენ.

სტატიაში „ხელოვნება როგორც რეალობის ფორმა“ მარკუზეს განხილული აქვს ხელოვნების ყოფიერების სტატუსის საკითხი. სტატია ძირითადად ეყრდნობა ნაშრომს „ესე ვანთავისუფლებაზე“. მაგრამ თუ ამ უკანასკნელში მარკუზე საფუძვლიანად იკვლევს მისეული თავისუფალი სამყაროს შესაძლებლობების პირობებს, სტატიაში „ხელოვნება როგორც რეალობის ფორმა“ იგი ხელოვნების მომავალს საკითხს ეხება.

„ახალ მემარცხნე“ რადიკალების პროტესტი გამყარებული (ისტებლიშურა) კულტურის წინააღმდეგ უმთავრესად ხელოვნების უარყოფაში, „ხელოვნების დასასრულის“ იდეაში გამოიხატა. მარკუზე წერს: „ისინი უარყოფენ ხელოვნებას, როგორც ბურჟუაზიული კულტურის ნაწილს, ისევე როგორც მის ლიტერატურას, მის ფილოსოფიას...“ მათი აზრით, ხელოვნება იმ ბურჟუაზიული კულტურის არსებითი ნაწილია, რომელიც სახეშეცვლილი უნდა იქნეს „რაც შეიძლება მოკლე დროში — სწრაფად და საფუძვლიანად“. ეს კი არა მარტო პოლიტიკური, არამედ თეორიული გალაშქრებაცაა ხელოვნებაზე.

ასეთ სიტუაციაში მარკუზე ცდილობს დახატოს ისეთი „სხვა“ რეალობა, მომავლის ისეთი ხელოვნება, ხელოვნების არსებობის ისეთი მოდელი, რომელიც მას თავის სპეციფიკურ ფუნქციას არ დაუქარგავს, თუმცა კი ახალი ფორმით მოგვევლინება.

18835

მარკუზე ხელოვნების ორ ასპექტზე მიუთითებს: ერთის მხრივ, ხელოვნება „აფორმატულია“ (განმამტკიცებელია), იგი ხელს უწყობს არსებული რეპრეზენტული საზოგადოების დამკვიდრებას, ხოლო მეორეს მხრივ, ხელოვნება როგორც გაუცხოება, როგორც ემპირიული რეალობიდან გამოყოფილი და საკუთარი „რეალობის“ მქონე, უარყოფელ, ნეგატიურ ძალას წარმოადგენს. შეიძლება ხელოვნების ისტორია განვიხილოთ როგორც ამ ანტაგონისტური ძალების ჰარმონიზაცია. მაგრამ მშვენიერისა და ჭეშმარიტების ჰარმონიზაცია, რაც წინათ ტრადიციული ხელოვნების ნაწარმოების საფუძვლად იგულისხმებოდა, ამჟამად შემობრუნდა წინააღმდეგობათა შეურთიგებლობის მიმართულებით. ჭეშმარიტებამ სულ უფრო და უფრო გამოამყვანა თავისი შეუთავსებლობა სილამაზესთან. ხელოვნება სულ უფრო იმკაცრად ილაშქრებს რეალობის იდეალიზაციის, სუბლიმაციის წინააღმდეგ. ესთეტიკური სუბლიმაციის საილუსტრაციოდ მარკუზე გვიას გრაფიკაზე მიუთითებს, რომელთანაც ომის საშინელებები ესთეტიკურად გარდაქმნილი სახით არის წარმოდგენილი და ამიტომ სიამოვნების მომტანია, ესთეტიკურმა სუბლიმაციამ ამოწურა თავისი თავი. „საშინელი სამყაროს“ ესთეტიზაცია და „გამხატვრულება“ მხოლოდ შეურაცხყოფს მას. ხელოვნების შემეცნებითი ღირებულება ვეღარ ემორჩილება მშვენიერის მაჰარმონიზებელ კანონს, ასეთი წინააღმდეგობა კი ბადებს ტრადიციული ფორმის ნგრევას, მის წინააღმდეგ ამბოხის იდეას. ხელოვნების მოძრაობა მიემართება ანტიხელოვნებისაკენ, „ამზადებს რა ამავდროულად სულს და სხეულს ახალი გრძობადობისათვის, რომელიც უკვე ვეღარ იტანს დასახიჩრებულ ცდას და დასახიჩრებულ გრძობადობას“.

ახალი ხელოვნება, რომელსაც არ უნდა საქმე ჰქონდეს ილუზორულ ხელოვნებასთან, თავის თავს განიხილავს როგორც ანტიხელოვნებას. ანტიხელოვნება თავს სხვადასხვაგვარად ამყვანებს: სინტაქსის ნგრევით, აბსტრაქტული მხატვრობითა და ქანდაკებით, თორნიტრონიკანი მუსიკით და ა. შ.

საქართველოს
განათლების
მინისტროს
საგანმანათლებლო
სააგენტოს

ამეადა ხელოვნების ფუნქციად უკვე სინამდვილის შემცენება კი არ ითვლება, არც მისი მოდელირება, არც ადამიანის სულიერი სამყაროს აღზრდა და სრულყოფა არამედ რაღაც ტრადიციული ფორმისაგან განსხვავებულის შექმნა, ისეთისა, რომელიც რეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლის გამოხატულება იქნება, იმ ცდის დანგრევა, რაც ადამიანს თავს მოახვია რეპრესიულმა საზოგადოებამ თავისი ტექნიკით, კულტურით, მორალით. სხვა სიტყვებით, თავისი შინაგანი დინამიკის წყალობით ხელოვნება იქცევა პოლიტიკურ ძალად. იგი უარს ამბობს იყოს მუზეუმებისა და მავზოლეუმების ექსპონატი... იგი მისწრაფვის იყოს რეალური, ნამდვილი ანტიხელოვნება ანუ „ცოცხალი“ ხელოვნება, როგორც მას მარკუზე უწოდებს, ცდილობს რაიმე, ფორმისაგან განსხვავებული შექმნას. მაგრამ ძველი სტრუქტურების ნგრევა ახალი ფორმის წარმოქმნას იწვევს; ანტიხელოვნება მაინც ხელოვნებად რჩება. საზოგადოება და ხალხი მას ხელოვნებად ღებულობს. იგი ისევ მუზეუმებისა და საგამოფენო დარბაზების ექსპონატად გადაიქცა. ეს კი, მარკუზეს აზრით, იმიტომ გამოიწვევს, რომ ანტიხელოვნებაც ინარჩუნებს ფორმას, ვინაიდან სხვანაირად არც შეიძლება.

ამიტომ, მარკუზეს აზრით, ხელოვნებას, ისევე როგორც ანტიხელოვნებას, არ შეუძლია თავის თავსა და რეალობას შორის ხიდის გადგმა, მათ შორის დისტანციის, უფსკრულის ამოვსება. ეს იმიტომ, რომ ვერც ერთმა ვერ შესძლო ფორმა ხელოვნებისაგან თავის დაღწევა, რაც თავისთავად მისი, როგორც ხელოვნების, გაქრობის მომასწავებელი იქნებოდა. მაგრამ ამ ეტაპზე მარკუზე არც მისწრაფვის ამ უფსკრულის ამოვსებისაკენ, პირიქით, მისი აზრით, ჭეშმარიტი ავანგარდი ის არის, რომელიც გაადიდებს და გააფართოებს დისტანციას არსებულ ხელოვნებასა და რეალობას შორის და უფრო ნათლად დაგვანახებს მათს შეუთავსებლობას.

ამასთან დაკავშირებით მარკუზე „ცოცხალ ხელოვნებასაც“ — ცოცხალ თეატრს, ე. წ. „ჰეპენინგებს“, „პოპ-არტს“ — აკრიტიკებს. მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალ თეატრი ცდილობს მოხსნას დისტანცია დაშორება მსახიობსა და გარემოს შორის, და თითქოს აღწევს კიდევ საბლოკებს, უარყოფს და ამბობსა შეაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში, და ამ უარყოფას ბუნებრივ ხასიათსაც კი აძლევს, იგი მაინც ყალბია ვინაიდან აზროვნების, ქცევისა და ხასიათის გამოცვლა ამ წარმოდგენის ნაწილია მხოლოდ, რითაც ილუზია უფრო ძლიერდება ვიდრე ქრება.

მარკუზეს აზრით, ახალი ხელოვნება — ე. ი. ის, რის განხორციელებაც მას სურს — ისეთი საზოგადოების პროდუქტი უნდა იყოს, რომელიც თვისობრივად განსხვავებული იქნება დანარჩენი, აქამდე არსებული საზოგადოებრივი ფორმებისაგან. მის განხორციელებას ისეთი ახალი ტიპის ადამიანები შესძლებენ, რომლებიც აღარ იქნებიან „ექსპლუატაციის სუბიექტები და ობიექტები“. ამ დროს ადამიანის ვიტალური მოთხოვნილებები დათრგუნული აღარ იქნება, მისი ოცნებები და მისწრაფებები რეალიზებული იქნებიან ყოველგვარი რეპრესიის, ყოველგვარი სუბლიმაციის გარეშე. „ახალი ხელოვნება“ განხორციელდება მხოლოდ როგორც თავისუფალი საზოგადოების აშენების პროცესი. სხვა სიტყვებით, იგი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ხელოვნება „რეალობის ფორმა“ ვახდება.

ხელოვნება როგორც რეალობის ფორმა — ეს არის მარკუზეს ამოსავალი დებულება ახალი ტიპის ხელოვნების დაფუძნებისათვის. მასთან ხელოვნება

როგორც რეალობის ფორმა არ ნიშნავს სინამდვილის „გამხატვრულებისა“ და ესთეტიზაციის რალაც უფრო დიდ მასშტაბებს, რომლებიც ასევე შეიძლება წარმოიშვან რებრესულ საზოგადოებაში. მისი აზრით, ეს ტერმინი აღნიშნავს „ძირეულად საწინააღმდეგო რეალობის კონსტრუირებას. ახალი ესთეტიკური ნორმები რევოლუციის ნაწილებია. ისინი არიან ის, რაც მარკუს ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობდა რომ ცხოველები ქმნიან თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ადამიანი ქმნის სილამაზის კანონების მიხედვითაც“.

ხელოვნების, როგორც რეალობის ფორმის განხორციელებისათვის, მარკუზეს აზრით, სხვა სოციალური გარემო, სხვა საზოგადოება უნდა შეიქმნას. სოციალური გარემოს „რეკონსტრუქცია“ წარმოშობს წარმოების ახალ ფორმებს, ახალ ადამიანებს, შრომის დანაწილების ახალ ფორმებს. მაგრამ ჯერ არ შექმნილა ისეთი გარემო, ისეთი საზოგადოება, რომელიც დააკმაყოფილებდა ახალი ხელოვნების მოთხოვნებს. ასეთი საზოგადოება მარკუზესთან ჯერ მხოლოდ იდეაშია. თუ როგორი იქნება ის მომავალში — მარკუზე ამის მიახლოებით სურათსაც ვერ იძლევა, განსხვავებით მარქსისაგან, რომელმაც ეს მეცნიერულად დაასაბუთა. ამიტომ ახალი ხელოვნების დაფუძნება მასთან აბსტრაქტული შესაძლებლობის ფორმაში გვევლინება. მისი აზრით, ასეთი ხელოვნება „რევოლუციის ნაწილია“. მაგრამ სინამდვილეში იგი მხოლოდ იმ „რევოლუციის“ ნაწილი გახდა, რომელმაც 60-იან წლებში ჯერ პარიზის სტუდენტობა მოიცვა, შემდეგ კი დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში და აშშ-იც გავრცელდა. ეს გამოიხატა მათს ლოზუნგებში, რომლებიც, არსებული სოციალური გარემოს უარყოფასთან ერთად, ხელოვნებისა და კულტურის წინააღმდეგ გალაშქრებას წარმოადგენდა.

მიუხედავად ტრადიციული ხელოვნების უარყოფისა, მარკუზე თვლის, რომ, ერთის მხრივ, მომავლის ხელოვნება წარსულის ხელოვნებიდან უნდა ამოიზარდოს, მეორე მხრივ, ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები არ კარგავენ ესთეტიკურ ღირებულებას მომავლის საზოგადოებაშიც. უარყოფილი იქნება ყალბი, კონფორმისტული აღქმა, მისი ინტეგრაცია გამყარებულ ყოფასთან. მარკუზე მიიჩნევს, რომ ტრადიციული ხელოვნების ღირებულებები ახლებურად აღიქმება თავისუფალ საზოგადოებაში, უფრო მეტიც, ისინი დაგვეხმარებიან ახალი საზოგადოების ფორმირებაში. ეს საეხებით სწორი აზრია, თუმცა ამ ახალი საზოგადოების ბუნების ან მისი განხორციელების გზების შესახებ ისინი ვერაფერს გვეტყვიან ისეთს, რაც მარკუზეს საერთო თეორიასთან თანხმობაში იქნებოდა. ტრადიციული ხელოვნებისადმი მიმართვა კიდევ ერთხელ ავლენს მარკუზეს თეორიის წინააღმდეგობრივ ხასიათს; იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ხელოვნების მხოლოდ ანარქისტულ-დამანგრეველი ასპექტების წარმოჩენით მისთვის ძნელდება მომავალი თავისუფალი საზოგადოების კონკრეტულ რეალობაში წარმოდგენა.

ამიტომაც არის რომ მარკუზეს შემდეგდროინდელ ნაშრომებში „კონსტრუქციული რევოლუცია და ამბოხი“ და „ესთეტიკური განზომილება“ ასეთი რადიკალური პათოსი თანდათან რბილდება. მათში იგი აღრინდელი ცნებების შინაარსების ხელახალ გააზრებას ცდილობს. და მაინც, მიუხედავად ამგვარი ცდებისა, მარკუზე თავისი ამოსავალი დებულებების ბოლომდე ერთგული რჩება. ამ საკითხების სპეციალურ განხილვას მომდევნო სტატიაში შევეცდებით.

ლიტერატურა

1. ბეგიაშვილი ა. თ. პ. ნარკუზე, ერთგანზომილებიანი ადამიანი, საქ. სსრ მეცნ. აკად. რეფ. ჟურნალი, 1962.
2. Давыдов Ю. Н. Критика социально-философских воззрений Франкфуртской школы, М., 1977.
3. Штейгервальд. «Третий путь» Герберта Маркузе, М., 1971.
4. Социальная философия Франкфуртской школы — критические очерки. Прага, 1975.
5. Marcuse H. Eros and Civilization, New-York, 1962.
6. Marcuse H. An essay on Liberation, middlesex, England, 1978.
7. On the Future of art, New-York, 1970.

Ц. Ч. ХИНТИБИДЗЕ

 БЫТИЙСТВЕННЫЙ СТАТУС ИСКУССТВА
 В ФИЛОСОФИИ Г. МАРКУЗЕ

Резюме

Франкфуртская школа социальной философии является одним из влиятельных направлений в буржуазной философии XX века. Известное признание школе принесла деятельность таких философов как М. Хоркхаймер, Т. Адорно, Г. Маркузе; особенно созданная ими «критическая теория», которая ставила целью исследование и критику текущих процессов в современном индустриальном обществе.

В работе рассмотрена и критически оценена концепция бытийственного статуса искусства видного представителя франкфуртской школы Г. Маркузе (1898—1979). Здесь представлена та часть работы, где изложена маркузеанская точка зрения о сущности искусства в его работах «Эрос и цивилизация», «Эссе об освобождении», «Искусство как форма реальности».

Особое внимание Маркузе уделяет воображению и фантазии для обоснования возможности непрессивного общества. Пытается изменить подчиненную позицию чувственности перед разумом; призывает к освобождению чувств: к формированию нового субъекта, которому присуща «новая чувственность» и который должен стать новой политической силой, утверждающей новый принцип реальности. Маркузе ратует за сближение миров искусства и политики, что приведет к упразднению господства политики.

Искусство как форма реальности является исходной идеей для обоснования искусства нового типа.

Маркузе отрицает ценности традиционного искусства, но при построении модели «нового общества» не может обойти их.

Противоречивый характер теоретических суждений Маркузе затрудняет представить в конкретной реальности грядущее «свободное общество» и соответствующую ему художественную культуру.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

Т. Ш. ЦЕРТЕЛИ

МАНИФЕСТ РАССЕЛА-ЭЙНШТЕЙНА

Реальную основу создания Пагуошского движения ученых представляет обращение к человечеству, подписанное одиннадцатью крупнейшими учеными XX века, вошедшее в историю под названием Манифеста Рассела-Эйнштейна, VISE VERSA Эйнштейна-Рассела. В ряде источников, в основном советских, Манифест назван также и именем его третьего автора — Фредерика Жолио-Кюри*. Манифест был написан Бертраном Расселом (с согласия Эйнштейна и Жолио) на основе своей радиопередачи по BBC (25-XII-1954 г.), посвященной опасности, грозящей человечеству в связи с существованием ядерного оружия [1]. Основные принципы Манифеста предварительно обсуждались авторами [2, с. 91—92].

Текст Рассела был полностью одобрен и подписан А. Эйнштейном за два дня до смерти. Жолио-Кюри внес две поправки-добавления. Текст заявления был разослан ряду ученых разных стран и разных политических взглядов для ознакомления и подписания. Манифест был в принципе одобрен всеми. Но большая часть ученых по разным соображениям отказалась подписаться под ним [2]. Желание присоединиться к авторам заявления единодушно высказало восемь ученых. В итоге Манифест был подписан одиннадцатью учеными из шести стран, среди которых было девять лауреатов Нобелевской премии. Так как Бертран Рассел не хотел вносить изменения в текст, подписанный покойным А. Эйнштейном, появившиеся в процессе обсуждения две поправки-дополнения и одна оговорка (две поправки-дополнения принадлежат Ф. Жолио-Кюри, оговорка — Г. Мюллеру) были внесены в Манифест в виде замечаний [2, с. 95].

Манифест был обнародован 9 июля 1955 года в Лондоне на пресс-конференции в Кокстон-Холле и получил широкое освещение.

Манифест послужил основой для создания самого авторитетного научного сообщества современности, занимающегося основными проблемами ядерного века — Пагуошского движения ученых.

Манифест Рассела-Эйнштейна является документом беспрецедентным и уникальным в истории человечества. Это обусловлено следующими моментами:

Беспрецедентна сама причина появления Манифеста — опасность, грозящая всему человечеству, роду людскому.

Беспрецедентны сами требования, которые ставились авторами — создателями при определении сущности, назначения и формы будущего заявления [3, с. 7]. Согласно этим требованиям документ должен:

პედაგოგიური ეთიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევათა უმრავლესობა პედაგოგიური ეთიკის სფეროდ მიიჩნევს პედაგოგიურ მორალს. პედაგოგიური მორალის თავისებურებას განაპირობებს, ერთი მხრივ, პედაგოგიური შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მეორე მხრივ, კომუნისტური მორალის პრინციპების, ნორმებისა და მოთხოვნების სპეციფიკური გამოვლენა პედაგოგიურ პროცესში².

პედაგოგიურ მორალზე, როგორც პედაგოგიური ეთიკის შესწავლის საგანზე მსჯელობას აზრი ექნება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი ობიექტური საფუძველი, ე. ი. ის რაც გაამართლებს მის არსებობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ ობიექტურ საფუძველს პედაგოგიური მორალისათვის წარმოადგენს პედაგოგიური შრომა [5, გვ. 34], მისი თავისებურება ვლინდება პედაგოგიურ მორალში.

² პედაგოგიური მორალის პრინციპების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ორი განსხვავებული თეზისაა არსებობს. ერთი თვლიან, რომ არსებობს პედაგოგიური მორალის პრინციპები, რომლებიც კომუნისტური მორალის პრინციპების კონკრეტული წარმოდგენა [5], მეორენი. თვლიან, რომ პედაგოგიურ ეთიკას არ გააჩნია საკუთარი პრინციპები. ისინი მხოლოდ პედაგოგიური ეთიკის ზოგადი და კონკრეტული ნორმების არსებობას აღიარებენ. პედაგოგიური ეთიკის ზოგად ნორმებში ვლინდება კომუნისტური მორალის პრინციპები [6].

შრომა, საერთოდ, არის ადამიანის ურთიერთობა ბუნებასთან. ეს არის ის, რაც ადამიანს გამოარჩევს სხვა ცოცხალი ბუნებისაგან და ამალღებს მასზე. შრომის პროცესში იქმნება შრომის პროდუქტი. შრომა, რომელიც სრულდება ადამიანსა და ბუნებას შორის, ორმაგ ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ, ის არის ობიექტური პროცესი, რამდენადაც ამ პროცესში იცვლება ობიექტი, სხვანაირი ხდება; მეორე მხრივ, შრომა არის სუბიექტური პროცესი, რამდენადაც ამ პროცესში ხდება სუბიექტის ფიზიკური და სულიერი ენერჯის დახარჯვა, სუბიექტური მიზნის რეალიზაცია. შრომის ეს ორმაგი ხასიათი შრომის პროდუქტშიც აისახება. შრომის პროდუქტში ერთსა და იმავე დროს არის რაღაც ობიექტური და რაღაც სუბიექტური.

შრომის ეს სპეციფიკა დამახასიათებელია პედაგოგიური შრომისთვისაც. პედაგოგიური შრომა, როგორც სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა, სულმცირე სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: პირველ ეტაპს მიეკუთვნება სკოლამდელი აღზრდა (აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობა), მეორე და ძირითადი ეტაპი აღზრდის სფეროში არის სასკოლო აღზრდა (მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა), მესამე ეტაპს შეადგენს სკოლის გარეშე აღზრდა. აღზრდის მესამე ეტაპი, თავის მხრივ, დაყოფილია. მას შეიძლება მიეკუთვნოს უმძლავრო და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში აღმზრდელთა და აღსაზრდელთა ურთიერთობა, მშობლების და, საერთოდ, ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქცია აღზრდის პროცესში და ა. შ. პედაგოგიური შრომის ობიექტი არ არის რაიმე ბუნებრივი ნივთი ან საგანი, არამედ ის არის ადამიანი, გრძობად-გონიერი არსება. ეს პედაგოგიური შრომის ერთ-ერთი თავისებურებაა.

პედაგოგიური შრომის სუბიექტიც ადამიანია, მაგრამ აღზრდის პროცესის სუბიექტად ყოველთვის ცალკეული ადამიანი არ შეიძლება მოგვევლინოს. აღზრდის ობიექტთან დამოკიდებულებაში სხვადასხვა დროს სუბიექტის როლი შეიძლება შეასრულოს კოლექტივმა, სოციალურმა ჯგუფმა ან საზოგადოებამ. პედაგოგიური შრომის პროცესში ეს მომენტიც თავისებურად ვლინდება.

პედაგოგიური შრომის პროდუქტიც თავისებურია. შრომის ორმაგი ბუნება პედაგოგიურ შრომაშიც პოვებს გამოხატვას. ერთი მხრივ, ის ობიექტური პროცესია, რამდენადაც ამ პროცესში ობიექტი (ადამიანი) იცვლება, აღიზრდება, სხვანაირი ხდება; მეორე მხრივ, პედაგოგიური შრომა არის სუბიექტური პროცესი, რამდენადაც ამ პროცესში ხდება აღმზრდელის სულიერი და ფიზიკური ენერჯის დახარჯვა, მიზნის რეალიზაცია. პედაგოგიური შრომის პროდუქტში (პიროვნებაში) შრომის ეს ორმაგი ხასიათი თავისებურად ვლინდება. პედაგოგიური შრომის პროდუქტი არის ადამიანი, პიროვნება, რომელიც პრინციპულად განსხვავდება სახმარი ნივთისაგან, როგორც შრომის პროდუქტისაგან.

პედაგოგიური შრომის ობიექტისადმი აღმზრდელის, როგორც სუბიექტის, დამოკიდებულება აღმზრდელობითი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომლის გათვალისწინება აუცილებელია პედაგოგიური მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის. ამ ასპექტით პედაგოგიური შრომა პედაგოგისათვის არის საინტერესო.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი პედაგოგიურ ურთიერთობათა სისტემაში არის აღსაზრდელისა და აღმზრდელის ურთიერთობა, არა როგორც სუბიექტისა და ობიექტის, არამედ როგორც სუბიექტების, პიროვნებათა ურთიერთობა. პედაგოგიური ურთიერთობის სისტემის მთავარი და განმსაზღვრელი

მომენტია ობიექტური მომენტი, აღსაზრდელისა და აღმზრდელის, როგორც ობიექტისა და სუბიექტის დამოკიდებულება. მაგრამ პედაგოგიური ეთიკისათვის სპეციფიკურია პედაგოგიური შრომის პროცესში არა სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა, არამედ აღმზრდელ-აღსაზრდელის, როგორც სუბიექტების, პიროვნებების ურთიერთობა. სწორედ აქ ვლინდება პედაგოგიური შრომის ზნეობრივი ასპექტი.

პედაგოგიური შრომის პროცესში მონაწილე ადამიანებს შორის ურთიერთობა არ დაიყვანება სუბიექტის, როგორც ხელმძღვანელის, წარმმართველის, და ობიექტის, როგორც მისით განსაზღვრულის, მის მართვა-გამგებლობას დამორჩილებულის, ურთიერთობაზე. აღსაზრდელისა და აღმზრდელის ურთიერთობა შეიძლება იყოს, აგრეთვე, სიყვარულისა და სიძულვილის, პატივისცემისა და უპატივცემულობის, ყურადღებიანობისა და უყურადღებობის და ა. შ. ურთიერთობაზე. ეს ურთიერთობები პედაგოგიური შრომის პროცესში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ისტორიულად, გარკვეულ ღირებულებათა მიღების ან არ მიღების, რომელიმე ღირებულების წინ წამოწევის ან უკან გადაწევის, ღირებულებათა ამა თუ იმ სკალის გაზიარების ან არგაზიარების საფუძველზე, ასეთი ურთიერთობა ცნობილია ღირებულებითი ანუ შეფასებითი ურთიერთობის სახელწოდებით.

პედაგოგიური პროცესი აიგება აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობით. აღზრდის პროცესი გულისხმობს აღმზრდელის ზემოქმედებას აღსაზრდელზე, მათ შორის ერთიანობას და წინააღმდეგობას, ურთიერთზემოქმედებას და თანამშრომლობას. აღმზრდელის მოღვაწეობა გულისხმობს აღზრდის პროცესში გარკვეული მიზნის მიხედვით აღსაზრდელის ბუნების განვითარებას, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა საშუალებების და მეთოდების გამოყენებას, რაც აღზრდის პროცესს გეგმაზომიერსა და ორგანიზებულს ხდის. აღზრდის პროცესი მხოლოდ აღმზრდელის აქტიურობას კი არ გულისხმობს, არამედ აღსაზრდელისასაც. აღსაზრდელის აქტიურობის გარეშე შეუძლებელია პედაგოგიური მორალის მოთხოვნების განხორციელება.

პედაგოგიური შრომის მთავარი ამოცანებია ახალი თაობის ა) აღზრდა, ბ) განათლება და გ) სწავლება. ადამიანის განვითარებაში სამი მომენტი მონაწილეობს — მეგვიდრეობა, გარემო და აღზრდა. აღზრდაში, ფართო აზრით, მონაწილეობს ადამიანის მთელი ცხოვრება. ვიწრო აზრით, აღზრდაში იგულისხმება ადამიანზე მიზანდასახული ზემოქმედება, რომელიც მიმართულია მისი სულიერი და ფიზიკური სრულყოფისაკენ, ჰარმონიული განვითარებისაკენ. განათლება გულისხმობს ადამიანის გონებრივი და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას, მის მომზადებას პროფესიული მოღვაწეობისათვის. განათლება შეიძინება ცოდნით. შეიძლება ადამიანი განათლებული იყოს, მაგრამ არ იყოს ზნეობრივი, ე. ი. პედაგოგიური პროცესი გულისხმობს აღზრდისა და განათლების ერთიანობას. არც სწავლებაა მოწყვეტილი მათგან. პედაგოგიური შრომის პროცესში აღმზრდელის მოვალეობაა ასწავლოს, მიაწოდოს გარკვეული მასალა აღსაზრდელს, ხოლო აღმზრდელმა უნდა ისწავლოს, შეიძინოს, აითვისოს აღმზრდელისაგან მიწოდებული ცოდნა. სწავლებაც პროცესია, რომელიც აღზრდაში მონაწილეობს. პედაგოგიური შრომის პროცესში აღმზრდელისაგან განათლება გადაეცემა აღსაზრდელს, რომელიც მან სწავლის საშუალებით

უნდა შეიძინოს. აღმზრდელი, როგორც პედაგოგიური შრომის სუბიექტი, აღსაზრდელში უნდა ხედავდეს არა მხოლოდ ობიექტს, რომელიც მან უნდა განავითაროს, აღზარდოს, ასწავლოს და განათლება მიაღებინოს, არამედ უწინარეს ყოვლისა, ადამიანს, პიროვნებას, რომელიც მისგან მოითხოვს ზრუნვას, დახმარებას, პატივისცემას, სიყვარულს და ა. შ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთპატივისცემის, მეგობრობის, სიყვარულის, ერთი სიტყვით, ზნეობრივ-ღირებულებითი ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში რომელი ღირებულება მოიპოვებს უპირატესობას — დადებითი თუ უარყოფითი, — იმის მიხედვით შეფასდება აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობაც.

აღზრდის პროცესში აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობა ცოდნის გადაცემაზე და ათვისებაზე არ დაიყვანება. სწავლება ერთ-ერთი, მაგრამ არასაკმარისი საშუალებაა პიროვნების აღზრდისათვის. ვერც განათლება განსაზღვრავს პიროვნების ზნეობრივ სახეს. განათლებაც ერთ-ერთი პირობაა ზნეობრივი პიროვნების აღზრდისათვის. აღსაზრდელის გონებრივი განვითარება, მისი გამდიდრება ცოდნით მნიშვნელოვანია ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით, მაგრამ მხოლოდ ცოდნა და განათლება რომ ვერ გახდის ადამიანს კეთილს, ეს ცნობილია პრაქტიკული ცხოვრებიდან. პირიქით, პრაქტიკულ ცხოვრებაში ურთიერთსაპირისპირო მომენტებსაც ვხვდებით. შეიძლება ადამიანი განათლებული იყოს, მაგრამ უარყოფითი ღირებულებებს ახორციელებდეს, ამდენად ის უარყოფითი პიროვნებაა. შეიძლება ადამიანი გაუნათლებელი იყოს, მაგრამ დადებით ღირებულებებს ახორციელებდეს, შესაბამისად, ის დადებითი პიროვნებაა. სწავლებითა და განათლებით ადამიანი კეთილი ვერ გახდება. სიკეთის ცოდნა არ უდრის სიკეთის ქმედებას. ამრიგად, ადამიანის ზნეობრივი აღზრდისთვის მხოლოდ პედაგოგიური საშუალებებით ზემოქმედება არ არის საკმარისი. აღზრდის შედეგი შეიძლება იყოს უარყოფითი პიროვნებაც. ამის შესახებ ჯერ კიდევ პლატონმა მიუთითა. [4, გვ. 155].

პედაგოგიური ურთიერთობა არის წინააღმდეგობრივი და ცვალებადი. წინააღმდეგობას ქმნის აღმზრდელისა და აღსაზრდელის სხვადასხვა როლი და დანიშნულება, რაც მათი ინტერესებისა და მიზნების სხვადასხვაობის საფუძველიცაა. ზემოქმედება აღსაზრდელზე ყოველთვის დადებით შედეგს არ იძლევა. არიან აღსაზრდელები, რომლებიც იოლად ითვისებენ აღმზრდელის ყოველგვარ ზემოქმედებას; არიან ისეთებიც, რომლებიც ნაკლებ აქტიურები არიან, ანდა მთლიანად ეწინააღმდეგებიან აღმზრდელის ინტერესებს. პედაგოგიური ურთიერთობის სიძნელეს ქმნის არა მხოლოდ სხვადასხვა აღსაზრდელის ინდივიდუალური განსხვავებანი, არამედ ერთსა და იმავე აღსაზრდელში გრძნობის, გონებისა და ნებისყოფის უნარების სხვადასხვაობა.

ამრიგად, როგორც პედაგოგიური შრომის ანალიზი გვიჩვენებს, ურთიერთობა აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის არ დაიყვანება ობიექტ-სუბიექტის ურთიერთობაზე. აღზრდის პროცესი, რომ მხოლოდ პედაგოგიური ღირებულებების განხორციელება იყოს. აღზრდას, არსებითად, ცალმხრივი ხასიათი ექნებოდა. ურთიერთობის ორივე მონაწილისათვის ეს პროცესი არის, აგრეთვე, სუბიექტების, პიროვნებების ურთიერთობის პროცესი, რადგან აღსაზრდელის აქტიურობა აუცილებელია აღზრდის პროცესისათვის. სხვანაირად შეუძლებელია იმ ზნეობრივი ღირებულებების ათვისება, რომლებიც

სწავლა-აღზრდის პროცესში გადაეცემათ აღსაზრდელებს. ამდენად, აღსაზრდელი, როგორც თვითაქტივობის მატარებელი, არის აღზრდის პროცესის სუბიექტიც.

პედაგოგიური ურთიერთობისათვის სპეციფიკურია ისიც, რომ აღზრდის პროცესში არა მხოლოდ აღსაზრდელი ყალიბდება, არამედ აღმზრდელის ბუნებაც ვითარდება, უფრო მეტად სრულყოფილი ხდება. აღმზრდელი, როგორც შრომის სუბიექტი, არა მხოლოდ სხვებს „გარდაქმნის“, არამედ თვითონაც „გარდაიქმნება“. პედაგოგიური შრომის პროცესში აღმზრდელი სრულყოფს თავის პედაგოგიურ უნარებს, ცოდნას და გამოცდილებას. პედაგოგიურ პროცესში აღმზრდელის მიერ პედაგოგიურ ღირებულებათა განხორციელებისათვის ზრუნვა მის ზნეობრივ სახესაც ცვლის. ამიტომ პედაგოგიური შრომის ამოცანას არა მხოლოდ სხვების აღზრდა შეადგენს, არამედ თვითაღზრდაც.

პედაგოგიურ ურთიერთობაში ხორციელდება აღზრდის მიზანი: აღსაზრდელის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური სრულყოფა; აღზრდის პროცესი მთლიანად ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება. მაგრამ ზნეობრივი აღზრდის მიზნის განხორციელებისათვის აღზრდის პროცესში უნდა გამოიყოს ზნეობრივი ურთიერთობები. აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის ზნეობრივ ურთიერთობაში აღმზრდელი მოიხმარს ზნეობრივი აღზრდის საშუალებებს, როგორცაა საუბარი, რჩევა-დარიგება, გაკიცხვა, საყვედური და ა. შ. აღზრდის საშუალებებით მოქმედებისას აღმზრდელის მოქმედება განპირობებულია აღზრდისთვის დამახასიათებელი ობიექტური კანონზომიერებებით და რეალური სიტუაციით. აღმზრდელის მიერ ამ პირობების გათვალისწინება და შესაბამისი მოქმედება ხელს შეუწყობს აღმზრდელობითი საშუალებების წარმატებით განხორციელებას.

ამრიგად, ზნეობრივი აღზრდის პროცესში პედაგოგიური შრომის არსს აღმზრდელისა და აღსაზრდელის ზნეობრივი ურთიერთობა შეადგენს, რომელიც თავის მხრივ, პედაგოგიური მორალის საფუძველია. პედაგოგიურ მორალზე, როგორც პედაგოგიური ეთიკის საგანზე ვერაფერს ვიტყვით, თუ არ გვეცოდინება პედაგოგიური შრომის პროცესში ზნეობრივი ურთიერთობის არსი, მისი სტრუქტურა, მისთვის დამახასიათებელი ობიექტური კანონზომიერება და ის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ცვალებადობა-განვითარებაზე.

პედაგოგიური მორალი პედაგოგიურ პროცესში მონაწილე ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა მხარეებს გამოხატავს, კერძოდ, იმ მხარეებს, რომლებიც ზნეობრივ შეფასებას ექვემდებარებიან.

აღზრდაში, კერძოდ ზნეობრივ აღზრდაში, ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა აუცილებლად გულისხმობს აღზრდის კულტურის განსაზღვრულ დონეს. აღზრდის კულტურა, ზოგადად თუ ვიტყვით, აღზრდის პროცესში განხორციელებულ ღირებულებათა სინამდვილეა. აღზრდის კულტურა მასში მონაწილე ადამიანების მიერ ყალიბდება; მისი მოძრაობა-ცვალებადობა ბუნების ცვალებადობისაგან განსხვავებულია, რადგან მასში ადამიანები თავიანთ მიზნებს ახორციელებენ. აღზრდის პროცესში მიზანთა რეალიზაცია ხელს უწყობს (ან ხელს უშლის) პიროვნების ზნეობრივი კულტურის განვითარებას. აღსაზრდელებში ზნეობრივი კულტურის ჩამოყალიბება გულისხმობს აღზრდის პროცესის მონაწილეებს შორის ელემენტარული ადამიანური ურთიერთობების არსებობას.

აღზრდის პროცესში ადამიანურ ურთიერთობათა განვითარებას აძნელებს ის გარემოება, რომ აღზრდა სულიერ ღირებულებათა ათვისების სფეროა, სადაც საქმე გვაქვს განსხვავებული მიზნების, ინტერესებისა და უნარების მქონე ადამიანთა ურთიერთობებთან. ცხადია, აქ ზნეობრივ ღირებულებათა დიდი სიმრავლეა ჩართული. პედაგოგიური და ზნეობრივი აღმზრდელითი მუშაობის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, რომ ნათლად იცოს გარკვეული ღირებულებათა რავგარობა: რომელი ღირებულებანი გამოდიან როგორც საშუალება ღირებულებანი და რომელი, — როგორც მიზანი ღირებულებანი, სხვა სიტყვებით, რომელი ღირებულებანი უნდა წამოვიწიოთ წინა პლანზე, ხოლო რომელი დავაყენოთ უკან. აღზრდის პროცესის ყველა მონაწილეს მოეთხოვება მოიქცეს ადამიანურად. მაგრამ ადამიანურ ურთიერთობებს აღზრდის პროცესში აძნელებს ის, რომ აღზრდა სულიერ ღირებულებათა ათვისების სფეროა და ამასთან საქმე გვაქვს განსხვავებული მიზნების, ინტერესების და უნარების მქონე ადამიანთა ურთიერთობებთან. ერთი სიტყვით, აღზრდაში ზნეობრივი ღირებულებების სიმრავლეა ჩართული. საქმე ეხება იმას, ეს ღირებულებები საშუალება-ღირებულების სახით მონაწილეობენ მასში, თუ მიზან-ღირებულებათა სახით, მხოლოდ მომწესრიგებელი როლი აკისრიათ მათ თუ თავისთავადი ღირებულება აქვთ.

აღზრდის კულტურა პედაგოგიური და ზნეობრივი ღირებულებების განხორციელებაა. იმისდა მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ეს ღირებულებები აღზრდის პროცესში, რა ადგილი უკავიათ მათ, შეიძლება ვილაპარაკოთ მიღებული კულტურის მდგომარეობაზე, დონეზე, მის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეორე მხრივ, აღზრდის კულტურა აღმზრდელებისა და აღსაზრდელების რეალურ ურთიერთობას წარმოადგენს. ამ ურთიერთობის ყოველი მონაწილე გარკვეული ზნეობრივი კულტურის მატარებელია. შეიძლება, მაგალითად, ვილაპარაკოთ აღმზრდელის ზნეობრივი განვითარების დონეზე, პედაგოგიური კოლექტივის ზნეობრივ დონეზე, ადმინისტრაციის ზნეობრივ დონეზე, მშობლების ზნეობრივ დონეზე, აღსაზრდელების ზნეობრივ დონეზე, და უფრო ფართოდ, საზოგადოების ზნეობრივ დონეზე. მათი ზნეობრივი კულტურის დონის გაგებისათვის აუცილებელია იმ ღირებულებათა გამომკვლავება, რომლებიც ზნეობრივი აღზრდის კულტურაში არსებით როლს ასრულებენ. ამ ამოცანის განხორციელება ევალება პედაგოგიურ ეთიკას.

ზნეობრივი აღზრდის მიზანს ადამიანის გაუმჯობესება, გაკეთილშობილება შეადგენს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს ადამიანის გონებაზე, გრძნობაზე და ნებაზე ზნეობრივ ზემოქმედებას. აღზრდის პროცესში აღმზრდელს საქმე აქვს კონკრეტულ, ცოცხალ ადამიანთან, რომლის ზნეობრივი აღზრდისათვის ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია. აქ ვლინდება პედაგოგიური ეთიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ფილოსოფიური ეთიკისაგან.

აღზრდის პროცესის თავისებურებაა ისიც, რომ აღზრდის სუბიექტის, აღმზრდელის, ინტერესები, მიზნები მიმართული უნდა იყოს მხოლოდ აღსაზრდელზე. აღმზრდელის ზნეობრივი შეგნების დონე განისაზღვრება იმით, თუ რას „აძლევს“ და რა ზომით „აძლევს“ რაიმე ღირებულებას ის თავის აღსაზრდელს. მან აღსაზრდელს თავისი ქცევით უნდა ასწავლოს არა მარტო ის, თუ რას ნიშნავს სხვისთვის ზრუნვა და დახმარება, არამედ ისიც, როგორი უნ-

და იყოს საერთოდ ადამიანი, აღსაზრდელში აღმზრდელი უპირატესად პიროვნებას უნდა ხელაყდეს.

აღზრდის პროცესში თავისებურად იჩენს თავს გრძნობათა კულტურა. ყოველ ადამიანში მოცემულია ღირებულებათა განსაზღვრული წესრიგი. აღზრდის პროცესში შეიძლება განვითარდეს სიყვარულის, მეგობრობის; პატივისცემის, პასუხისმგებლობის გრძნობა და სხვა, შეიძლება პირიქითაც მოხდეს. აღმზრდელის გრძნობათა კულტურაზე და მის შეგნებაზე დიდადაა დამოკიდებული აღზრდის პროცესში სიყვარულის და მეგობრობის, სიძულვილისა და მტრობის გრძნობათა განვითარება.

აღმზრდელის ზნეობრივი შეგნება და ღირებულებათა წესრიგი ზნეობრივი აღზრდის კულტურის სტრუქტურას ქმნის. მაგრამ ზნეობრივი აღზრდის კულტურა ამით არ ამოიწურება. აღმზრდელის ზნეობრივი შეგნება და ზნეობრივი ღირებულებანი გამოვლინდება მის მოქმედებაში. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ზნეობრივი ღირებულებანი და რა ზომით ხორციელდებიან აღმზრდელის ქცევაში, შეიძლება ვილაპარაკოთ მის მაღალ ან დაბალ კულტურაზე. ქცევის კულტურა, რასაკვირველია, გულისხმობს ზრდილობიან და ტაქტიან მოქმედებას, მაგრამ ეს ქცევის კულტურის გარეგნული ნიშნებია. ქცევის კულტურა განისაზღვრება იმ ნორმით, პრინციპით ან კანონით, რომელსაც ის ემორჩილება. შეგნებული მოქმედება არის ამა თუ იმ ნორმის, ღირებულების მიხედვით მოქმედება.

ზნეობრივი აღზრდის კულტურა, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ელემენტი, არ არის ერთ დონეზე გაჩერებული, უძრავი და უცვლელი: ზნეობრივი აღზრდის კულტურა ვითარდება. მის განვითარებაზე სხვადასხვა ფაქტორები მოქმედებენ (მაგ. ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული და სხვა).

აღზრდის კულტურის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ღირებულებებს ახორციელებს აღმზრდელი თავის მოღვაწეობაში, რომელი ღირებულებებია მისი მოქმედების წარმმართველი. ზნეობრივი კულტურის დონე გაცილებით მაღალი შეიძლება იყოს თუ აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის არსებობს თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. აღსაზრდელსა და აღმზრდელის ურთიერთობაში თანასწორობა გულისხმობს სიკეთისქმედებას, აღსაზრდელის კეთილდღეობას, მის პიროვნებას, როგორც მიზანს, ხოლო მოქმედ სუბიექტს, აღმზრდელს, როგორც საშუალებას, აღსაზრდელის დაფასების, პატივისცემის და სიყვარულის საფუძველი სწორედ ეს არის. აღმზრდელის ასეთი მოქმედება არის ადამიანობა, როცა სხვისი კეთილდღეობა არის მიზანი, ხოლო სიკეთისქმედება — საშუალება. აღმზრდელის ასეთი ურთიერთობა აღსაზრდელისადმი წარმოადგენს უანგარო მოქმედებას. აღსაზრდელისა და აღმზრდელის ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობაზე, თავის მხრივ, ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის აღზრდის პროცესში ისეთი ღირებულებების განხორციელებისათვის, როგორცაა მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთნდობის, ზრუნვის, გულისხმიერების, ყურადღებიანობის, მომთხოვნელობის, პრინციპულობის ღირებულებები. აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, აღმზრდელის ცოდნის დონეს, ავტორიტეტს, პროფესიულ ოსტატობას და ა. შ. ყველა ეს კომპონენტი პედაგოგიური მორალის შინაარსს შეადგენს. როგორია ამ ღირებულებათა ურთიერთობა აღზრდის პროცესში, რომელი ღირებულებებია უფრო მნიშვნელოვანი, რომელი დაქვემდებარებული, ეს არის ამოცანა,

რომლის განხორციელება პედაგოგიური ეთიკის საქმეს შეადგენს. პედაგოგიური მორალის შინაარსს შეადგენს აგრეთვე პედაგოგიური ტაქტის დაცვა და განხორციელებაც.

პედაგოგიური მორალი ყალიბდება პედაგოგიური შრომის პროცესში წარმოშობილი მოთხოვნებისაგან, რომლებიც აწესრიგებენ აღსაზრდელებისა და აღმზრდელების ურთიერთობის რთულ სისტემას. პედაგოგიური ეთიკის ამოცანაა შეისწავლოს ეს ურთიერთობები, მათგან გამომდინარე მოთხოვნები, ნორმები და პრინციპები, სრულყოს და განავითაროს ისინი.

პედაგოგიურმა ეთიკამ უნდა დაამუშაოს ის მორალური პრობლემები, რომლებიც წარმოიშობიან პედაგოგიური მოღვაწეობის სფეროში. უნდა შეისწავლოს და ჩამოაყალიბოს ის მოთხოვნები, რომელსაც საზოგადოება წარმოუდგენს აღმზრდელის ზნეობრივ სახეს. პედაგოგიურმა ეთიკამ უნდა გამოიკვლიოს როგორ ხორციელდებიან (მუშაობენ) კომუნისტური მორალის პრინციპები კონკრეტულ პედაგოგიურ შრომაში.

პედაგოგიურ პრაქტიკაში ზნეობრივ ღირებულებათა როლისა და ადგილის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღზრდის პროცესის სრულყოფისა და განვითარებისათვის. ეს პროცესი სრულყოფილი იქნება იმ ზომით, რა ზომითაც ხდება აქ პედაგოგიურ და ზნეობრივ ღირებულებათა რეალიზაცია.

ლიტერატურა

1. მარქსი კ. ენგელსი ფ. რჩ. ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950.
2. Педагогика, под общей редакцией Г. Нойнера, Ю. К. Бабанского, М., 1984.
3. Писаренко В. И., Писаренко И. Я., Педагогическая этика, Минск, 1977.
4. Платон., Соч. в трех томах, т. 3, М., 1971.
5. Проблемы судебной этики, М., 1974.
6. Чернокозова В. Н. Чернокозов И. И., Этика учителя, Киев, 1973.

მ. ა. ცუცქირიძე

ОСНОВЫ ПЕДАГОГИЧЕСКОЙ МОРАЛИ

Резюме

В работе рассмотрен вопрос о профессиональной этике как основе существования теории профессиональной морали.

Представлены те специфические проблемы, на которые опирается профессиональная мораль. Показано, что основой педагогической морали являются педагогические отношения, которые основываются на специфике педагогического труда, которую создает взаимоотношение воспитателя и воспитуемого.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭავჭავაძემ

А. Р. МДИВАНИ

ПРОБЛЕМЫ ЭСТЕТИКИ ЛАНДШАФТА В РЕКРЕАЦИИ

Проблема эстетики ландшафта привлекает все большее внимание ученых различных специальностей. Эта же проблема стала предметом изучения географов, поскольку сам объект изучения имеет пространственную выраженность, а также обуславливает формирование ряда территориальных процессов. Кроме того, эстетические свойства ландшафтов формируются комплексом различных природных и других факторов.

Природа по своему богатству и разнообразию является предметом исследования и рассуждения не только географов. Именно благодаря своему богатству, она несет огромную социальную функцию, играет большую роль в формировании духовной жизни человека. Человек постоянно нуждается в природе. «Человек живет природой. Это значит, что природа есть его тело, с которым человек должен оставаться в процессе постоянного общения, чтобы не умереть, что физическая и духовная жизнь человека неразрывно связана с природой... ибо человек есть часть природы» [1, с. 92] и что «всемирная история есть не что иное, как ...становление природы для человека» [1, с. 126]. Необходимо отметить, что именно человек придает смысл и значение природе; именно для человека имеет эстетическую ценность природа в целом.

Изучение и сохранение эстетики ландшафта для человека все больше приобретает актуальность в наши дни, когда с развитием цивилизации происходит столь опасное разрушение ландшафта. По мере роста темпов научно-технического прогресса красота ландшафтов все чаще рассматривается как определенный вид природных ресурсов. С этой точки она требует учета, оценки и охраны. Разрушение природы вызывает не только экологическое обнищание, но и равнозначное вырождение человека. Оно уничтожает в нем потребность эстетического восприятия. Здесь уместны слова Андрея Вознесенского: «Все прогрессы реакционны, если рушится человек». Технический прогресс не должен быть «антипрогрессом для человечества».

Эстетическое чувство человека, его способность наслаждаться красотой природы имеют исторический, социальный характер. Касаясь этого вопроса, можно связать красоту природы с источником вдохновенного творчества, с миром творческих эмоций. Не будь берегов Сены, не было бы полотен Моне, Сислея, без холмов Прованса не было бы живописи Ван-Гога, Сезанна, Ренуара. Без прекрасных ландшафтов Имерети не были бы созданы картины Давида Какадзе.

Зеленые пространства, бесспорно, имеют реальную ценность для большинства людей. Оценить их эстетическую роль необходимо, да-

же если она в значительной степени субъективна. Природа — это живой музей; прекрасные пейзажи неопределены для цивилизации. Созерцание бесконечной и изменчивой красоты природы — один из источников радости жизни, одна из побудительных причин жить.

Сегодня речь идет уже не о защите человека от природы, а о защите природы от человека, от чрезмерной мощи и всемогущества человеческого рода; нельзя допустить того, чтобы, разрушая природу, человечество разрушало самое себя.

«Уродуя пейзажи, где природа соединилась с культурой и памятниками иных эпох, живыми свидетелями истории, он стирает свое прошлое и подрывает основу национального, регионального и местного своеобразия. Отнять у планеты природу — значит отнять у нее и культуру. Когда разрушается восхитительный пейзаж, исчезает какая-то доля красоты мира» [5, с. 174].

Поскольку эстетическое чувство социально, то оно и развивается вместе с развитием общества. Сохранение красоты Земли, ее гармонии — одно из условий решения важнейшей задачи коммунистического развития личности, достижения его духовного богатства, моральной чистоты и физического совершенства. Социально-эстетическая значимость природы заключается в том, что, являясь одним из источников (и притом исторически первым) эстетического наслаждения людей, основой художественного вдохновения и стимулом художественного творчества, она (природа) выступает важным фактором эстетического и этического воспитания людей.

Люди всегда положительно оценивают эстетические свойства тех из объективных предметов и явлений природы, которые прямо или косвенно содействуют развитию общества в данный период, расцвету жизненных сил человека. «Социальное и природное в явлениях красоты выступает как внутреннее единство, — говорит С. С. Голдентрихт. — и только благодаря этому единству и возможна красота» [4, с. 84].

Эстетическое отношение человека к ландшафтам зависит как от свойств природы, являющейся объектом эстетического отношения, так и от человека, субъекта, чье отношение отражается в эстетической оценке.

В настоящее время при изучении эстетических ресурсов ландшафтов намечаются два направления. Во-первых, это оценка отдельных пейзажей (видов), которые открываются или с отдельных обзорных точек, или при передвижении наблюдателя по маршруту. Эстетическая оценка таких пейзажей основана на учете множества показателей, характеризующих содержание пейзажа. При этом одни исследователи стремятся исключить влияние эмоций на оценку, а другие, наоборот, большое значение придают именно эмоциональному впечатлению. Полностью отрицать значение эмоционального восприятия ландшафтов нельзя; тем более, что эмоциональная реакция является индикатором определенного качества ландшафтов, т. е. она связана с теми же объективными свойствами последних. В то же время эмоциональная реакция отдельных индивидуумов зависит от целого ряда таких субъективных факторов, как возраст, состояние здоровья, темперамент, уровень интеллекта, тип психологической организации и прочее.

Второе направление — это оценка эстетических ресурсов отдельных территорий, основанная на учете объективных свойств географических ландшафтов, рассматриваемых как природно-территориальные единицы. Эти два направления не противоречат друг другу и ни одно

из них не имеет преимуществ перед другими. По существу, они отражают наличие проблемы масштаба.

Общим недостатком ряда разработок методики эстетической оценки пейзажей (и ландшафтов) является недостаточно четкое определение именно масштаба исследования, а в отдельных случаях также объекта оценки. Очевидно, поэтому не может быть универсальной методики, в равной мере пригодной для оценки отдельных пейзажей и географических ландшафтов разных таксономических ступеней.

По мнению А. Ж. Меллума, при оценке эстетических ресурсов географических ландшафтов следует считаться с реальными возможностями различных масштабов исследования. Поэтому «...в среднемасштабных исследованиях не надо стремиться к установлению качества пейзажей и выявлению среди них наиболее высококачественных («красивых», «живописных», «захватывающих»), в то время как в крупномасштабных исследованиях это приобретает существенное значение» [3, с. 33].

В пределах одного ландшафта по мере передвижения наблюдателя формируется множество пейзажей разного качества и перейти от их оценки в природе к обобщенной оценке ландшафта, показанного в виде ареала на среднемасштабной карте все же нельзя.

Подвергнуть крупномасштабным исследованиям всю территорию республики или даже отдельные физико-географические районы практически невозможно. К тому же, оценка пейзажей в данном случае не может показать объективных территориальных различий в эстетических ресурсах, учет которых необходим при решении таких конкретных вопросов, как обоснование выбора территорий специального назначения, выявление наиболее ценных в эстетическом отношении местностей в целях их охраны, пригодности для рекреации, определение каких-либо характерных визуальных черт строения ландшафтов отдельных природных районов в целях их сохранения и прочее. Эстетическую ценность территории очень важно учитывать при рекреационных оценках — организации отдыха и для туризма. Эстетические ценности служат одним из мотивов выбора мест отдыха. Удовлетворить эти требования могут не крупно-, а среднемасштабные исследования. Поэтому основное значение здесь приобретает разработка методики оценки эстетических ресурсов ландшафтов (ранга местности или комплекса местностей) на основе объективных показателей их строения и структуры.

Вторая проблема, которая встает при выработке методики оценки эстетических ресурсов (как в крупно-, так и в среднемасштабных исследованиях) заключается в необходимости детальной характеристики физиономичности ландшафтов. В данном случае физиономичность рассматривается как одно из объективных свойств ландшафтов, которое определяется по совокупности физиономических компонентов, пространственной контурностью и разнообразными следами человеческой деятельности.

Существует много методов оценки эстетической ценности ландшафтов, но в основном все они пригодны и применительны к ландшафтам равнинного типа, но не для горных территорий. Интерес представляют методики, предложенные В. П. Стаускасом (1969), который проводит оценки по эталонам в виде рисунков и фотографий; А. Р. Будрюнас (1971) измеряет определенные свойства природных объектов и по количественным характеристикам проводит эстетические оценки. В. С. Преображенский и Ю. А. Веденин (1971) ввели

понятие пейзажного разнообразия как критерия эстетических оценок. «Пейзажное разнообразие складывается из характеристики внутренней структуры природного комплекса... и под влиянием связей с соседними территориями. При оценке пейзажного разнообразия исходят из способности человека воспринимать определенное количество зрительных образов» [4, с. 85].

К сожалению, пока не существует единой методики оценки эстетических ресурсов, пригодных для горных территорий. Мы предлагаем следующую методику эстетической оценки для некоторых регионов Грузии. Для проведения наших оценок мы постарались выбрать участки, которые в той или иной степени отражают разнообразие природных ландшафтов республики. Для сравнения были выбраны три региона — Верхняя Сванетия, Ковалукская возвышенность и Вашлованский заповедник, которые характеризуются особыми показателями ландшафта. Оценку этих ландшафтов было решено провести методом социологического опроса экспертов. Была предпринята попытка создания экспертной комиссии, в которую входили географы, психологи, искусствоведы, социологи и художники-архитекторы.

Эксперимент проходил следующим образом. Красота ландшафтов выбранных регионов оценивалась при просмотре слайдов методом анкетирования. Суть данного метода сводилась к двум основным целям: 1. выявление наиболее красивого пейзажа из всех просмотренных слайдов, и 2. выявление критерия оценки роли факторов для каждого пейзажа в отдельности.

Для выбора самого красивого пейзажа была составлена анкета в виде матрицы. Одновременно демонстрировали два слайда, выбирали из них наиболее понравившийся ландшафт. Всего было продемонстрировано 15 слайдов (по 5 слайдов на каждый регион). Группировка проходила следующим образом: слайд № 1 сравнивался со слайдом № 2, затем со слайдом № 3, 4, 5 15; затем слайд № 2 сравнивался со слайдом № 3, 4 15. В анкету заносился номер понравившегося слайда.

Кроме выявления наиболее красивого пейзажа, этот метод дает возможность к пониманию, какой ландшафт более импонирует тому или иному эксперту, тем самым выявить и эстетические вкусы и потребности по их социальной, половой и возрастной структуре.

Для выявления критерия экспертных оценок показанных слайдов была применена анкета другого содержания, анализ которой дает возможность выявить, какому из факторов и кем дается предпочтение при формировании того или иного природного пейзажа. Кроме основных ландшафтообразующих факторов (рельефа, растительного покрова, гидрологии), в анкету были занесены также такие факторы как элементы культурного ландшафта, цветовая гамма, пейзажное разнообразие, экзотичность ландшафта, и отдельно была внесена графа — другие факторы — для указания дополнительных (по мнению экспертов) признаков для того или иного природного пейзажа, не занесенного в анкету.

Оценка роли факторов проходила по 4-балльной системе:

- сильное влияние — 3 балла
- среднее влияние — 2 балла
- слабое влияние — 1 балл
- нулевое влияние — 0

Предпринятая нами попытка оценки эстетических ценностей ландшафтов Верхней Сванетии, Ковалукской возвышенности и Вашлованского заповедника имеет определенную значимость. В первую

очередь это объясняется тем, что природа выступает одним из основных социальных факторов в формировании духовной жизни человека.

Во-вторых, актуальность изучения и сохранения эстетики ландшафтов объясняется тем, что красота природы как ресурс требует учета, оценки и охраны.

Учет восприятия людьми окружающей среды необходим в самых разных областях географии и, в особенности, в рекреационной географии. В организации отдыха людей существенную роль, кроме климатических условий, характера растительности, животного мира и рельефа, играют эстетические особенности той или иной местности.

Интересно исследование американских географов, которых интересовало, почему люди, живущие на побережье Атлантики, почти что у самой кромки океана, невзирая на опасность штормов, не только не покидают опасные районы, но и селятся в непосредственной близости к океану. Может быть, причина в недостаточной осведомленности о грозящей опасности или в отсутствии непосредственного опыта? Оказалось, что нет. И тем не менее, многие даже выравнивают дюны, которые могут защитить их дома от разъяренной стихии, ибо дюны закрывают вид на океан. Таким образом, мы подходим к качественно новому явлению в географии — к поведенческому направлению, тесно связанному с рекреационным, в котором ведущая роль отводится проблемам эстетической оценки ландшафтов.

ЛИТЕРАТУРА

1. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 42, М., 1974.
2. Костинский Г. Д. Вопросы поведения человека и восприятия среды в зарубежной географии (обзор). Известия АН СССР, серия географическая, 1979, № 5.
3. Меллума А. Ж. Опыт оценки пейзажной выразительности географических ландшафтов. В сб.: Охрана природы в Латвийской ССР, Рига, 1972.
4. Савельева В. В., Лукьянченко Л. И., Филиппович Л. С. Эстетические оценки природы Архыза. В кн.: Вопросы рекреационной географии Северного Кавказа, вып. II. Ставрополь, 1977.
5. Сен-Марк Филипп. Социализация природы. М., 1977.
6. Соломнина С. Н. Взаимодействие общества и природы (философские проблемы). М., 1983.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ლელა ალექსიძე

პროკლე და იოანე პეტრიწი: „ყოველი ყოველსა შორის“

სამყაროს მრავალფეროვნებასა და ერთიანობას, მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირს ნეოპლატონიკოსები გამოხატავენ ფორმულით, რომლის თანახმად ყველაფერია ყველაფერში, ოღონდ თითოეულში — თავისებურად. ეს დებულება დეტალურად დაამუშავა პროკლე დიადოქოსმა, რაც მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში — იოანე პეტრიწის კომენტარებში აისახა. „ყოველი ყოველსა შორის, ხოლო საკუთრებით თითოეულსა შორის“, ასეთია პროკლეს მიერ „კავშირნი ღმრთის-მეტყუელებითის“ 103-ე თავში გამოთქმული დებულების პეტრიწისეული თარგმანი (პეტრიწი, I 64.3)¹. მთარგმნელმა მას ორიგინალური კომენტარიც დაურთო, რომლის თეორიულ წყაროებზე ქვემოთ ვიმსჯელებთ.

„ყოველი ყოველსა შორის“ დებულების შინაარსობრივ და ფორმალურ სათავედ ანაქსაგორას შეხედულებაა მიჩნეული: „ყველაფერში ყველაფრის ნაწილი არის“ (B 12)². ანაქსაგორას თანახმად, ბუნების თავდაპირველი ნაერთი, რომელიც განუსაზღვრელი, გრძნობით აღუქმელი თესლებისაგან შედგებოდა, გონებამ აამოძრავა. წრებრუნვის შედეგად, განცალკევება — გაერთიანებით, განსხვავებული საგნები ჩამოყალიბდა, მაგრამ მთლიანად ერთმანეთისგან არაფერი გამოყოფილა: წინააღმდეგ შემთხვევაში ახლის გაჩენისა და არსებობის ასახსნელად განსხვავებული საწყისიდან (ფაქტიურად, არარადან) წარმოიქმნა უნდა დაშვებულიყო, „მაგრამ ვანა შეიძლება არა-თმიდან თმა წარმოიქმნას და ხორცი — არა-ხორცისგან?“ (B 10). „არც ერთი საგანი არ წარმოიქმნება და არ ისპობა, არამედ არსებულ საგანთაგან ხდება მისი შედგენა და გამოყოფა“ (B 17). მხოლოდ გონებაა, ანაქსაგორას აზრით, თავისთავადი და უწყმინდესი, იგი „არც ერთ საგანთან არაა შერეული“, თუმცა „სრულ ცოდნასა ფლობს ყველაფრის შესახებ“ (B 12).

ანაქსაგორას მიერ ნათლად გაცნობიერებული და საგანგებოდ გამოთქმული დებულება თავისებურად, მეტ-ნაკლები დატვირთვით, სხვა ბერძენ ფილოსოფოსთა შემოქმედებაშიც აისახა. იონიელი მოაზროვნეები ისეთ არქეს ეძებდნენ, რომელიც ყველაზე მობილური იქნებოდა განსხვავებულ მდგომარეობაში გადასასვლელად, ან ყველაზე ტევადი — სამყაროში არსებულ მრავალგვარობათა გამოსაყოფად და შთანსათქმელად. სტოელთა მსოფლიო ლოგოსიც

¹ იოანე პეტრიწი დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, თბილისი, 1940; ტ. II, თბილისი, 1937.

² ანაქსაგორას ფრაგმენტები დამოწმებულია გამოცემიდან: Die Fragmente der Vorsokratiker (H. Diels—W. Kranz). Berlin, 1956.

ხომ, გარკვეულად, ყოველსომომცველი იყო, ხოლო ერთ-ერთი ელემენტი (პაე-რი) სხვა ელემენტის (მიწა) თვისებებსაც იზიარებდა (Diog. Laert. VII 137).

ნეოპლატონურ ფილოსოფიაში თეზისმა „ყოველი ყოველსა შორის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მასზე ყურადღების გამახვილება ნეოპლატონიზმის თავისებურებამ განაპირობა. ანტიკური ფილოსოფიის ამ უკანასკნელმა მიმდინარეობამ უნივერსუმის უკიდურესად მონისტური და იერარქიული სისტემა ჩამოაყალიბა. უნივერსალური სტრუქტურა ინტელიგიბილურიდან მატერიალურის ჩათვლით უზენაეს ერთზე იყო დამოკიდებული. ანტიკური წარმართული ნეოპლატონიზმი მკაცრად იცავდა არარადან წარმოქმნის შეუძლებლობის პრინციპს, ამიტომ დეტალურად გაანალიზებულ უნივერსალურ იერარქიაში ყოველი თვისობრივად ახალი საფეხურის შინაარსი მთლიანად წინამავლებით იყო განპირობებული, მაღალი საფეხური მდებალთა არსებობის პირობას შეიცავდა, ხოლო ეს სისტემას სტატიკურსა და ჩაკეტილს ხდიდა.

თეზისმა „ყველაფერია ყველაფერში, ოღონდ თითოეულში — თავისებურად“³, ერთის მხრივ, არარადან წარმოქმნის პრობლემისთვის გვერდის ავლით სამყაროს მთლიანობისა და პარმონიულობის საფუძველი გამოავლინა, მეორეს მხრივ კი, უწყვეტობის პრინციპის შენარჩუნების პირობებშივე განსხვავებულთა არსებობაც შესაძლებელი გახდა. პლოტინის აზრით, ამ დებულების საშუალებით შეიძლება დაპირისპირებულთა შეთანხმება მათი მოხსნის გარეშე. სირიანე მას პითაგორელებს მიაწერდა, იამბლიქოსი — ნუმენიოსს [6, გვ. 257; 7, გვ. 104]. „კავშირის“ 103-ე თავის გარდა, პროკლემ ეს დებულება საგანგებოდ განიხილა „პლატონის თეოლოგიასა“ (IV 1—3; იხ. [8, გვ. 96—97]) და პლატონის დიალოგების კომენტარების სხვადასხვა ადგილას. „კავშირის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი და კომენტატორი ე. დოდსი აღნიშნავს, რომ პროკლე ამ თეზისს მიმართავდა არა მარტო ტრანსცენდენტურ ეიდოსებთან დაკავშირებული პარმენიდული პრობლემების გადასაჭრელად, არამედ ოთხი მატერიალური ელემენტის ერთმანეთთან დასაკავშირებლად (Procl. in Tim. II 26, 23)⁴ და საზიარო ცოლ-შვილთა შესახებ პლატონური შეხედულების გასამართლებლადაც კი (in Tim I 48, 24). იგივე თეზისი საშუალებას აძლევდა მას პასუხი გაეცა კითხვაზე „სად იწყება სფერო?“. პროკლეს აზრით, სფერო თავისებურად — „გონიერად“ არსებობს თვითცხოველში („ავტოჰონი“) და „საიდუმლოდ“, „დაფარულად“ — უფრო მაღალ საფეხურზე (in Tim. II, 77, 10). თეზისი „ყოველი ყოველსა შორის“ გაიზიარა დიონისე არეოპაგელმა, რენესანსის ეპოქაში იგი აისახა ჯორდანო ბრუნოს შემოქმედებაში, შემდგომში კი ახალი მნიშვნელობა შეიძინა ლაიბნიცის მონადოლოგიაში [6, გვ. 254]⁵.

ნეოპლატონიზმში, პლატონის იდეათა თეორიიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უკავია ანალოგიის მეთოდს. თითოეული უფრო მდბალი საგანი ხატია (εἰκᾶς) შესატყვისის მაღალი საგნისა, მაღალი კი მის მიმართ

³ თავისებურება იმ არსის თვისებით განისაზღვრება, რომელიც შეიცავს: გონებაში ყველაფერია გონიერად, მიწაში — მიწიერად და სხვ., იხ. ქვემოთ.

⁴ პროკლეს კომენტარები პლატონის „ტიმაიოსზე“ დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Proclus Diadochus. In Platonis Timaeum commentaria. Ed. F. Diehl. Lipsiae, I, 1903; II, 1904; III, 1906.

⁵ იხ. აგროთეე შ. ხიდაშელი. რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, თბილისი, 1981, გვ. 50—51.

ნიმუშს — მოდელს — „პარადიგმას“ (*παράδειγμα*) წარმოადგენს. „პარადიგმა“ და „ეიკონი“ სტაბილური ტერმინებია, მათი იერარქიული აღრევა, რამდენადაც ვიცი, არა ხდება. სხვა საქმეა, რომ ერთი და იგივე საგანი უფრო მაღალთან შედარებით „ეიკონს“ წარმოადგენს, მდაბლის მიმართ კი „პარადიგმა“. ურთიერთამრეკლავი საგნები ერთმანეთის „ანალოგონები“ არიან; ცხადია, რომ ანალოგიის მეთოდით აგებულ სამყაროს სურათში თუხისი „ყოველი ყოველსა შორის“ მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა.

ანალოგიის პრინციპი საფუძვლად ედო პროკლეს კომენტირების მეთოდსაც, რაც ნათლად გამოვლინდა მის მიერ პლატონის „ტიმაიოსზე“ დართულ განმარტებაში. „ტიმაიოსის“ ძირითადი თემა არის ფიზიკა: მატერიალური, გრძნობადი კოსმოსი. გრძნობადი ხატია („ეიკონი“) იდეალურის, გონითისა, რომელიც თეოლოგიის საგანს წარმოადგენს და ფიზიკურის მიმართ „პარადიგმის“ როლს ასრულებს. ამიტომ, პროკლეს თანახმად, ამ ორთავან თითოეულის შესწავლა შესაძლებელია და საჭირო არა მარტო საკუთარი თავიდან გამომდინარე, არამედ ერთმანეთის საფუძველზეც. პროკლეს აზრით, გონითი სამყარო სრულყოფილიადაა განხილული პლატონის „პარმენიდეში“, ხოლო გრძნობადი — „ტიმაიოსში“. მიუხედავად ამისა, არც „პარმენიდეში“ დარჩენილა უყურადღებოდ ფიზიკური სამყარო, და არც „ტიმაიოსში“ — გონითი, რადგან „გონითში გრძნობადი არის პარადიგმატულად, ხოლო გრძნობადში ხატობრივადაა (*εικονιζόν*) გონითი“ (in Tim. I 13, 7). ფიზიკური სამყარო წარმართულია ღვთაებრივის მიერ და თავად „ტიმაიოსი“ საშუალებას იძლევა ფიზიკურის არა მარტო ფიზიკური, არამედ თეოლოგიური განხილვისაც (in Tim I 8, 4).

არსთა იერარქიული ანალოგობა აუცილებელ პირობას ქმნიდა იმისათვის, რომ პროკლე ისტორიული მოვლენების განხილვისას უნივერსალურზე გადასულიყო (in Tim. I. 182,7); ნაწილებიდან — მთელზე, ხატებიდან — პარადიგმებზე (in Tim. I 206,16), ფიზიკიდან — თეოლოგიაზე (in Tim. I 227,2), ასეთი კომენტირების ფუძემდებელი იამბლიქოსი იყო [5, გვ. 578]. პროკლე ნეოპლატონიკოსთა შორის (თავისი მასწავლებლის, სირიანეს გარდა) განსაკუთრებული მოწიწებით სწორედ იამბლიქოსს მოიხსენებდა ხოლმე. კომენტარების ზემოთ ხსენებული მეთოდის გარდა, იამბლიქოსი სხვა საკითხებშიც პროკლეს წინამორბედი იყო: ნეოპლატონიკოსთა შორის განსაკუთრებული მონდომებით პირველად მან სცადა ავტორიტეტულ პირთა იდეების შეთანხმება (აღმოსავლეთისა და საბერძნეთის ბრძენნი, წინასწარმეტყველნი, პოეტები, ფილოსოფოსები). უფროსი თაობის ნეოპლატონიკოსების, პლატონისა და პორფიროსის აზრით კი, სულ არ იყო აუცილებელი, რომ ძველი დიდი ფილოსოფოსების შეხედულებები (პითაგორა, პლატონი, არისტოტელე) ერთმანეთს თანხედენილიყო, ან უფროსს სათაყვანო მითოპოეტების (პომეროსი, ორფევისი) მსოფლმხედველობასთან შეთანხმებულიყო [2, გვ. 56]. პროკლე ამ საკითხშიც იამბლიქოსის მტკიცე მიმდევარი აღმოჩნდა: მან დახვეწა, დეტალებით გაამდიდრა ანტიკური კულტურის განსხვავებული კომპონენტების სინთეზი და იგი თავისი შემოქმედების არსებით ნაწილად აქცია.

ძველი მითოპოეტებისა და ფილოსოფოსების შეთანხმება ანალოგიის პრინციპთანაა ერთგვარ კავშირში: ორფევისისა და პომეროსის გამონათქვამები ღმერთების შესახებ შესაბამისობაშია პლატონის „ტიმაიოსის“ გარკვეულ

დებულებებთან, იმდენად, რამდენადაც თეოლოგიური ვითარება ფიზიკურის პარადიგმაა. ტერმინის „თეოლოგია“ ორაზროვანი ხმარება (ერთი — ტრადიციული მითოლოგიის, ღმერთებთან, „თეოსებთან“ დაკავშირებული მოძღვრების აზრით, ხოლო მეორე — მეტაფიზიკური ონტოლოგიის მნიშვნელობით) საფუძველს აძლევდა პროკლეს, რომ უძველესი მითოპოეტების შემოქმედება პლატონის მეტაფიზიკასა თუ ფიზიკასთან დაეკავშირებინა.

თეზისი „ყოველი ყოველსა შორის“ პროკლესთან ყოფიერების ყველა საფეხურზე დასტურდება. „ტიმოთისის“ კომენტარების დიდი ნაწილი დემიურგის უნივერსალობის ჩვენებას ეძღვნება (დემიურგი მიზეზის სახით შეიცავს ყოველივე კოსმოსს), რაც დემიურგსა და კოსმოსის პარადიგმას შორის მსგავსებაზეც მიუთითებს. პარადიგმა, დემიურგი და კოსმოსი — სამთავე უნივერსუმი; მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ისინი სხვადასხვანაირად შეიცავენ ყველაფერს: პარადიგმა — გონითად (*νοῦμα*), დემიურგი — გონიერად (*νοεμα*), კოსმოსი კი — გრძნობადი, ფიზიკური სახით. შემოქმედი არა მარტო დემიურგია, არამედ პარადიგმაც არის, ოღონდ ისინი სხვადასხვანაირად ქმნიან: დემიურგი — ქმედებით, პარადიგმა კი — საკუთარი არსებობით (*τῆ ἐΐνα*). თავის მხრივ, დემიურგი პარადიგმაც არის: იგი თავისივე თავში ჰვრეტს გონით ნიშნებს, რომლის მიხედვით ქმნის კოსმოსს (უფრო დაწვრილებით იხ. [1] და [3]).

მარტო დემიურგი კი არა (მის მითიურ ანალოგს ზევსი წარმოადგენს), მასზე უფრო შეზღუდული ფუნქციის მქონე ღმერთებიც კი ყველაფერს შეიცავენ, ოღონდ მათში ერთი გარკვეული თვისება ჰპარობს ხოლმე: „ყოველი ღმერთი უნივერსუმი, თითოეული — თავისებურად: ერთი — დემიურგიულად, მეორე — დამაკავშირებლად, მესამე — შეუცვლელად, მეოთხე — ცვალებით, და სხვაც — სხვაგვარად, ღვთაებრივი თავისებურების მიხედვით“ (in Tim. I 308, 3). „ღმერთს“ ამ შემთხვევაში ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს (ღმერთი პროკლესთვის არის ყოველი არსების პირველი და დამოუკიდებელი მიზეზი, იხ. [8, გვ. 99]) და მითოლოგიურიც (მით უფრო, რომ ონტოლოგიურ ცნებებს მითიური პერსონაჟების სახელებიც ჰქვია); არა მარტო ყოველი ინტელიგიბილური არსება შეიცავს გარკვეული სახით სხვებს (ამას ეძღვნება „კავშირის“ 103-ე თავი, იხ. ქვემოთ), არამედ მითიური ღმერთებიც, ნეოპლატონური ინტერპრეტაციის თანახმად, მათთვის განკუთვნილი იერარქიული საფეხურის გარდა, ყოფიერების უფრო დაბალ სფეროებშიც მეტ-ნაკლები პოტენციით ავლენენ საკუთარ თვისებებს. ამიტომ არსებობს რამდენიმე ზევსი, კრონოსი, ჰელიოსი, ათენა და სხვ., ხოლო ერთსა და იმავე ღმერთს სხვადასხვა ღმერთის სახელი ჰქვია. ნეოპლატონიზმი იზიარებს ტრადიციულ გენეალოგიას, მაგრამ, იმავე დროს, მითოლოგიური დროის გაგებას არღვევს: ზევსის ასული ათენა თავისი ბაბუის, კრონოსის თანატოლიც არის და მისი შთამომავალიც [8, გვ. 156], ხოლო კორეს სახით საკუთარი თავის შემდგომ რიგებშიც იჩენს თავს (in Tim. I 166, 25; [8, გვ. 168]). დაპირისპირებულთა ერთიანობა და წინააღმდეგობა, უხუნავსი ინტელიგიბილურებიდან მოყოლებული, უმდაბლესებამდე ვრცელდება და ყოველ საფეხურზე თავისებურად ვლინდება (in Tim. I 174, 12). პლოტინის თანახმად, მატერია გონითიც არსებობს და გრძნობადიც. ეს შეხედულება თავისებურად გაიზიარეს სირიანემ და პროკლემ [7, გვ. 27]. პროკლეს აზრით, მატერია განუსაზღვრელო-

ბის უმდაბლესი საფეხურია, მისი საწყისი პირველი უსაზღვრობაა, რომელიც პირველ საზღვართან ერთად დიადს ქმნის და უშუალოდ ერთს მოსდევს (in Tim. I 385, 1), ამიტომ დიათებრივი საწყისი თვით უმდაბლესი მატერიისგანაც არ არის განდგომილი.

თეზისი „ყოველი ყოველსა შორის“ ლაკონურად არის გადმოცემული პროკლეს „კავშირის“ 103-ე თავში და უფრო დეტალურადაა განხილული პეტრიწის კომენტარებში. კომენტარის დასაწყისში პეტრიწი განმარტავს იმას, რაც 103-ე თავში თავად პროკლეს აქვს ნათქვამი: ტრიადის თითოეული წევრი (მყოფი, ცხოველობა, გონება) თავისებური, საკუთარი თავის შესაფერისი სახით, შეიცავს დანარჩენ ორს. მაგალითად, მყოფში მიზეზოვნებით (*κατ'αίτιαν*) არის ცხოველობა და გონება (პეტრიწი, II 149, 28). პეტრიწის ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ პროკლეს ონტოლოგიის პირველი მყოფი (*τὸ ἕν*) (იგივე „თვითცხოველი“ და „ნამდვილმყოფი“ — *τὸ ἕναὐτὸ ἕν*) მიზეზის სახით ონტოლოგიური იერარქიის მომდევნო საფეხურებსაც შეიცავს. ესენია: 1. პოტენცია — სიცოცხლე, ანუ ძალა — *ξωή, βίσις*; (პეტრიწთან „ცხოველობა“); 2. ენერგია, აქტივობა — გონება — *νοῦς*. არა მარტო მყოფი, არამედ მოცემული ტრიადის სხვა წევრებიც, როგორც ითქვა, შეიცავენ დანარჩენ ორს თავისი საკუთარი არსების შესაბამისად, რასაც პეტრიწის მომდევნო კომენტარი ისაბუთებს (პეტრიწი, II 149, 32). ეს ყველაფერი პროკლეს „კავშირის“ 103-ე თავში აქვს განხილული, ამიტომ პეტრიწის განმარტება სიახლეს არ წარმოადგენს.

მაგრამ „ყოველი ყოველსა შორის“ დებულების დასაბუთებისათვის პეტრიწს ზოგადონტოლოგიური სფეროდან (მყოფი, ცხოველობა, გონება) საბუთების გარდა მოჰყავს მაგალითები ფიზიკური კოსმოსიდანაც, პლანეტებისა და ოთხი ელემენტის („კავშირის“) შესახებ: „რამეთუ არს კრონოს, და ყოველი მის შორის კრონოიანად. და არს მზეცა, მაგრა ვითა მზიანად ყოველი მის შორის. და არს აფროდიტი, არამედ ვითარ აფროდიტიანად. და კჳალად ოთხთაყა კავშირთა ზედა იხილო ესე: რამეთუ ქუეყანასა შორის ქუეყნიერად, და წყალთა შორის წყლიერად, და აირსა შორის აირიელად, და ცეცხლსა შორის ცეცხლიერად; და ყოველი ყოველსა შორის, და თითოეულად თითოეული“ (პეტრიწი, II 150, 4). ვინაიდან თავად პროკლეს „კავშირის“ 103-ე თავში „ყოველი ყოველსა შორის“ დებულების საილუსტრაციოდ ფიზიკიდან მაგალითები არ მოჰყავს, ამიტომ პეტრიწის კომენტარების წყაროები სხვა ტექსტებშია მოსაძიებელი. მათ შორის უნდა დავასახელოთ პროკლეს კომენტარები პლატონის „ტიმაიოსზე“.

მაშასადამე, პეტრიწი ამტკიცებს, რომ თითოეული პლანეტა თავისებური უნივერსუმი (ღმერთების სახელებში პეტრიწი პლანეტებს ვულისხმობს, პროკლე კი, პლანეტებისა და თავად მითოლოგიური ღმერთების გარდა, გარკვეულ ონტოლოგიურ ცნებებსაც). კრონოსზე ყველაფერია კრონოსისებურად, მზეზე — მზიურად, აფროდიტზე — აფროდიტისებულად; იგივე ითქმის ოთხი ელემენტის — მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლის შესახებ.

Στοιχείον-ს, რომელიც თანამედროვე ევროპულ მეცნიერებაში ჩვეულებრივ „ელემენტად“ ითარგმნება, პეტრიწი „კავშირის“ უწოდებს. „სტოიქეიონის“ პროკლესეულ გაგებას პეტრიწის თარგმანი უფრო შეესატყვისება:

ის, რომ თითოეული „სტოიქეიონი“ სხვათა თვისებებსაც შეიცავს, გარკვეულად, დანარჩენებსაც არის ზიარებული და „ყოველი ყოველსა შორის“ პრინციპს ეჭვმდებარება, მიუთითებს იმას, რომ იგი დამოუკიდებელი და შეუვალელი უმარტივესი ნივთიერება — ელემენტი კი არ არის, არამედ თავისებური კავშირი ა. ლოსევის განსაზღვრების თანხმად (მას „სტოიქეიონი“ „სტიქიალ“ ვადმოქვს), პროკლეს „მოძღვრება ოთხი სტიქიის შესახებ სიერცის სხვადასხვა ორგანიზაციის შესახებ მოძღვრებაა“ [4, გვ. 182].

„ტიმიაოსის“ კომენტარში პროკლე გამოთქვამს შეხედულებას, რომლის თანახმად თითოეული პლანეტის სფერო ყველაფერს (ყველა ელემენტს — „კავშირს“) შეიცავს, ოღონდ სხვადასხვა პროპორციით (in Tim. II 49, 3). თითოეული პლანეტის სფერო მთელი კოსმოსია, მიუხედავად იმისა, რომ თითო ვარსკვლავითაა წარმოდგენილი; ეს სფეროები მრავალ ჩვენთვის უხილავ ღვთაებრივ რიგს შეიცავენ (in Tim. III 131, 1), ცალკეული ინდივიდუალური სულებიც მათზე ნაწილდებიან (ზოგი მზეზე, ზოგი მთვარეზე და ზოგიც — სხვა პლანეტებზე) (in Tim. III 131, 19)... „ამიტომაც სწორად ითქმის, რომ თითოეული სფერო კოსმოსია“ (in Tim. III 131, 22).

„ტიმიაოსის“ კომენტარებში პროკლე ელემენტების კოსმიურობის პრობლემასაც შეეხება: „კოსმოსის თითოეულ ელემენტში უნდა დამკვიდრდეს იქნას არსებობა ამ ორი საწყისისა, მიწისა და ცისა: ჰაეროვნად — ჰაერში, წყლისებურად — წყალში, მიწიერად — მიწაში [...] რათა თითოეული ელემენტი სრულყოფილი კოსმოსი იყოს, საწყისთაგან პროპორციულად მოწესრიგებული. რადგან თუკი ადამიანზეც ითქმის, მიკროკოსმოსიაო, მასზე უწინ თითოეულ ელემენტს როგორ არ უნდა ჰქონდეს ყოველივე თავისდა შესაფერისად, ისევე, როგორც მთლიან კოსმოსს აქვს მთლიანად?“ (in Tim. III 172, 3). ყველა ელემენტი ერთმანეთის მოზიარება, მაგალითად ცეცხლი — მიწისა: ცეცხლი ძალიან მოძრავია, და იგი გაიბნეოდა, სიმკვრივეს რომ არ იყოს ზიარებული; ასევე სხვა ელემენტებიც (in Tim. II 49, 4). ელემენტების სამგვარი ნაერთი უნივერსუმის ზედა (ცეცხლოვანს — ციურს), შუა (მთვარის ქვემო) და ქვედა (მიწისქვეშა) სამყაროებს შეადგენს (in Tim. II 49, 14).

გრძნობად კოსმოსში, პროკლეს თანახმად, ყოველივეა ყოველივეში: „რადგან ზაძავს ამითაც გონით კოსმოსს გრძნობადი, და როგორც იქ არის ყოველივე ყოველივეში — გონითად გონითში და გონიერად გონებაში, მთლიანად მთელეში და ცალკეულად ცალკეულებში, ასევე გრძნობად კოსმოსს ყველაფერი აქვს საკუთარ წილთა შესაბამისად; რადგან ცეცხლი, რამდენადაც საგრძნობია, მიწასაა ზიარებული, ხოლო მიწა, რამდენადაც ხილულია — ცეცხლს, და ორთავე — სისველეს: მიწა ხომ მისი საშუალებით შეწყობდება — შეიკვრება და რთავრთდება მისი სიფხვეიერე, ხოლო ცეცხლი მისგან საზრდოობს და მატულობს. ამიტომ უკიდურესნი საშუალონიც არიან“ (in Tim. II 26, 23). ცეცხლი და მიწა, შესაბამისად, პირველი და უკანასკნელი ელემენტებია, ჰაერი და წყალი კი — შუა. საშუალონიც, თავის მხრივ, უკიდურესებს არიან ზიარებულნი (in Tim. II 27, 5).

ასე ასახულებს პროკლე პლანეტებისა და ელემენტების კოსმიურობას პლატონის „ტიმიაოსზე“ კომენტარებში, ისევე, როგორც პეტრიწი „განმარტების“ 103-ე თავში პლანეტებსა და „კავშირებს“ მიუხსილავებს დებულებას „ყოველი ყოველსა შორის, ხოლო საკუთრებით თითოეულსა შორის“.

ლიტერატურა

1. ალექსიძე ლ. ორფიკული ზევისი და პლატონის დემიურგი — „ტიმოიოსზე“ პროკლეს კომენტარების I და II წიგნის მიხედვით. კრებულში: თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა სამუშაო შრომები XII. პუბლიკატურულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია. თბილისი, 1986.
2. Аверинцев С. С. Эволюция философской мысли. В кн.: Культура Византии, IV—первая половина VII в. М., 1984.
3. Алексидзе Л. З. Парадигма космоса Платона и орфический Фанес—в комментариях Прокла к платоновскому „Тимею“. В сб.: Проблемы референции в языке и литературе. Тбилиси, 1987.
4. Лосев А. Ф. Античный космос и современная наука, М., 1927.
5. Шичалин Ю. А. Комментарии. В кн.: Платон. Диалоги. М., 1986.
6. Dodds E. R. Commentary. In: Proclus. The Elements of Theology. II ed. Oxford, 1963.
7. Merlan Ph. Greek Philosophy from Plato to Plotinus. In.: The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy. Cambridge, 1967.
8. Rosàn L. J. The Philosophy of Proclus. New-York, 1949.

Л. З. АЛЕКСИДЗЕ

ПРОКЛ И ИОАНЭ ПЕТРИЦИ: «ВСЕ ЕСТЬ ВО ВСЕМ»

Резюме

В статье рассматривается отражение значительного для неоплатонической философии принципа «все есть во всем, но в каждом — особым образом» в сочинениях Прокла и грузинского неоплатоника XI—XII вв. Иоанэ Петрици. В комментариях к 103-й главе «Первооснов теологии», в которой Прокл излагает данный тезис в общеонтологическом плане (относительно Сущего, Жизни, Ума), Петрици, помимо разъяснения положений Прокла, приводит примеры и из физики — относительно небесных тел и четырех элементов. Источником комментария Петрици следует считать комментарии Прокла к платоновскому «Тимею» (II 26—27, 49; III 131, 172 Diehl).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ფსიქოლოგია

შ. ნაღირაშვილი

კარლ როჯერსი საქართველოში

კ. როჯერსის ჩამოსვლა და მუშაობა ქართველ ფსიქოლოგებთან დიდი მეცნიერული ღირებულების მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

კ. როჯერსი მის სიცოცხლეშივე ფსიქოლოგიის კლასიკოსად იქცა. იგი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებელია. ჰუმანისტური ფსიქოლოგია ამერიკაში გაჩნდა, როგორც „მესამე ძალა“, რეაქცია ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიისა და ფსიქოანალიზის მიმართ.

ცნობილია, რომ დაახლოებით ასი წლის წინ მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ თავისი ჩამოყალიბებისთანავე ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ცნობიერების პროცესები მიიჩნია, მაგრამ ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ფიზიკური და ბუნებისმეტყველური მეთოდებით შეუძლებელია ადამიანის ცნობიერების შესწავლა. სიერცისა და დროის ერთეულებით ძნელია ცნობიერების პროცესების გარჩევა, ხოლო მიზეზშედეგობრივი კავშირებით კიდევ უფრო გაძნელებულია ფსიქიურ მოვლენათა მიმდინარეობისა და ურთიერთობათა დახასიათება.

ამ ვითარების გაცნობიერებას მოჰყვა ამერიკული ბიჰევიორიზმისა და რუსული რეფლექსოლოგიის აღმოცენება. ამ ე. წ. „ობიექტური ფსიქოლოგიის“ წარმომადგენლები ცდილობდნენ ფსიქიკის მაგიერ „შესწავლათ ადამიანის მოქმედებისა და მოძრაობის კანონზომიერებები. მათი აზრით, ამ კანონზომიერებათა საფუძველზე, ადამიანის ცნობიერების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშეც, შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის ბუნების გაგება. პირველი წარმატებების შემდეგ მალე ნათელი გახდა, რომ რეფლექსოლოგიურ და ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას არ შეუძლია ადამიანის ბუნების გაგება, ფსიქიკის კანონების წვდომა. ამ მდგომარეობის გამოწვევებისათვის ერთგვარ კურონულ გზასაც კი მიმართეს. ფსიქოლოგიაში გაჩნდა ე. წ. „სუბიექტური ბიჰევიორიზმი“, რომლის წარმომადგენლები ცდილობდნენ შეესწავლათ ფსიქიკა მხოლოდ ობიექტური მეთოდებით, მაგრამ მხედველობაში მიეღოთ სუბიექტური, ფსიქიკური და ცნობიერების მოვლენებიც. ამ შინაგანმა წინააღმდეგობამ წინასწარ განაპირობა სუბიექტური ბიჰევიორიზმის წარუმატებლობა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კრიზისი.

ფსიქოლოგიისაგან სხვა მეცნიერებანი და საერთოდ საზოგადოება ყოველთვის მოითხოვდა ადამიანის ბუნების გაგებას. ვერც ცნობიერების ფსიქოლოგიამ, ვერც ბიჰევიორიზმმა და ვერც სუბიექტურმა ფსიქოლოგიამ ვერ შესძლო რაიმე არსებითი ცოდნის მოპოვება ადამიანის შესახებ. აბსტრაქტული ფილოსოფიური თეორიები ადამიანის ბუნების შესახებ ბევრ საინტერესო დაკვირვებასა და იდეას იძლევიან, მაგრამ მყარი მეცნიერული მეთოდის უქონლობის გამო ვერ ხერხდება სინამდვილესთან მათი შესატყვისობის დადგენა, მათი რეალობის დასაბუთება.

ასეთ პირობებში 50—60-იან წლებში მასლოუს, როჯერსის და სხვათა გავლენით ჩამოყალიბდა „პუმანისტური ფსიქოლოგია“, რომელმაც თავის კვლევას საგნად თვითონ ადამიანი, მისი „მე“, მისი პიროვნება აქცია. გარდა თეორიული და მეთოდოლოგიური მუშაობისა, მის. განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა კ. როჯერსის პრაქტიკულმა ფსიქოთერაპიულმა მუშაობამ. როჯერსი ფსიქოთერაპიულ მუშაობას ყოველთვის განიხილავდა როგორც პიროვნების ფორმირების პროცესს, რომელსაც თავის გზები და კანონები გააჩნია. მაგრამ ამ კანონების ამოქმედებისათვის საჭიროა ადამიანს პჭონდეს გარკვეული სოციალური ურთიერთქმედების გარემო. როჯერსი თავისი ფსიქოთერაპიული მუშაობით ცდილობს ადამიანებს შეუქმნას ასეთი გარემო. ფსიქოთერაპიული მუშაობა როჯერსის აზრით, სამედდინო საქმიანობით არ ამოიწურება, რადგან პიროვნების ფსიქიკური გაჯანსაღება თავისთვის სწორ გაცნობიერებასაც, თვითდადგენასაც გულისხმობს. ამ პროცესში დიდი როლი ენიჭება ფსიქოთერაპიის განსაკუთრებულ ტექნიკას, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს დაძლიოს პირობები, რომელიც მისი პიროვნების განვითარებას აფერხებს. ამ თერაპიული პროცესის დახასიათებისათვის მან შესატყვისი ტერმინებიც შემოიღო. მისთვის ფსიქოთერაპევტი — ფსიქოკონსულტანტია, ავადმყოფი — კლიენტია, ფსიქოთერაპია — ფსიქოკონსულტაცია. ამ პროცესს იგი არასაქციმთ თერაპიასაც უწოდებს. ასეთი თერაპიის პროცესში კლიენტები ფსიქოკონსულტანტს თავისი სიძნელეების, კონფლიქტებისა და ნევროტულ განცდებზე უყვებიან. ფსიქოკონსულტანტის მოვალეობა ამ პროცესში ის არის, რომ მან კლიენტის განცდები, აზრები, რეაქციები შეფასების გარეშე მიიღოს, ჩასწვდეს მათ აზრს, გამოამჟღავნოს თავისი ემპათიური გაგებითი, თანადგომითი დამოკიდებულება მისდამი. ფსიქოკონსულტანტის შეუფასებლობითი დამოკიდებულება და ემპათია გულისხმობს არა მხოლოდ მათ კრატეკაზე უარს თქმას, არამედ მათ შეწყყარებასა და შექებასაც გამორიცხავს. შეფასების გარეშე ასეთი ემპათიური ურთიერთობის დამყარება მეტად ძნელი ამოცანაა და რთულ ტექნიკას გულისხმობს. თერაპიული პროცესის განხორციელების როჯერსის ძირითადი პირობებია იმაში მდგომარეობს, რომ თერაპიულ ეფექტს თერაპევტის გარკვეული სახის განწყობები ქმნიან, რომლებიც უშუალოდ არიან მისაწვდომი კლიენტისათვის. ფსიქოკონსულტანტის მიერ კლიენტის გაგების გავლენით ადამიანი აღწევს თვითაქტუალიზაციას, თავის შინაგანი სფეროების გახსნას. მისი შინაგანი სამყარო გასაგები ხდება ფსიქოკონსულტანტისათვის და თვით კლიენტისათვის. თავისი განცდების გაცნობიერების და გაგების გზით ადამიანი იგებს თავის თავს, სწვდება მრავალ თეორიულ დებულებას პიროვნების ბუნების შესახებ და აგებს საკუთარ ფილოსოფიურ და იდეურ სინამდვილეს.

მთელ ამ პროცედურას როჯერსი კლიენტზე ცენტრირებულ ფსიქოთერაპიას უწოდებს. ამ მეთოდში უკუგდებულია სამედიცინო მოდელი, რომელიც გულისხმობს ავადმყოფი ადამიანის დიაგნოსტიკას, სპეციფიკურ მკურნალობას. კლიენტის პირობეების მოხსნა, ნეგროზებისაგან განთავისუფლება მკურნალობასთან არაფრით არ არის დაკავშირებული. მკურნალობა სრულიად არაადექატორია ნამდვილი ფსიქოთერაპიისათვის.

როჯერსმა თავისი ფართო პრაქტიკის პროცესში შექმნა როგორც ინდივიდთან, ისე ჯგუფთან თერაპიული მუშაობის მეთოდები, რომელთა დახვეწაზე იგი გამუდმებით მუშაობდა.

შემდგომში კლიენტზე ცენტრირებული თერაპია როჯერსმა გამოიყენა სწავლა-აღზრდის, წარმოებისა, ოჯახისა და კულტურათა ურთიერთობებში არსებული სიძნელეებისა და კონფლიქტების მოსახსნელად. ადამიანისადმი მიდგომის ეს მეთოდი დღესაც ვითარდება და მას ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ბევრი მიმდევარი იყენებს თავის საქმიანობაში.

აღნიშნული მეთოდი ეყრდნობა პიროვნების თეორიას, რომლის მიხედვითაც პიროვნების ფსიქიკური განვითარებისა და ჩამოყალიბების საფუძველია თვითაქტიუალიზაციის ტენდენცია. პიროვნებაში მოცემულია შინაგანი სიბრძნე და ფუნდამენტალური მიმართულება, რომელსაც ადამიანი უნიკალურობისაკენ მიჰყავს. არსებობს სპეციფიკური ადამიანური ურთიერთობები, რომლებიც ადამიანებს საშუალებას აძლევენ გაიგონ თავის თავი, აირჩიონ მათთვის დამახასიათებელი მიმართულებანი, გამოათავისუფლონ პოტენციური შინაგანი ძალები, რომლებიც თვითგანვითარებას იწყებენ. ეს პირობები ადამიანთა გარკვეული განწყობისეული დამოკიდებულებების საფუძველზე იქმნებიან.

პიროვნებაზე ორიენტირებული ჰუმანისტი ფსიქოლოგებისათვის, ცხადია, ძალიან საინტერესო იყო საქართველოს დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან ურთიერთობა, რომელსაც — როგორც ტომას გრინინგი აღნიშნავს — „აქვე ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დიდი ხნის ტრადიცია“. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ჩვეულებრივად 30—40 კაცის შემადგენლობით ყოველ წელს ზედიზედ ექვსჯერ იყენენ ჩვენი ინსტიტუტის სტუმრები, რომლებსაც უცვლელად ფრენსის მეისი ხელმძღვანელობს. მან რამდენიმე წლის წინ გადმოგვცა კარლ როჯერსის სურვილი საქართველოში ჩამოსვლისა. ჩვენი ძალებით ამ ანოცანის გადაწყვეტა ვერ შევძელით, ხოლო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი ამით ვერ დავაინტერესეთ, რადგან ამ ინსტიტუტისათვის ჰუმანისტურ-ფსიქოლოგიური მიდგომა უცხოა. ამ ინსტიტუტში ძირითადად ფსიქოფიზიკური და საინჟინრო ფსიქოლოგიური პრობლემები შეისწავლება, სადაც მთლიანპიროვნული მიდგომა ძნელად გამოსაყენებელია. ამიტომ ვცადეთ კარლ როჯერსის სტუმრობით დაგვეინტერესებინა ზოგადი ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ინსტიტუტი, რომელსაც პროფ. ა. მათიუშკინი ხელმძღვანელობს. მან მოახერხა პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით საბჭოთა კავშირში მოეწვია კარლ როჯერსი და რუთ სენფორდი, რომლებმაც ანალოგიური სამუშაო ჩატარეს მოსკოვსა და თბილისში.

კ. როჯერსის თეორიული და პრაქტიკული მუშაობა საინტერესო აღმოჩნდა ქართული ფსიქოლოგიისათვის, რადგან როგორც ჰუმანისტური თეორია, ისე განწყობის თეორია ფსიქოლოგიაში პიროვნული მიდგომის მეთოდით მუშაობენ, ჩვენმა შეხვედრებმა წინაშეგვსდგინა და გაამდიდრეს ჩვენი შეხედულებები ადამიანის პიროვნების განვითარებისა და ფორმირების შესახებ. ამიტომ ისინი გრძელდება და მომავალში ორმხრივი გახდება — ალბათ მომავალში ჩვენს ფსიქოლოგებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ ჰუმანისტური ფსიქოლოგია და მონაწილეობა მიიღონ ამერიკის ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ასოციაციის კონგრესის მუშაობაში, რომელიც იმავე თვეებში ტარდება, როდესაც ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია მართავს თავის კონგრესებს.

უნდა ითქვას, რომ ერთგვარი საერთო ორიენტაციის მიუხედავად ჰუმანისტური ფსიქოლოგიისა და განწყობის ზოგად ფსიქოლოგიურ თეორიას შორის მნიშვნელოვანი და პრინციპული განსხვავება არსებობს.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ვერ გაიზიარებს როჯერსის იმ იდეას, რომ პიროვნება თავისი იმთავითვე მოცემული გეგმის რეალიზაციის, აქტუალიზაციის გზით ყალიბდება. ჩვენი აზრით, ყოველივე ამის გარდა, პიროვნების განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს ის სოციალური ღირებულებები, ეროვნული ინსტიტუტები, რეალური პირადი გამოცდილება, რომლებიც ადამიანს გარესიტუაციების სახით ეძლევა. ამიტომ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა რომ მათ გარეშე შესაძლებელია პიროვნების ჩამოყალიბება. ქართულ კაცს ან საბჭოთა ადამიანს თავისი ეროვნული და სოციალური ურთაერთობის გამო, სპეციფიკური პიროვნული თავისებურებების გამო, მისთვის დაშახსიათებელი პრობლემები და პიროვნული სიძნელეები აქვს, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფსიქოკონსულტაციის დროს. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, პიროვნება გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგად იქმნება, ყალიბდება. ამ თვალსაზრისის მიხედვით, პიროვნების ჩამოყალიბება შეუძლებელია გავებული იქნეს როგორც იმთავითვე მოცემული პიროვნული ესკიზის რეალიზაციის პროცესი.

ასევე მიუღებელი ჩანს როჯერსის არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება. მართალია როჯერსი განთავისუფლებულია არაცნობიერი ლიბიდოს, განდევნილ არაცნობიერის და სხვა ფსიქოანალიტური ცნებებისაგან. მაგრამ მისთვის არაცნობიერი მაინც რჩება როგორც უარყოფითი ცნება, რომელიც პიროვნების მიზანშეწონილ და წარმატებით საქმიანობას უშლის ხელს. მისგან განთავისუფლება მისი ცნობიერებაში შემოტანით უნდა მოხდეს. არაცნობიერი ფსიქიკურის ის ფორმები, რომლებიც ადამიანს მიზანშეწონილი და საჭირო ქცევების განხორციელებაში უწყობენ ხელს, კ. როჯერსისათვის უცნობი დარჩა. ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის პრობლემა მისთვის არასოდეს ყოფილა ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი. მისი თეორია ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ცოდნამდე არ ამადლებულა. იგი პიროვნული სიძნელეების, კონფლიქტების დაძლევაზეა მიმართული.

მიუხედავად ამისა კ. როჯერსის პიროვნების თეორიას და პიროვნებაზე ცენტრირებული თერაპიის მეთოდს დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიის განვითარებისათვის, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადაჭრისათვის. მან ჩვენი ყურადღება გაამახვილა ადამიანთა განწყობისეულ ურთიერთობის ფორმებზე, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის პიროვნების განვითარებაზე, მის ფსიქიკურ გაჯანსაღებაზე. მისი შეხედულებები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული საწარმოს, სასკოლო და სამედიცინო საქმიანობის სრულყოფისათვის.

ჩვეულებრივ, უცხოელი ფსიქოლოგები სტუმრად ჩამოსვლის დროს კითხვითი ლექციებს თავისი მეცნიერული მუშაობის შესახებ და ეცნობიან ჩვენ მეცნიერულ მიღწევებს. კ. როჯერსის, რ. სენფორდის და ქართულ ფსიქოლოგთა შეხვედრა სრულიად თავისებური და განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ჩვენი ფსიქოლოგები უკვე გარკვეულად იცნობდნენ კ. როჯერსის ფსიქოლოგიურ მოძღვრებას, ჩვენმა სტუმრებმა წინასწარ, ჩამოსვლამდე გამოგზავნეს სპეციალური წიგნები და სტატიები, რათა

ღრმად გავცნობოდით თეორიას. თავის ფსიქოთერაპიულ მუშაობას სტუმრები მათი თეორიის უკვე კარგად მცოდნე ჯგუფში ატარებდნენ. ამის გამო მუშაობის დასაწყის ეტაპზე ჩვენი სტუმრები ზოგჯერ ოდნავ ღიზიანდებოდნენ კიდევაც, როცა ჯგუფის წევრები თერაპიის პროცესში თეორიულ საკითხებზე მსჯელობდნენ, მაგრამ ისინი ამ დროს მოქმედებდნენ არა მხოლოდ როგორც კლიენტები, არამედ როგორც მეცნიერ-ფსიქოლოგები. ეს ერთგვარად მართლაც ამწელებდა ფსიქოთერაპიული მუშაობის ნორმალურ მსვლელობას. მაგრამ მუშაობის შემდგომ ეტაპზე ორმხრივი დათმობის შედეგად მუშაობამ ძალიან ნაყოფიერად ჩაიარა.

ამ საინტერესო მუშაობის და პირადი შთაბეჭდილებების შესახებ კ. როჯერსმა წერილი მოათავსა ამერიკის ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ასოციაციის ცენტრალურ ჟურნალში. ამ წერილის ოდნავ შემოკლებული თარგმანი ეკუთვნის ინსტიტუტის თანამშრომელს, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს დ. გოგუაძეს, ამასთან ერთად ქვეყნდება ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით აღნიშნულ ჟურნალში დელეგაციის ხელმძღვანელის ფრენსის მესისის და რედაქტორის თომას გრინინგის კომენტარები.

კარლ როჯარსი

საბჭოთა სპეციალისტების სამყაროში *

„მე და ჩემი ცოლი ხშირად ვჩხუბობთ“
„თქვენმა დირექტორს ადგილები წაგვართვა“
„თქვენ სტყუით“
„მე მგონი, თქვენ (კარლ) მოსყიდული ხართ და ასე იმიტომ ლაპარაკობთ“
„არავის არ ესმის რა ძნელია მასწავლებლობა“
„მე თითქმის მთლიანად გაუცხოებული ვარ ჩემს ბიჭთან პირველი ქორწინე-
ბიდან“
„არ ვიცი ვინ ვარ მე სინამდვილეში“
„მე მინდა ჩემი ცოლი, რომელიც სადილს დამიშადავს. რა თქმა უნდა ვხუმ-
რობ“
„თქვენ ეჭვიანობთ მათზე“
„შენ ძალიან მიმწოლი ხარ, არ მომწონხარ“
„მე მგონი არც ერთი ჩვენგანი იმას არ ამბობს რასაც განიცდის“
ასეთია ჯგუფის წევრების გამონათქვამები ჯგუფური მუშაობის ორ სესია-
ზე. სად ჩატარდა ეს მუშაობა — კალიფორნიაში, იტალიაში, ბრაზილიაში? —
არა, სესიები შედგა მოსკოვსა და თბილისში ფსიქოლოგების, პედაგოგებისა
და მეცნიერების ორ ჯგუფთან. ღონისძიებას, როგორც ყოველთვის, წინ უძღო-
და გულმოდგინე და ხანგრძლივი სამზადისი. რუთ სენფორდმა იცოდა, რომ
მინდოდა საბჭოთა კავშირში გამგზავრება სპეციალისტების ჯგუფებთან შესა-
ხვედრად. ჩვენთვის დახმარების გაწევა შეეძლო ფრენის მემისი, ჰუმანის-
ტური ფსიქოლოგიის ასოციაციის მდივანს, რომელიც ხელმძღვანელობდა
ამერიკა-საბჭოთა კავშირის შორის სპეციალისტთა გაცვლის საქმეს, მას
რუსეთში ბევრი ნაცნობი ჰყავს და თვითონაც კარგად იცის რუსული. მალე
მისი მეშვეობითა და მცდელობით საბჭოთა კავშირის განათლების სამინის-
ტრომ მიგვიპატიჟა. მუშაობის ვადა 1986 წლის 25 სექტემბრიდან 15 ოქტომ-
ბრამდე დაინიშნა. რუთმა და მე წინასწარ ვგავაზავნეთ ჩვენი დაწვრილებითი
სამუშაო ანგარიში. დავეგმილი იყო წინასწარ შერჩეულ 30 კაციან ჯგუფთან
5—6 დღიანი ჯგუფური სესიები და საჯარო შეხვედრები, როგორც მოსკოვ-
ში, ასევე თბილისში.

საჯარო შეხვედრები

თუმცა ჩვენ ძირითადად დინტერესებული ვიყავით ჯგუფთან მუშაობით,
მცირე ყურადღება უნდა დავუთმოთ რამოდენიმე საჯარო შეხვედრასაც.

* ეს არის გაერთიანებული ანგარიში ჩემი და რუთ სენფორდის ერთად ჩატარებული
მუშაობისა. ეს ანგარიში მე დამოუკიდებლად დავწერე.

პირველი ასეთი მოაწყო პროფესორმა მათიუშკინმა პედაგოგიკის ინსტიტუტში და მას 350 ადამიანი დაესწრო.

რუთი და მე ვლასპარაკობდით რიგრიგობით, საუბარს რუსულად თარგმნიდნენ ჩვენი ერთგული თარგმნელები დიმა და ირინა. მსმენელებს დავპირდით, რომ ჩავატარებდით საჩვენებელ თერაპიულ ინტერვიუს. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ჩავატარე ინტერვიუ რუთის მიერ მსურველებს შორის შერჩეულ კლიენტთან*. პროცედურა საკმაოდ რთული იყო. ინგლისურად მოლაპარაკე კლიენტი და მე ვისხედით სცენაზე მიკროფონების წინ ერთმანეთის პირისპირ. თარგმნელები თარგმნიდნენ ყოველ წინადადებას. მთელი პროცესი ხელოვნური ჩანდა და ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ინტერვიუ ღრმა და ინტენსიური იყო.

ქალი კლიენტი ლაპარაკობდა ქმართან და 17 წლის ვაჟთან გართულებულ ურთიერთობაზე და შემდეგ მოაყოლა დედასთან დამოკიდებულების შესახებ. მან სთქვა, რომ მიუხედავად ზრდასრულობისა დედისაგან დამოუკიდებლობას ვერ გრძნობდა, რომ ეშინოდა მისი და არ შესწევდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მას თავისი ცხოვრების სხვა მხარეები მოწესრიგებული ჰქონდა, მაგრამ ითრგუნებოდა და უმწეო ხდებოდა, როგორც კი დედამისის სახლში შედგამდა ფეხს. სულ ეშინოდა არ აფეთქებულიყო.

კლიენტი ურთიერთობების გარკვევისა და საკუთარი მე-ს ძიების პროცესში იყო. მე ვცდილობდი გამეგო კლიენტის სულიერი მდგომარეობა. ვფიქრობ ინტერვიუს დასასრულს იგი უკვე დაუფარავად გამოხატავდა საკუთარ გრძნობებს ამ ურთიერთობის თაობაზე.

შემდგომ გავარჩიეთ ინტერვიუ, აუდიტორიიდან წამოიჭრა უამრავი შეკითხვა და კომენტარი, როგორც ჩემი კლიენტის, ისე ჩემს მიმართ. იძულებული გავხდი დამეცვა იგი ზედმიწევნით გულმოდგინე და „ღრმა“ ინტერპრეტაციებისაგან.

მეორე საჯარო შეხვედრას მოსკოვის უნივერსიტეტში დაესწრო 900-მდე ადამიანი — სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. საჩვენებელმა ინტერვიუმ იქაც დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელებში. მათ განიცადეს თანამოზიარე, გამგებანი მსმენელის ძლიერამოსილი ზეგავლენა, პროცესში უშუალო მონაწილეობის მიუღებლად. ჩატარდა ძალიან რთული ინტერვიუ ქალთან, რომელიც რჩევას ითხოვდა. იგი შეწუხებული იყო, რომ არავითარ სიყვარულს არ განიცდიდა 18 წლის ქალიშვილის მიმართ, ქალი ელოდა მზა რეცეპტს ჩემგან, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა. თუმცა, დისკუსიის ბოლოს, როდესაც სცენას ტოვებდა სთქვა „მგონი გავიგე, რაც მჭირდა“.

ამ შეხვედრაზე აუდიტორიიდან მივიღეთ ასამდე წერილი შეკითხვებით. შეუძლებელი იყო ყველა საკითხზე პასუხის გაცემა იქვე. ეს შეკითხვები, რომლებიც მოგვიანებით გადავთარგმნეთ და გავაანალიზეთ, ეხებოდა ჩვენს თეორიას, მის შესაძლებლობებს, რელიგიის როლს თერაპიაში და თვით თერაპევტის პირად პრობლემას.

შეკითხვებში იგრძნობოდა ჩვენი მსმენელის კარგი ცოდნა, სერიოზული და გამომწვევი პოზიცია. მოსკოვის საჯარო შეხვედრებზე და კრებებზე ორი ათასამდე ადამიანს შეეხვდით.

* სიტყვა კლიენტი როჯერსი იყენებს გამიზნულად, მასში იგულისხმება ადამიანი, რომელიც თანასწორუფლებიან ურთიერთობას აძყარებს თერაპევტთან და არა პაციენტი, ანუ ავადმყოფი ადამიანი.

რედაქციისათვის

მე შევეცადები შევაჯამო ყველაფერი ის, რაც ჩვენ საჯარო შეხვედრებზე და სესიების პროცესში დავინახეთ.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ დავინახეთ უდავოდ დიდი ინტერესი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის და კერძოდ, კლიენტებზე მიმართული მიდგომის მიმართ. დამსწრე საზოგადოების 85% კარგად იცნობდა ჩემს ნაშრომებს.

ჩვენ შევხვდით ბევრ დახვეწილ თერაპევტს და მცოდნე ფსიქოლოგს. რაც შეეხება პედაგოგებს, ისინი, თუმცა რიცხვით ნაკლები იყვნენ, ფსიქოლოგებზე მეტად მჭერმეტყველები აღმოჩნდნენ. ეს შეეხება მოსკოველ პედაგოგებს.

ჩვენთან შეხვედრისათვის კარგად იყვნენ მომზადებულები როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში. ჩვენს ჩამოსვლამდე ერთი თვით ადრე სპეციალურად მოწყობილი სემინარებზე შეესწავლათ და გაერჩიათ წინასწარ გამოგზავნილი მასალა. ბევრი მათგანი გადაეთარგმნათ რუსულად მოსკოვში და ქართულად თბილისში.

ჩვენ დავინახეთ მასპინძლების გულღიანობა, მხარდაჭერის სურვილი, თუმცა, იყო სკეპტიკური და უარყოფითი შენიშვნებიც. ყოველ შეკითხვასა და კომენტარში იგრძნობოდა მსმენელის ღრმა ცოდნა და საკითხის გააზრება.

ჩვენ დავინახეთ დიდი პიროვნული სითბო და სტუმართმოყვარეობა. მივიღეთ უამრავი საჩუქრები გულითადი წარწერებით.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა რამდენადმე თავისებურ საბჭოურ წეს-ჩვეულებებზე. აქ თითქმის ყოველი წერილმანი დიდ საქმედ იქცევა ხოლმე. მძაფრი კამათი იმართება საჭმლის შეკვეთის, შეხვედრის მოწყობის, მანქანის არჩევის და სხვა ამგვარების თაობაზე. გამაკვირვა იმან, რომ დადგენილი გეგმები და განრიგი ძალიან ხშირად გაურკვეველი მიზეზების გამო იცვლება ბოლო მომენტში. ვარდა ამისა, მივხვდი რომ საბჭოთა კავშირში იერარქიული ბიუროკრატიული პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად დახლართულია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დავინახეთ რომ სპეციალისტები, ის ადამიანები ვისაც შევხვდით საოცრად გვიან თავიანთ ამერიკელ ორეულებს პრობლემებით, ინტერესების სფეროთი, მომავლის იმედებით და პირადი მისწრაფებებით.

რედაქციისათვის

ფრენსის მეისი შეიარაღებული იყო რუსული ენის ფასდაუდებელი ცოდნით, კონტაქტების დამყარების შესანიშნავი უნარით, საბჭოთა ცხოვრების წესის ცოდნითა და გეგმების განხორციელების ნიჭით.

რუთმა და მე თან ჩამოვიტანეთ ფსიქოთერაპიის თანმიმდევრული თეორია, რომლის გამოყენება შესაძლებელია განათლების, ხელმძღვანელობის და კონფლიქტების გადაჭრის სფეროებში. თან ჩამოვიტანეთ ფართო გამოცდილება დიდ და მცირე ჯგუფებთან მუშაობისა. შეგვეძლო პასუხის გაცემა ყველა ტიპის კითხვაზე და კომენტარზე; თანაშენწეობა ჯგუფის წევრებთან როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი განცდების აღქმის უნარით, ხელშეწყობა ჯგუფისათვის საკუთარი მიმართულების, მიმდინარეობის განვითარებაში და ინდივიდუალისათვის საკუთარი თავის თანდათანობით დაუფლებასში.

თან ჩამოვიტანეთ მზადყოფნა ვყოფილიყავით ადამიანები, ვისაც ერთმანეთისაგან გამოიჯვინის, ურთიერთშევესების და ურთიერთდახმარების უნარი შესწევთ.

თან ჩამოვიტანეთ მოთმინება — ყველაზე ღირებული რამ თერაპიისათვის. პროცესის თავისთავადი გზით წარმართვა საჭიროებს მოთმინებით ლოდინს საუბრის, ჩხუბის, დუმბილის, გაუგებრობის დროს.

თან ჩამოვიტანეთ გრძნობების დაუფარავად გამოხატვის სურვილი.

ჯგუფური მუშაობის პროცესი

ჩვენ წინასწარ მოვითხოვეთ შემდგარიყო ჯგუფები ოცდაათი კაცის შემადგენლობით, რადგან გეჰონდა უფრო დიდ ჯგუფებში გაძნელებული მუშაობის გამოცდილება. მოსკოვში პირველ სესიამდე პროფ. მატლეშკინმა შემოგვიჩვენა მსურველები უაღრესად ბევრია, დიდი გაჭირვებით მათგან ორმოცი შევარჩიეთ და ჯგუფის წევრთა რაოდენობას მეტად ვეღარ შევამცირებთო. ჩვენ დაეთანხმდით. ძალიან ნასიამოვნები იყო ყველა, ვინც ჯგუფის წევრად შეირჩა.

მეორე დღეს, როდესაც სამუშაო ოთახში შევედი, ადგილზე ორმოცდახუთი კაცი დაგვხვდა. მათგან ბევრი ისეთი, ვინც წევრთა სიაში არ იყო. ამის გამო ზოგიერთი წინასწარ არჩეული ჯგუფის წევრი გარეთ დარჩა. რუთმა და მე პირველი სესია მოკლე შესავალი კომენტარებით გავხსენით. გვანტერესებდა შეძლებდნენ თუ არა ჯგუფის წევრები გრძნობების დაუფარავად გამოხატვას პირველივე შეხვედრაზე. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამაზე არც უნდა გვეღელვა, ჯგუფის წევრებს შორის ამგვარი მტრული დამოკიდებულება და პირადი ლანძღვა იშვიათად მსმენია. შეუტეის იმათ, ვინც ძალით შემოვიდა ოთახში და სხვები ამის გამო გარეთ დატოვა. მოითხოვდნენ ზოგიერთების ოთახიდან გაძევებას. წარმოიშვა ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, შეტევები და კონტრშეტევები. რუთმა მკაცრად მოითხოვა ჯგუფის შემცირება. მე, ჩემი გულჩვილობის გამო, დაფიქრდი როგორ მოგვეხერხებინა ამ ზომის ჯგუფთან მუშაობა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ რუთსა და ჩემს შორის ასეთი „განხეთქილება“ ჯგუფის წევრებმა მიიჩნიეს კონფლიქტის გამწვავების მიზნით წინასწარ მოფიქრებულ სვლად, რამაც ისინი ძალიან შეაშფოთა. დისპუტი დღის ბოლომდე გაგრძელდა და იმდენად ხმაურიანი და ღვარძლიანი იყო, რომ ჩვენ ჩარევასაც ვერ ვახერხებდით. დღის ბოლოს ერთმა გამოცდილმა კაცმა გვითხრა ეს კამათი არ შეწყდება თუ თქვენ არ ანიშნებთ, რომ გაჩუმდნენო. რუთი და მე მოთმინებით, გამგებინად ვუსმენდით ჯგუფს და არ გვიცდია, რაიმე გადაწყვეტილების გამოტანა ან მისი შეფასება.

მეორე დღეს ატმოსფერო მკვეთრად შეიცვალა, ჯგუფის წევრები, როგორც ჩანს, ღამით დაფიქრდნენ და არ მოეწონათ ერთმანეთის მიმართ თავიანთი საქციელი. გარდა ამისა, აღარ მოუნდათ ამდენი დროის დაკარგვა იმაზე, თუ ვინ შევიდოდა ჯგუფში წევრად. დღის განმავლობაში ამ თემას კიდევ რამოდენიმეჯერ მიუბრუნდნენ, მაგრამ მუშაობა ძირითადად პირად ურთიერთობებს დაეთმო. იშვიათად, მაგრამ დაიწყეს ერთმანეთის მოსმენა. როდესაც ვინმე იწყებდა ლაპარაკს თავის ოჯახურ, პირადულ და მეს-თან დაკავშირებულ პრობლემებზე დანარჩენები მძვინვარედ რეაგირებდნენ. მოლაპარაკეს უსვამდნენ გამომცდელ კითხვებს, იწყებოდა დოგმატური მსჯელობა, ინტელექტუალური ანალიზი, კრიტიკული შეფასებები და თავდასხმაც კი. მე იმდენ-

ნად შემაშინა ამ ფორმის ურთიერთობამ, ადამიანებს შორის ამგვარმა დამოკიდებულებამ, თუმცა ისინი ცდილობდნენ ერთმანეთის დახმარებას, რომ ბოლოს და ბოლოს დაუფარავად გამოეხატე ჩემი გრძნობები. მე ვთქვი, რომ პირადულზე ლაპარაკისას ადამიანი ძალიან გახსნილია და ადვილია მისთვის გულისტყვილის მიყენება, რაც ძალზე საშიშია. ასეთ სიტუაციაში იგი უფრო მგრძობიარეა თავდასხმის მიმართ, ვიდრე მაშინ, როცა თავის თავში იკეტება და მიმართავს თავდაცვას. ჯგუფი კი ზუსტად მაშინ ესხმოდა თავს ინდივიდს, როცა იგი ამქვდავებდა საკუთარ თავს, ჯგუფის წევრები სწორედ ასეთ შემთხვევაში სისასტუკით და დაუნდობლობით მსჯელობდნენ მასზე საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე. მე შემიშფოთა ადამიანების ამგვარმა საქციელმა და კიდევ ვთქვი ჩემი სათქმელი. ჩემს ნათქვამს სიჩუმით შეხვდნენ, თუმცა ყურად იღეს.

მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ პრობლემების უმეტესობა განქორწინებასთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ ერთმა ქალმა ილაპარაკა იმაზე თუ როგორ მიაგნო მან ქმართან ერთად ურთიერთობის უკეთეს გზას. თითქმის ყველა დანარჩენი ამბობდა: „როცა დავტოვე ჩემი პირველი ქმარი...“, „მიჭირს ურთიერთობა ჩემს ბიჭთან პირველი ქორწინებიდან“, „თუ დავტოვე ჩემს მეორე ცოლს“. ბევრი ილაპარაკეს პირველი ქორწინების ბავშვების გაუცხოებასა და მოუწყობლობაზე, მათთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების სიძნელეებზე, როდესაც ისინი ცალკე ცხოვრობენ, ყოფილი ცოლების და ყოფილი დედაპატილების ერთმანეთში მოურიგებლობაზე და ასე შემდეგ.

ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ეს იყო სკოლის დირექტორი და მასწავლებელი ერთდროულად, მიხვდა ჩამეტარებინა მისთვის პირადი ინტერვიუ ჯგუფის წინაშე. ჩვენ ერთმანეთის პირისპირ დავეხედით, მაგრამ იგი ჯგუფს მიუბრუნდა და ჩემთვის აღარ შემოუხედა. მან ილაპარაკა მასწავლებლობასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე, იმაზე, რომ მუშაობისას ვერ იყენებენ ფსიქოლოგების რჩევა-დარიგებებს, მათი უსარგებლობის გამო. მან მოგვითხრო რამოდენიმე ამბავი სკოლის ცხოვრებიდან. თხრობისას იგი ჩიოდა მოსწავლეების ანცობასა და ცუდ საქციელზე, თუმცა ეტყობოდა, რომ ძალიან უყვარდა ბავშვები და ხელი არ ჰქონდა ჩაქნეული მათთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე. იგი მოსწავლეებს დიდ თავისუფლებას აძლევდა, ცდილობდა გაეგო მათთვის, პროგრესულად მიდგომოდა მათ და ამის გამო მის სკოლას „საკვიეთო“ დაარქვეს. ამ მასწავლებელს სურდა მისთვის მოესმინათ და მოახერხა კიდევაც. ჯგუფის წევრებმა კარგად გაუგეს მას და მიხვდნენ თუ რას ნიშნავს იყო ნიჭიერი ბავშვების მასწავლებელი, რომლებსაც ოჯახებიდან მოსდევთ განათლება. ეს მასწავლებელი ქალი მოსკოვის პედაგოგიური ფსიქოლოგიის კვლევით ინსტიტუტთან არსებული ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი აღმოჩნდა.

სამეშუაბი

მესამე დღით ვიგრძენი, რომ ჯგუფი რაღაც განსხვავებულს მოელოდა ჩემგან. გადავწყვიტეთ ჩავეტარებინა ემპათიური მოსმენის საჩვენებელი სეანსი. შეირჩა სამი მოხალისე ადამიანი ჯგუფიდან. ერთი მათგანი თერაპევტის როლს შეასრულებდა, მეორე კლიენტი იქნებოდა, ხოლო მესამე დამკვირვებელი. შევთანხმდით, რომ კლიენტი ილაპარაკებდა ისეთ პრობლემაზე, რომელიც

მართლა აწუხებდა, რათა სენანი როლების თამაშად არ გადაქცეულიყო. მან ილაპარაკა ტრაგიკულ გაუცხოებაზე შვილებთან. „თერაპევტმა“ ბევრი ვერაფერი უშველა, მაგრამ მან მაინც იგრძნო რამდენადმე შეება. შემდგომ სამეუღლე როლებს ცვლიდა ერთმანეთში და იწყებოდა ახალი სენასი.

შესვენების შემდეგ ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის ძალიან გაიოლდა. ხალხი ზედმწიფებით გაიხსნა. ერთმა კაცმა ილაპარაკა თავის დამოკიდებულებაზე ქალიშვილის მიმართ, და ისეთი სარკაზმი და კრიტიკა გამოამჟღავნა, რომ დათრგუნა თერაპევტიცა და დამკვირვებელიც. ერთმა ქალმა გულწრფელად ილაპარაკა ბავშვობაში მშობლების მხრიდან შეზღუდვით გამოწვეულ საკუთარ განცდებზე. იგი შეუჩერებელი ლაპარაკობდა ორმოცი წუთის მანძილზე წისთვის განკუთვნილი 15 წუთის მაგივრად.

სენასების დროს „თერაპევტები“ იშვიათად ახერხებდნენ შეფასების გარეშე მოსმენას. ისინი იძლეოდნენ რჩევებს საკუთარი გამოცდილებიდან, ცდილობდნენ კლიენტის ქცევის გაშიფვრას (ინტერპრეტაციას), მოკლედ, აკეთებდნენ ყველაფერს გარდა ემოციური მოსმენისა, რის დაუფლებასაც ცდილობდნენ.

ნათელი გახდა, რომ მეორე ადამიანის ქეშმარიტი გაგება საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო იშვიათია, ვიდრე ამერიკაში. ასევე ნათელი იყო, რომ ადამიანებს წყუროდით გავივით და მიეღოთ ისინი შეფასებებისა და ინტერპრეტაციების გარეშე. ტრიალების ნუშაობა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. ჯგუფის წევრებს ბევრი ჰქონდათ ნაკითხი და მოსმენილი ამ მეთოდით მუშაობის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად პირველად მოსინჯეს მისი გამოყენება.

ჯგუფის მუშაობის პროცესში მრავალი სერიოზული და ღრმა თემა ამოტივტივდა. გაიშარა ნსჯელობა სიკვდილის პრობლემაზე, კერძოდ, აქვს თუ არა უფლება ერთ ადამიანს მისცეს მეორეს სიკვდილის უფლება. თბილისში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა შ. ნადირაშვილმა დაუფარავად გაარჩია საკუთარი ადმინისტრაციული პოლიტიკა. მან სთქვა, რომ უნდა ჰუმანური იყოს, მაგრამ მცირე მეცნიერული ცოდნა არსებობს ამის პრაქტიკულად განხორციელების შესახებ. მისი კოლეგები და თანამშრომლები ძალიან გახსნილები იყვნენ მასთან. მათ შორის ჯანსაღი და კარგი ურთიერთობა იყო. გარდა ამისა მრავალი დისკუსია გაიშარა განქორწინების და პირველი ქორწინების შვილებთან დაკავშირებული პრობლემების გარშემო, როგორც ადინშიეთ თავიდანვე.

ცვლილებების მაგალითები

მოკლედ აწერ ზოგიერთ როგორც მოსკოვის, ისე თბილისის ჯგუფის წევრებში მომხდარ ცვლილებებს.

მარინამ, ფსიქოლოგმა რომლის სანუშაო მთელი ცხოვრების მანძილზე გულისხმობდა სხვების ასისტენტობას, აღლევებით ილაპარაკა სამეუღლე მონაწილეობის შედეგებზე. მან ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ მიიღეს და თვითონ მიიღო საკუთარი თავი, როგორც დამოუკიდებელი და უნიკალური პიროვნება. მან გვიჩვენა კიდევაც თუ როგორ მოხდა ეს: გაშალა ხელები და მიესალმა საკუთარ თავს „განსარჯობა, მარინა!“, მისი ეს უესტი გამოხატავდა ახალშეძენილ უნარს მიეტოვებინა ძველი ბუდე და დამოუკიდებლად ეფრინა.

ლენას განცდა ცოტა სხვაგვარი იყო. მარინამ საკუთარი ცვლილება ჯგუფში მიმდინარე პროცესს, განსაკუთრებით სამეულში მონაწილეობას მიაწერა. ლენამ კი თავისი ვარდაქმნის წყაროდ ერთ-ერთი თანამონაწილე დასახელა. ამ შემთხვევაში ჯგუფში კლიმატის შექმნის ასპექტი აშკარად ყურადღების გარეშე დარჩა. ბოლო დღეს თვალცრემლიანმა ლენამ თქვა: „ჩემში ცვლილება ჯგუფში მიმდინარე პროცესს არ გამოუწვევია. ეს ოთხი დღის განმავლობაში თქვენთან ყოფნის შედეგად მოხდა... ახლა ვიცი, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს, ნამდვილად აქვს“. სწორედ ლენამ თქვა პირველ დღეს „უიმედოდ ვარ, მე ვერაფერს ვერ მიშველის, საკუთარი თავიცი“.

ლენა 40 წელს მიღწეული ფსიქოლოგია. კარგი სპეციალისტია, კოლეგებთან კარგად არის შეწყობილი. იგი მოეცვა შინაგან სასოწარკვეთილებას, რომ უაზროდ ცხოვრობს, სულ მცირედაც კი ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. ჯგუფის სხვა წევრებიც (განსაკუთრებით ქალები) ამასვე განიცდიდნენ.

ბოლო სესიაზე ალაპარაკდა ერთი ახალგაზრდა კაცი. მას აღარღებდა უფროსი ქალიშვილის პრობლემა. ისინი ვერ უგებდნენ ერთმანეთს. წინა დღით ქალიშვილს მამისათვის უთხოვია რაღაცის ყიდვა, მას კი დავიწყებოდა. კაცმა თქვა „დღეს დღით საუზმეზე ბოდიში მოვუხადე დავიწყებისათვის. ხოლო შუადღეზე ვუყიდე და მოვუტანე რაც მოხოვა. მან ნაღლიერებით შემომხედა და გამოიღმა — ამ რამოდენიმე წლის მანძილზე პირველად“—ო. მან ეს დიმილი ქალიშვილთან ურთიერთობის გამოკეთების ბედნიერ ნიშნად მიიჩნია.

ჯულის მკაცრი მამა ჰყავდა, მილიციის ოფიცერი, რომელსაც მათი ცხოვრება „საქმეს“ მიუძღვნა. იგი ბერდებდა, ცუდად გრძნობს თავს და თან ხვდება, რომ საქმეც წინ ვერ წასწია. ჯულის მუდმივად დაცინის და მასხარად იგდებს ფსიქოლოგობისათვის. ხშირად ჩხუბობენ. ამჯერად ჯულიამ მას სევანების შესახებ უამბო, მან კი დასცინა და უაზრობად ჩათვალა ყოველივე ეს. ჯულიამ შეძლო თავის პოზიციის უჩხუბრად დაცვა. ეს ინიტომ მოხდა, რომ მან თავი დამოუკიდებლად იგრძნო და გარდა ამისა მიხვდა, რომ მამამისი მოხუცებული, იმედგარეუბული ადამიანია, რომელსაც „საქმე“ ცუდად წაუვიდა და არც ქალიშვილმა გაუმართლა იმედი. ჯულიამ მის მიმართ სიბრალული იგრძნო და მწარე სიტყვების ნაცვლად სახლიდან გამოსვლისას მამას აკოცა.

ინსტიტუტის დირექტორმა სთქვა, რომ მეორე დღიდან ახალ ადმინისტრაციულ პოლიტიკას წამოიწყებდა და თანამშრომლებს არა ბრძანებით, არამედ წინადადებით მიმართავდა.

ერთმა მაღალი სტატუსის მქონე კაცმა მეორე დღეს სადილზე ცოლი მოიყვანა თან. სურდა ცოლს გაეგო თუ როგორ იმოქმედა მასზე კაცის და ქალის ურთიერთობაზე გამართულმა დისკუსიამ. მან სთქვა, რომ აქამდე მეუღლეს არ ეპყრობოდა, როგორც თანასწორს, არც ენის სამსახურს აფასებდა ჯეროვნად; ახლა კი აპირებდა საქციელის შეცვლას.

სესიის დასასრულს ერთმა ქალმა საკუთარ განცდებზე ილაპარაკა ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებით. მან სთქვა, რომ პირველ დღეს სკეპტიკურად უყურებდა ყოველივეს. ხალხი ერთმანეთს კარგად იცნობდა. ფიქრობდა, რომ ისინი არასოდეს არ ენდობოდნენ ერთმანეთს ისე, რომ გახსნილიყვნენ. მეორე დღეს მობუზრდა, იფიქრა წვალო, მაგრამ დარჩა. მესამე დღეს სამეულის მუშაობის ჩვენებისას, თავისდა გასაკვირად აღმოაჩინა, რომ ჩაერთო კლიენტის გრძნობებში, ნამდვილად უსმენდა, თუმცა თვითონ სამეულში არ მონაწილეობდა. მის-

თვის იმ წუთებში კლიენტის განცდების გარდა აღარაფერი არ არსებობდა. თუმცა, როდესაც მოვიდა დრო, რომ მონაწილეობა მიეღო ამგვარ მუშაობაში, არ მოუწინა. ბოლოს მაინც მოუწია კლიენტის როლის შესრულება. მან ორმოცი წუთი ილაპარაკა საკუთარი ბავშვობის განცდების შესახებ. სთქვა, რომ მშობლები მას უშლიდნენ ტირილს, საერთოდ ყველანაირ განცდების გამოხატვას. და ახლა ამდენი წლის შემდეგ მას ჰქონდა შესაძლებლობა ეტირა „ეს ყველაზე კარგი განცდა იყო ჩემს ცხოვრებაში“ — თქვა მან სამეფლში მუშაობის დასასრულს. მეორე დღეს იგრძნო, რომ სულ სხვა ადამიანი გახდა, მზად იყო ახლებურად, თავისებურად აღექვა სამყარო.

ასეთია ის მცირე, უშუალო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილების მაგალითები ქცევებსა და განწყობებში რაც ჩვენ შევამჩნიეთ ბოლო ორ დღეს. თითოეულ ჯგუფში იყო ადამიანი, რომელიც „განზე იდგა“. მოსკოვში ერთმა ადამიანმა სიტყვითაღ და პოზიციითაღ ნათელი გახადა, რომ იგი პროცეს-გარე იყო. ბოლო სესიამდე იგი გულზელდაკრეფილი იჯდა. ზემოდან იცქირებოდა და უგულზელყოფდა ყველაფერს რაც ხდებოდა. უკანასკნელ სესიაზე იგი შეუერთდა ჯგუფს. ხოლო სამეცნიერო საბჭოზე შეხვედრისას ყველაზე დამაჯერებლად მან ილაპარაკა ჯგუფური პროცესის სოლიდურ ბუნებაზე და მის ეფექტზე.

თბილისში ერთი შესანიშნავი ახალგაზრდა ოთხი დღის მანძილზე ავლენდა სკეპტიციზმს და შეუვალობას, მაგრამ უკანასკნელ სესიაზე იგი მოღბა და ნამდვილად მოინდომა ჯგუფის ჭეშმარიტი წევრობა. ჯგუფის მუშაობის დამთავრების შემდეგ თავისი ლაპარაკით და საჩუქრებით მან გამოამჟღავნა, რომ ამ პროცესმა მასზე უდიდესი ზეგავლენა იქონია.

ორივე შემთხვევაში ამგვარ ცვლილებას უნდა ვუძღვოდეთ რუთს, რომელმაც სპეციალური კონტაქტი დაამყარა ამ ადამიანებთან. შესვენების დროს იგი მათ დიდი პიროვნული პატივისცემით ელაპარაკებოდა და უთანაგრძობლად უარყოფით განცდებში, ჯგუფის მუშაობის მიმართ. ამგვარმა დამოკიდებულებამ მისცა მათ უფლება ჩართულიყვნენ ჯგუფურ პროცესში დასასრულს.

ჯოგინერთი ჯოგადი დაპირებება

საზოგადოდ მომეჩვენა, რომ მონაწილეები ხშირად უგრძობლები იყვნენ ერთმანეთის მიმართ. თუმცა, როდესაც ვინმე ჭეშმარიტი შინაგანი გრძობით ლაპარაკობდა პირად პრობლემაზე, სიჩუმე მეფდებოდა და ყველა გულდასმით უსმენდა. მაგალითად, ერთი კაცი ყვებოდა თავის მწუხარე განცდაზე ძმის საფლავთან, როცა თავის თავს დაეკითხა „მე ნამდვილად ვგლოვობ, თუ კარგი ნათესავის როლს ვთამაშობ და ისე ვიქცევი თითქოს ვგლოვობ“, ამ დროს ოთახში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით ისეთი თანაგრძობით უსმენდნენ მას. მეორეს მხრივ, როდესაც ვინმე იღებებს წამოაყენებდა ჯგუფის მუშაობის თაობაზე ან ამბობდა თუ რატომ იყო სკეპტიკურად განწყობილი, ხალხი პატარა-პატარა ჯგუფებად აჩურჩულდებოდა. გულდასმით მხოლოდ იმათ უგდებდნენ ყურს, ვინც გულის სიღრმიდან ლაპარაკობდა.

რუთმა გააანალიზა ჯგუფის წევრების გამონათქვამები, რომლებსაც მუშაობის პროცესში იწერდა. მან აღმოაჩინა, რომ თითქმის ყველა პირად განცდებს თან ახლდა „დაკარგულობის“ განცდა. განსაკუთრებით ეს ითქმის თბილისის ჯგუფებზე. შესაძლოა ეს არის მტკიცე ოჯახური კავშირების ანდა ქარ-

თული კულტურის ნიშანი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სიტუაციებში ბევრს ხუმრობდნენ, იგრძნობოდა ცხოვრებაზე შიშივე ჩაფიქრებულობა, აღდგენის უიმედობა. თემა ისევ და ისევ მეორედებოდა.

„მე ვიცი, რაც უნდა ვიყო, მაგრამ შეცვლის ძალა არ შემწევს“
 „მეტი მინდა მივიღო ცხოვრებისაგან, მაგრამ არ ვიცი როგორ“
 „ძალიან მაწუხებს ჩემი ურთიერთობა ქალიშვილთან (სხვები იმეორებდნენ იგივეს ვაჟებზე, დედაზე, მამაზე), მაგრამ ამის შეცვლა შეუძლებელია“
 „ვეგრძნობ, რომ ვერაფერს მიშველის, საკუთარი თავიც კი“
 „აზრი არა აქვს ამაზე ლაპარაკს, მე ვერასოდეს ვერ შევიცვლები“
 „ვერაფერს ვერ მიშველის“
 „იქნებ ბედია, მე ვერ ვახერხებ როგორც თქვენ ამბობთ შეცვლას და ზრდას“
 „მე განწირული ვარ. განა ასე არ არის?“

რვა ადამიანიდან, რომლებსაც ეს გამოჩნატქამები ეკუთვნის, ხუთმა ჯგუფის წინაშე თქვა მესამე ან მეოთხე დღეს, რომ ცოტათი გაიცნეს თავიანთი სასურველი მე და მათი ურთიერთობა შეიცვალა.

თუმცა მოსკოვის და თბილისის ჯგუფები სრულიად განსხვავებულნი იყვნენ — თბილისის ჯგუფი ადგილიდან წელა დაიძრა — ორივეში დრამატულად იყო კონტრასტი პირველ და ბოლო დღეებს შორის. მეოთხე დღეს ჯგუფის წევრები თავისუფლად გამოხატავდნენ გრძნობებს და უფრო ახერხებდნენ ერთმანეთის მოსმენას. ჯგუფის წევრებმა ერთობა განიცადეს და ამის შესახებ იოქვა კიდევაც.

გამასპინძლობა

ჯგუფის მუშაობის დასრულებისას მეოთხე დღეს მოსკოვშიც და თბილისშიც გაგვიმართეს პატარა წვეულება.

თბილისში ამას „ქართული თერაპია“ დაარქვეს. ბოლო დღეს, საღამოხანს მცირეოდენი დასვენების შემდეგ შეგვიყვანს ოთახში, რომელიც სრულიად გამოცვლილიყო. სუფრა გაშლილი იყო 45 კაცისათვის. მაგიდაზე უხვად ეწყო საქმელ-სასმელი. წვეულებისას შეისვა მრავალი სადღეგრძელო, იოქვა მრავალი სასიყვარულო და კეთილი სურვილის გამოხატვები სიტყვა. მასპინძლებმა აგვაგესეს საჩუქრებით. ეს იყო კეთილგანწყობისა და სიყვარულის ფიერვერკი არა მარტო ჩვენს მიმართ, არამედ ერთმანეთის მიმართაც. დაეთმო სადღეგრძელოები მშვიდობიან მომავალს, ჩვენს ორ ქვეყანას შორის უკეთესი ურთიერთგაგების, იმედების, ურთიერთთანამშრომლობის კეთილ სურვილებს.

როდესაც ვუფიქრდები ჩვენს მუშაობას ჯგუფებში ნათელი ხდება, რომ წამოჭრილი საკითხებით ისინი ძალიან გავდნენ მსგავს ჯგუფებს ამერიკაში, ბრაზილიაში, მექსიკაში, იაპონიაში, პოლონეთში, უნგრეთში, იტალიაში, ბრიტანეთში.

ერთი ელემენტი, რომელიც თითქმის ყველა კულტურაში აღინიშნება არის უფრო ღრმა და ინტიმური კომუნიკაციების მოთხოვნილება, სურვილი იქნე მიღებული ჭეშმარიტ, უნიკალურ ადამიანად, ინდივიდად მთელი თანმხლები პრობლემებით.

რამოდენიმე თემას გვერდი აუარეს ორივე საბჭოთა ჯგუფში. ერთი ამათ-
ვანი იყო ქალისა და კაცის ურთიერთობის თემა; ხოლო მეორე პოლიტიკა ვიწ-
რო გაგებით. არაფერი თქმულა მმართველობით სისტემაზე ან რაიმე ამის
მაგვარზე. მხოლოდ ერთხელ ახალგაზრდა კაცს კომენტარზე „ამის მსგავსი არა-
ფერი მოხდება საბჭოთა კავშირში“, ერთმა ქალმა მოკლედ მოუჭრა „ტყუილია,
ჩემი ამბავი ზუსტად ასე მოხდაო“.

როგორც ვთქვი, პოლიტიკის საკითხები არ გარჩეულა, მაგრამ ხშირად
ლაპარაკობდნენ მშვიდობაზე, ჩვენს ორ ქვეყანას შორის უკეთეს გაგებაზე.
გამოთქვამდნენ იმედს, რომ კაცობრიობა შეძლებს ომის თავიდან აცილებას.

მომავალში შედეგები

ნათელია, რომ ახლა ჩვენ არა გვაქვს საშუალება შევადგასოთ გვიანი შე-
დეგები, თუმცა გვაქვს რამოდენიმე არხი, საიდანაც იმედი გვაქვს მივიღებთ
ანგარიშებს. დოქტორ მატეუშკინის ასისტენტი ირინა დავებირდა, რომ გამო-
ვიგზავნიდა მოსკოვის ჯგუფში მოპოვებულ ინფორმაციას.

მე აგრეთვე მსურს მივიღო მოსკოვის უნივერსიტეტში საჩვენებელი სეან-
სის კლიენტის ანგარიში, რომელიც ძალიან იმედგაცრუებული ჩანდა მაშინ. მე
ვფიქრობ, მას უნდა განეცადა რალაც ცვლილებები ქვეყანაში ღროის მანძილზე.
ფრენსის მემის აპირებს გამგზავრებას მოსკოვსა და თბილისში ჩვენი მუშა-
ობის დასრულებიდან 2 კვირის შემდეგ და ალბათ შეძლებს შემდგომში მონაცე-
მების ჩამოტანას.

ინტენსიური სესიების ჭეშმარიტი ზეგავლენა თავს იჩენს თვეების მან-
ძილზე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ყოველგვარი ინფორმაცია, როგორც
არ უნდა იყოს იგი.

როცა შეგვაღარეს სხვაობა

როგორც ვვიამბეს, საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთიდან სხვადასხვა-
დროს ჩამოსული გამოჩენილი ფსიქოლოგები აუდიტორიის წინაშე ერთი-ორი
ლექციის ჩატარებით კმაყოფილდებოდნენ. ამრიგად, ჩვენი ვიზიტი მათი გამო-
სვლებისაგან დიდად განსხვავდებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მუშაობის თავისებურება მდგომარეობდა
იმაში, რომ მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ ჰიპოთეზას ვამოწმებდით არა ლაბო-
რატორიაში, არამედ ბუნებრივად. ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში —
გარკვეულ პირობებში აღიძვრის პროცესი, რომლის მახასიათებლების განსა-
ზღვრება და აღწერა არის შესაძლებელი. უფრო მეტიც. ადამიანს შეუძლია
საკუთარი თვლით დაინახოს, ყურით მოისმინოს და გრძნობადი გამოცდილე-
ბით დაადგინოს ამ ჰიპოთეზის დამტკიცება ან არდამტკიცება. ეს ბევრჯერ
დადასტურდა ჩვენი მუშაობის შესახებ მომხსენებელთა გამოსვლებში.

მეორე თავისებურება გულისხმობს იმას, რომ ჩვენი მუშაობის შედეგად
ადამიანებმა შეიძინეს ცოდნა, როგორც შემეცნებითად ისე გრძნობიერადაც.
მუშაობის პროცესი ხალხმა განიცადა არა მარტო ტვინის უჯრედებით, არამედ
შინაგანად, გულითაც. ჩვენ პრაქტიკულად ვიმუშავეთ ხალხთან და არ შემოვი-
ფარგლეთ ლაპარაკით. დავყავით ოთხ-ოთხი საათი 350-დან 900 კაცამდე
შემცველობის აუდიტორიებთან, ჩავატარეთ ოცდაათსაათიანი ინტენსიური მუ-

შობა 40 და 45 კაციან ჯგუფებთან და სამი ინტერვიუ დიდი აუდიტორიის წინაშე. ამგვარი საჩვენებელი მუშაობის ფაქტი ახალი რამ იყო საბჭოთა ფსიქოლოგებისათვის და ეს აღინიშნა კიდევაც.

მუშაობისას ჩვენ შევძელით ისეთი კლიმატის შექმნა, რომელმაც წარმოშვა ცვლილებები განწყობებსა და ქცევაში. ამგვარი, არადროებითი ხასიათის ცვლილებების აღმოჩენამ გაცოცხლა გამოიწვია საბჭოთა კოლეგებში. ხშირად აღინიშნებოდა ის ფაქტიც, რომ ამგვარი კლიმატის პირობებში ქალი და კაცი მოხერხებულად თანამშრომლობდა ერთმანეთის გვერდიგვერდ, კაცის ბატონობის ამ საზოგადოებაში.

დასკვნითი შენიშვნები

ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ საბჭოთა მოქალაქეების პრობლემების შესახებ. ნათელი გახდა, რომ მათი საზრუნავი მცირედით განსხვავდებოდა აშშ-ში მსგავსი ჯგუფების წევრთა პრობლემებისაგან. აგრეთვე ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის სპეციალისტებს თბილი გრძობები აქვთ ამერიკელი ხალხის მიმართ. აინტერესებთ თუ რაში შეგვიძლია ვითანამშრომლოთ, სწყურიათ ურთიერთობა ამერიკელებთან და ეწაფებიან ჩვენს მიერ ჩამოტანილ ლიტერატურას. მათ აშკარად სურთ მშვიდობა ამ ორ ერს შორის.

ჩვენ გავიგეთ, რომ ერთი და იგივე ფსიქოლოგიური კლიმატი ერთგვარ საეარაუდო შედეგებს იწვევს აშშ-ში, ლათინურ ამერიკაში, ევროპის ქვეყნებში, სამხრეთ აფრიკაში და საბჭოთა კავშირში.

ბევრი რამ შევიტყვეთ საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ მრავალ სხვადასხვა ეროვნებაზე. განვიმსჯელეთ ღრმა პატივისცემით რუსეთის ძველი ისტორიისადმი. საბჭოთა ხალხს მეტად ეშინია ომის, ვიდრე ამერიკელებს, რადგან მათში ჯერ არ განელუბულა წარსულის გამოცდილება. ლენინგრადის ბლოკადაში ხომ 900 000 ადამიანი დაიღუპა 900 დღის მანძილზე. ერთმა გიღმა ქალმა გვითხრა, რომ მისი სანათესაოდან მხოლოდ დედამისი გადარჩა ბლოკადის დღეებში, ჩვენს ისტორიაში მსგავსი არაფერი არ მოიპოვება პარალელის გასაცვლელად.

მომავლისათვის

საბჭოთა კავშირი დავტოვეთ იმ იმედით, რომ კვლავ დავბრუნდებოდით იქ და ამჯერად ჩვენი მუშაობა მოიცავს ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს. ამგვარი პროგრამის განხორციელება საწადელია და შესაძლებელია კიდევაც ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

შენიშვნა

აშშ-ს და საბჭოთა კავშირის დაწესებულებები მთლიანად არ შეესატყვისებთან ერთმანეთს. სიტყვა „მეცნიერება“ უდიდესი მნიშვნელობის მქონეა საბჭოთა კავშირში, აშშ-ში კი იგი სხვაგვარად არის გაგებული. ჩემი შთაბეჭდილებით, ნებისმიერ საუნივერსიტეტო ნაშრომს „მეცნიერული“ ეწოდება. მეცნიერება არის აგრეთვე ნებისმიერი თეორიის განვითარება. რაც შეეხება ემპირიულ კვლევას, მას არა აქვს ისეთი უპირატესობა, როგორც აშშ-ში, თუმცა ამგვარი კვლევებიც ტარდება გარკვეული ზომით ინსტიტუტებში.

ფრინსის უ. მიისი

კარლ როჯერსის მიმგვიდრეობა საბჭოთა კავშირში

კარლ როჯერსის მოგზაურობის შემდეგ საბჭოთა კავშირში მისი პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდება. მე მჯერა, რომ მისი იდეებისა და პიროვნების ზეგავლენა კვლავ იმატებს სიკვდილის შემდეგ.

1986 წ. სექტემბერ-ოქტომბერში კარლთან და რუთთან ერთად საბჭოთა კავშირში სამკვირიანი მოგზაურობის შემდეგ, მე კვლავ დავბრუნდი ამ ქვეყანაში ჰუმანიტური ფსიქოლოგიის ასოციაციის მეოთხე ყოველწლიურ დელეგაციასთან ერთად. ამჯერად იქ დავყავი 6 კვირა, რათა შემესწავლა რუსული და შემეთანხმებოდა ზოგიერთი შემდგომი გაცვლების საკითხი. მოსკოვსა და თბილისში შევხვდი ორი ათასამდე ადამიანს, ვინც მონაწილეობდა ჯგუფურ მუშაობაში კარლის და რუთის ხელმძღვანელობით ან დაესწრო მათ მიერ მოწყობილ სახალხო შეხვედრებს და საჩვენებელ სეანებს.

კარლის და რუთის გამგზავრების შემდეგ საბჭოთა ტელევიზიამ მოაწყო სპეციალური საათიანი გადაცემა მათ შესახებ. ნაჩვენები იყო მათი შეხვედრა დიდ აუდიტორიასთან, ინტერვიუ საბჭოთა ფსიქოლოგიის ღირსშესანიშნავ წარმომადგენლებთან; ზოგადი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან, დოქტორ ალექსეი მატუიშკინთან და მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან პროფ. ა. ბოდალიოვთან. ბევრმა ჩემმა მეგობარმა ნახა გადაცემა და მითხრეს, რომ მასში კარგად იყო გაშუქებული პიროვნებაზე მიმართული მიდგომა.

1986 წლის ნოემბერში, ყველაზე პოპულარულმა საბჭოთა ჟურნალმა „ოგონიოკმა“ (47, 1986), თითქმის მთელი გვერდი დაუთმო სტატიას „მოსკოვური ინტერვიუები კარლ როჯერსთან — ოჯახი და მე“. ჟურნალში მოთავსებული იყო კარლის პორტრეტი წარწერით „ახლანან საბჭოთა კავშირში პირველი ეიზიტი ჩამოვიდა აშშ-ში ჰუმანიტური ფსიქოლოგიის ასოციაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფსიქოლოგი კარლ როჯერსი“. სტატიაში აღწერილია კარლის საჩვენებელი ინტერვიუ ესტონელ ქალთან, რომელმაც ილაპარაკა დედასთან, ქალიშვილთან და საკუთარ თავთან არსებულ პრობლემებზე. ეს ინტერვიუ ჩატარდა ინგლისურ ენაზე სამასკაციანი აუდიტორიის წინ. „...მაგრამ ეს ორი ვერ ხედავდნენ ვერავის და არ ესმოდათ არავისი. ისინი უყურებდნენ და უსმენდნენ მხოლოდ ერთმანეთს... პროფესორ როჯერსის მეცნიერული ინტერვიუს მთავარი პირობა არის უკიდურესი გულწრფელობა. მან ნათლად გვიჩვენა, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მოსმენა და რაოდენ მნიშვნელოვანია გავკვივონ“ — წერდა ავტორი.

რეპორტიორის თხოვნაზე რჩევა მიეცა საბჭოთა ხალხისათვის, კარლ როჯერსმა ასე უთხრა:

„უპირველეს ყოვლისა, მშობლებმა უნდა შეძლონ თავიანთი შვილების, მოსმენა და შეეცადონ სამყაროს დანახვას მათი თვალებით. მეორე, აღიარონ შვილების უნიკალურობა და პატივი სცენ მას. მესამე, ნუ შეეცდებიან დედის ან მამის როლში, ნუ შეეშინდებიან შეცდომების აღიარების შვილების წინაშე. ნუ დაემალებიან ბავშვებს. იყვნენ გახსნილები მათთან და საპასუხოდ ისინიც გაიხსნებიან“.

მე შეეიტყვე, რომ საბჭოთა კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია და განათლების სამინისტრო რუსულ ენაზე გამოსცემს კარლ როჯერსის წიგნს

„თავისუფალი სწავლა 80 წლის ასაკის ადამიანებში“. მასში განხილულია ჰუმანიტური პედაგოგიკის თეორია და პრაქტიკა. წიგნი გამიზნულია მასწავლებლების, ფსიქოლოგებისა და მშობლებისათვის და დაეხმარება საბჭოთა სპეციალისტებს მთლიანი პიროვნების საკითხების დამუშავებაში. კარლთან და რუთთან მუშაობის პერიოდში შექმნილი გამოცდილება და ცოდნა სულ უფრო ღრმავდება საბჭოთა სპეციალისტებში.

ერთმა პროფესორმა ფსიქოლოგმა ქალმა დავასწრო საჩვენებელ მეცადინეობას უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მან დაიწყო სწავლების პროცესში პიროვნებაზე მიმართული მიდგომის გამოყენება. გამოაცა იმ უშუალო დამოკიდებულებამ და სიტომ, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის იგრძნობა, რაც ადრე არ იყო ტიპური ამ სახის ურთიერთობისათვის.

კარლისა და რუთის გამგზავრების შემდეგ მოსკოვის ჯგუფის წევრებმა განაგრძეს ჯგუფური შეხვედრები და არჩევდნენ 4 დღიანი სესიის პროცესში გაკეთებულ ვიდეოჩანაწერს. ამ ჯგუფში კვლავ იგრძნობა ძიებისაკენ სწრაფვა, რაც კარლთან და რუთთან მუშაობის პროცესში ჩაისახა.

თბილისში ერთმა თერაპევტმა შექმნა სამი ჯგუფი პიროვნებაზე მიმართული მეთოდით მუშაობისათვის. ადრე იგი ამ მეთოდს მხოლოდ ინდივიდუალურ კლიენტებთან იყენებდა კარლის წიგნებიდან შექმნილი ცოდნის საფუძველზე.

თბილისის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში კოლეგებს შორის ურთიერთობა „უფრო გახსნილი და გულწრფელი“ გახდა, როგორც მიაბეს. ინსტიტუტის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო 4 დღიან სესიაში „კოლეგებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით“.

კარლის და რუთის ჩამოსვლამდე საბჭოთა კავშირში მოსკოვის ზოგადი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ტარდებოდა ჰუმანიტური ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი სემინარები. სემინარის წევრებმა დაწერეს ნარკვევები თავიანთ მუშაობასთან ამ მიმდინარეობის მიმართების შესახებ და შეკვამ გაარჩიეს ისინი კარლთან და რუთთან ერთად. სემინარები გრძელდება ამერიკული ფსიქოლოგების ვიზიტის შემდეგაც. დაგეგმილია სემინარული ტიპის სერია თემაზე „არის თუ არა ჰუმანიტური ფსიქოლოგია მეცნიერული?“.

პ. კლეინტი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც თავისი წინამორბედების — პ. აუბერტის, უ. იასტროვის, ო. პერსისა და სხვებისაგან განსხვავებით, გადახრის თავისუფლების ოთხი ხარისხით (წინ, უკან, მარცხნივ, მარჯვნივ) მოძრაიე სავარძლის გამოყენებით, დარღვეული სენსორული სივრცის ძირითად განზომილებებში სხვადასხვა პარამეტრებით იკვლია ინტერმოდულური ეფექტები. მაგრამ სამუხსროდ, მკვლევარი მხოლოდ მიღებული შედეგების აღწერით დაკმაყოფილდა მაშინ, როცა მათი რაოდენობრივი თუ თვისობრივი ანალიზი შესაძლებელი და სასურველი იყო [15].

სწორედ აღქმის გზით პიროვნების კვლევისკენა მიმართული პ. ვიტკინისა და მის თანამშრომელთა ცნობილი გამოკვლევები, რომელიც გამიზნულია „სუბიექტი — დარღვეული პერცეპტულ-მოტორული ველი — პიროვნების“ ურთიერთობის შესწავლისადმი [51;52].

აწვდიდა რა ცდისპირებს სხვადასხვა პერცეპტულ ამოცანებს, რომელთა წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელი იყო სივრცეში საკუთარი მდგომარეობის სწორი შეფასება, ვიტკინი შეეცადა გადაეწყვიტა ადამიანის პერცეპციისა და მისი პიროვნული ორგანიზაციის ურთიერთობის საკითხი, რისთვისაც იყენებდა სხვადასხვა ტესტებს. მაგალითად, „ღეროსა და ჩარჩოს ტესტის“ (The—Rod—and—Fram test) მიხედვით, ჩაბნელებულ ოთახში მჯდომ ცდისპირს ევალდებოდა ურთიერთისათვის ვერტიკალურად გაეწონასწორებინა მოძრავი განათებული ჩარჩო და მისგან დამოუკიდებლად მოძრავი განათებული ღერო (შუაღერძი, стержень), რომელიც ჩარჩოში იყო ჩასმული.

მეორე ექსპერიმენტი, „მოძრავი ოთახისა და მოძრავი სკამის ტესტის“ (The tilting—Room—Tilting—chair test) მიხედვით, ცდისპირს მოეთხოვებოდა განესაზღვრა ოთახისა (camera—box) და შუა ოთახში მოძრავად დამა-

გრებული სკამის სწორი მდგომარეობა, რომლებიც ურთიერთის მიმართ 0°-35°-ის დიაპაზონში სხვადასხვა კუთხით იხრებოდნენ მარცხნივ და მარჯვნივ [51]. სკამისა და ოთახის მოძრაობის რეგულირება შეეძლო როგორც სკამზე მჯდარ ცდისპირს, რომელსაც თავისი მოძრაობის სიზუსტის შესახებ ობიექტური ინფორმაცია არ გააჩნდა და მთლიანად საკუთარ ვიზუალურ, პროპრიოცეპტულ-კინესთეტიკურ და სტატიკურ ინფორმაციაზე იყო დაყრდნობილი, ისე ოთახის გარეთ მჯდარ დამკვირვებელს (observer) რომელიც ოთახის ცალ მხარეს დამონტაჟებული გამკვირვალე კედლიდან პირდაპირ აკვირდებოდა ცდისპირის მუშაობას ოთახში და იღებდა როგორც ვერბალურ ინფორმაციას მისი თვითდაკვირვების შედეგების შესახებ, ისე ინფორმაციას ინდიკატორული დაფიდან, რომელიც სკამისა და ოთახის გადახრის სიდიდეებს აღრიცხავდა. სივრცეში სწორი ორიენტაციების მოძებნა სუბიექტისაგან მოითხოვდა ვიზუალური და პროპრიოცეპტული ინფორმაციის „გახლეჩვას“ ანუ ვიტკინის მიხედვით, ირგვლივ არსებული პერცეპტულ-მოტორული ველის ზემოქმედების გადალახვას და მისგან პერცეპტული ინვარიანტების გამოყოფას. აღქმის მყარ მახასიათებლად ვიტკინმა გამოყო ველისადმი დაქვემდებარება-დაუქვემდებარებლობა (dependency-independency) და შეეცადა აღმოეჩინა პიროვნების ისეთი ნიშან-თვისებანი, რომლებიც დაკავშირებულნი იქნებოდნენ ამ მახასიათებლებთან. ამ მიზნით ავტორის მიერ გამოყენებული იქნა რამოდენიმე პროექციული მეთოდი — ა. ბინე-ჰ. რორშახის ტესტი და ჰ. მურეის თემატური აპერცეპციის ტესტი (თატ), აგრეთვე ფიგურების ხატვის ტესტი (F D T), ჰ. აიზენკის კითხვარი. ინტერვიუ და სხვა. ვიტკინის მონაცემებით, ველზე დამოკიდებულ ცდისპირებში, რომელთა აქტივობაზე დიდად მოქმედებს ვიზუალური და პროპრიოცეპტული ინფორმაციის „გახლეჩა“, ხასიათდებიან ობიექტურ: ვარემოსადმი პასიური დამოკიდებულებით, ცუდი კონტროლით საკუთარ მოძრაობაზე, დაბალი შემდგასებლობითი უნარით, პრიმიტიული წარმოდგენებით სივრცეში საკუთარი სხეულის მდგომარეობის აღქმაზე და პირიქით. შემდგომში აღნიშნული ფენომენები შეისწავლებოდა კოგნიტურ, სმენით და ტაქტილურ სფეროებში სხვადასხვა ასაკის ნორმალურსა და პათოლოგიურ მასალაზე. ამ თვალსაზრისით, ვიტკინის ლაბორატორიაში (State University of New York College of Medicine at New York city) ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები სხვადასხვა მეთოდიკებით: „მბრუნავი ოთახის ტესტით“ (The rotating-room test), „ორი ხელის საკოორდინაციო ტესტით“ (The two-hand coordination test), „სხეულის წონასწორობის სტაბილურობის გამოზომი ტესტით“ (The stabilometer for body-balance test), „სმენა-მხედველობის კონფლიქტის ტესტით“ (The Audio-visual conflict test), „ატაქსიის გამოზომის ტესტით“ (The ataxiometer for body-steadiness test). „ქაღალდის კვადრატულ წყვილზე სინათლის კონსტანტობის ტესტით“ (The paper-square-match brightness—constancy test) და სხვა.

შემდგომში ვიტკინი შეეცადა დადგენილი კანონზომიერებანი საფუძვლად დაედო ადამიანის მთელი ფსიქიკური ცხოვრებისათვის.

უფრო გვიან, ვიტკინის შედეგებსა და ფიქსირებული განწყობის ეფექტებს შორის ურთიერთობის ბუნება გამოიკვლიეს ჯ. ჰრიცუკმა და ლ. ტეი-

ლორმა, რომელთაც ამ ორ პოზიციას შორის საინტერესო მიმართება გამოაქვინეს [40].

დარღვეული სენსორული ველის ორგანიზაციისა და პიროვნულ თვისებათა კავშირ-ურთიერთობის საკითხებს შეისწავლიდა პ. კოტენჰოფი, რომელიც მბრუნავ საეარქელში ჩამდგარი ცდისპირების ვიზიომოტორულ მონაცემებს, ექსტრავერსია-ინტრავერსიული პრინციპით შედგენილი თვითშეფასების სკალით მიღებულ მონაცემებს უდარებდა [42]. კოტენჰოფის მტკიცებით, პირდაპირი კორელაცია აღმოჩნდა დარღვეულ ველში დანახული მოძრაობების სისწრაფესა და ექსტრავერსია-ინტრავერსიის სკალის მაჩვენებლებს შორის: ინტროვერტები ველში სწრაფ მოძრაობებს ხედავდნენ, ექსტროვერტები — ნელს. იმ შეიღ მახასიათებელს შორის, რომელსაც დ. მაკელლანდი პიროვნების ანალიზში იყენებს, ინტელექტის, ემოციის, მოტივაციური სფეროსა თუ სხვათა გვერდით, ასახელებს აგრეთვე მოტორულ უნარებს, რომელთა გამოკვლევა ერთ-ერთ ოპტიმალურ გზად მიაჩნია პიროვნების შესწავლის საქმეში [43]. დარღვეული ველისადმი ადაპტაციის პროცესში პიროვნული ნიშნების (ონაწილეობაზე მიუთითებს აგრეთვე რ. ჰელდმა და ა. ჰენმა, რომელთა მიხედვით „აქტიური“ ცდისპირები უფრო სწრაფად აღწევდნენ მაღალი ხარისხის გავარჯიშებას, ვიდრე „პასიურები“ [35].

საზღვარგარეთელ მკვლევართაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში თავმოყრილია გარკვეული თეორიული მნიშვნელობისა და პრაქტიკული ღირებულების ექსპერიმენტული მონაპოვარი სივრცის აღქმის კვლევის სფეროში, აღქმისა და მოქმედების, ვიზუალური და პროპრიოცეპტული ინფორმაციის ინტეგრაციის შესწავლის თვალსაზრისით. ა. ლონტიევის [10], ე. ანანიევის [7], ა. ზაპოროეცის [12, 13], ე. ზინენკოს [14], ა. გატევის [11], ე. ბერეჟნიას [8] შრომები. ინვერსიულ ვიზუალურ ველში ადამიანის ვიზიომოტორიკის საკითხები იკვლიეს ა. ლოვეინენკომ და ა. სტოლინმა [10; 17], პერცეპტულ-მოტორული ველის ორგანიზაციაში ფიქსირებული განწყობის განმსაზღვრელი როლისადმი მიძღვნილი შ. ნადირაშვილის [20], თ. ნონიაშვილის [21] და სხვათა ექსპერიმენტული გამოკვლევები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ვიზიომოტორული პერცეპციის შესწავლის საკითხები დღეისათვის თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემატიკის სფეროს მიეკუთვნება.

§2. კონსტრუქციულ-ტექნიკური უნარის კვლევის ასპექტები სანბქოთა და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში. უმაღლესი სკოლის რეფორმებით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, დღეისათვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა შემოქმედებითი აქტივობის სულისკვეთებით, მასში ტექნიკური უნარების, გაწაფულობის, ტექნიკური კონსტრუქციების ჩვენებას დაუფლება-განმტკიცების თვალსაზრისით. ამ ასპექტით დიდი ყურადღება ექცევა ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა: სიდიდეთა გაზომვა-შედარების გზით სავანთა სივრცითი განსხვავებულობის, სივრცითი თვისებებისა და ურთიერთობების აღქმა, სივრცითი წარმოდგენებისა და წარმოსახვის ურთიერთობა, სივრცით-ტექნიკური აზროვნებისა და დაკვირვების პროცესის თავისებურებათა შესწავლა, გამოსახულების აგება, ნახაზის აგება და სხვა [9], რასაც დიდი როლი ენიჭება მომავალი შრომის მასწავლებლის ზოგიერთი

პედაგოგიური უნარის ფორმირების ფსიქოფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა შესწავლისათვის, მისი მომზადებისა და სასწავლო საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ტ. რიბო იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც დაიწყო ტექნიკური შემოქმედებისა და კერძოდ, ტექნიკური წარმოსახვის ბუნების მეცნიერული შესწავლა ტექნიკურ მექანიკაში. გამომგონებლის მუშაობის პროცესს რიბო ყოფდა საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელ ოთხ საფეხურად, სადაც დიდ როლს ასრულებდნენ წარმოდგენის „სინათლის“ ეფექტები. მაგრამ საბოლოოდ მკვლევარმა მაინც ვერ შეძლო მის მიერვე დადგენილი ეტაპების ფსიქოლოგიური დახასიათება მოეცა. [6].

ინჟინერ-კონსტრუქტორებისა და ტექნიკოსების მუშაობის სპეციფიკურობის შესწავლას ისახავდა მიზნად ჯ. დიქსონის გამოკვლევები, რომელიც თავის კონცეფციაში ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს სამ კატეგორიად ყოფდა: 1) დაკავშირებულთ გამომგონებლობასთან, როგორც შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთ მახასიათებელთან, 2) დაკავშირებულთ ინჟინერულ ანალიზთან და 3) დაკავშირებულთ ამოცანის ოპტიმალურად გადაწყვეტის ბუნებასთან. დიქსონის აზრით, გამომგონებლობის უნარი სწავლებადი ბუნებისაა და არა თანშობილი. ადამიანი მას აღწევს გარკვეული მიმართულებით სწავლისა და გარკვეული ცოდნის მარაგის შექმნის შემდეგ, ამიტომ შესაძლებელია და აუცილებელია ვასწავლოთ ადამიანს თუ როგორ უნდა გამოიგონოს [6].

გ. ალტშულერი შეისწავლიდა „იდეალური მანქანის“, ტექნიკური წინააღმდეგობის გადაჭრისა და „გამომგონებლობითი“ ამოცანების გადაწყვეტის ალგორითმის“ საკითხებს [6].

სხვადასხვა კომპონენტების გამოვლენის გზით კონსტრუქტორ-გამომგონებლის აზროვნების თავისებურებათა შესწავლა ნაცადია საბჭოთა ფსიქოლოგების ვ. მოლიაკოსა და ს. ვასილესკის გამოკვლევებში. მოლიაკო შეისწავლიდა კონსტრუქტორთა ტექნიკური აზროვნების დინამიკას საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობის პროცესში, ხოლო ვასილესკის გამოკვლევები ძირითადად მიმართული იყო ტექნიკური გამომგონებლობის ფსიქოლოგიური ბუნებისა შესწავლისაკენ სხვადასხვა საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ ტექნიკური ამოცანების გადაჭრის პროცესში [6].

სკოლამდელის კონსტრუქტულ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლის ტექნიკურ და პტს-ის მოსწავლის პროფესიულ-ტექნიკური საქმიანობის თავისებურებებს შეისწავლიდნენ: ა. ლურია, მ. დავლეთშინი, ბ. იაკობსონი, ვ. კრუტიცკი, ც. კულდრიავცევი, ბ. ლომოვი, ე. მილერბანი, ა. ესაულოვი და სხვები [6; 16; 18; 22].

ა. ლურიას გამოკვლევებით დადგინდა, რომ შესაბამისი სააზროვნო პრაქტიკულ სიტუაციაში, სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ძალუძთ მთელი რიგი კონსტრუქციულ-ტექნიკური ელემენტების დაუფლება, რასაც კონსტრუქტორული თამაშების განოყენებით (მიუხედავად მათი მრავალი ნაკლისა), უდავოდ გააჩნია გარკვეული განმავითარებელი ეფექტი.

მ. დავლეთშინმა გამოიკვლია მოსწავლეთა ტექნიკური უნარების ფორმირების პროცესი და შეეცადა დაედგინა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ უნარების განვითარებას. განსაკუთრებული დამკვირვებლობა, სივრცითი ორიენტაციის უნარი, განვითარებული სივრცითი წარმოსახვა, ტექნიკური აზროვნება და ხელის გაწაფულობა, მ. დავლეთშინის აზრით, ერთი-

ნობაში, ტექნიკური უნარების განვითარების დონეების დადგენის საშუალებას იძლევა. ეს დონეებია: რეპროდუქტიული და შემოქმედებითი. პირველი (რეპროდუქტიული) გულისხმობს მოსწავლის უნარს, — მოხერხებულად დაე-უფლოს ტექნიკურ ცოდნას (გაიგოს ტექნიკური მოწყობილობა, მართოს იგი), მეორე (შემოქმედებით) — ესაა ახლის, ორიგინალური ტექნიკური მოწყობილობის შექმნისა და ტექნიკური ამოცანების მოხერხებულად გადაწყვეტის უნარი და სხვა.

მ. დავლეთშინის აზრით, ტექნიკური საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია სამი კომპონენტის არსებობა: 1) ტექნიკური გაგების უნარი (მაგ. ნახაზის ამოკითხვა), 2) ტექნიკური შემსრულებლობითი საქმიანობა (მაგ. ნახაზის ამოცანის გადაწყვეტა, ტექნიკური ნიმუშის სრულყოფა და ა. შ.). 3) საერთო მიდრეკილება კონსტრუქციულ-ტექნიკური საქმიანობისადმი. ზემო-ჩამოთვლილი კომპონენტების მნიშვნელობაზე ტექნიკური საქმიანობის სტრუქტურაში, მიუთითებდა აგრეთვე ტ. კუდრაივცევი, რომელიც ამ მიმართულებით გამოყოფდა ორ ძირითად პრობლემას: ტექნიკური აზროვნების კვლევის პრობლემას სამკონსტრუქციო სტრუქტურის პლანში, თეორიული, ხატოვანი და პრაქტიკული ასპექტებით და პრობლემური სწავლების დამუშავების პრობლემას, სადაც ყურადღება გამახვილებულია განზოგადებული ტექნიკური განათლების ჩამოყალიბებაზე, ზოგადი შრომითი უნარების გამომუშავებასა და ტექნიკური აზროვნების განვითარებაზე.

ბ. იაკობსონის აღნიშვნით, უმცროსკლასელებში „ცდისა“ და „შეცდომის“ პროცესი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული დონეებით ხასიათდება და ქაოტური ცდებიდან — სისტემატურ, მოწესრიგებულ ქცევამდე მიდის.

ე. მილერიანმა შეისწავლა უფროსკლასელთა ტექნიკური ჩვენების ფორმირების საკითხები ტექნიკური მოდელების კონსტრუირების პროცესში და შეეცადა დაედგინა „სივრცით-კონსტრუქციული აზროვნებისა“ და „სივრცითი წარმოსახვის“ სხვადასხვა დონეები.

ა. ესაულოვი ხანგრძლივი დროის მანძილზე იკვლევდა გამოგონებლის აზროვნების დინამიკას სხვადასხვა სტრუქტურულ-კომპონენტური შემაღველობის მქონე ამოცანების გადაწყვეტის პროცესში და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოზარდი თაობის ტექნიკური აზროვნებისა და სივრცითი კონსტრუირების ხერხების დაუფლების შესწავლის ფონზე განსაკუთრებული აქტუალობით წარმოსდგება მომავალი შრომის მასწავლებლის მომზადების პრობლემა, რომლის შესწავლისადმი მიძღვნილი საბჭოთა ფსიქოლოგების: ე. სლასტენინის, ს. ნედბაევას, ი. კუზმინას, ე. კაბანოვა-მელერის, ვ. ვერგასოვის, ა. შჩერბაკოვისა და სხვათა გამოკვლევები [6]. ზემოაღნიშნული პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზნად დავისახეთ ექსპერიმენტულად შეგვესწავლა ის ფსიქოლოგიური კანონ-ზომიერებანი, რითაც ხასიათდება სპეციალური პედაგოგიური უნარების ფორმირების პროცესი, დავედგინა ტექნიკური უნარების, „სივრცითი აზროვნებისა“ და „სივრცითი წარმოსახვისათვის“ აუცილებელი ცალკეული კომპონენტების ბუნება, სტრუქტურა, ფაქტორები და ბოლოს, კონსტრუქციულ-ტექნიკური უნარების განვითარების დონეების დიაგნოზირებით დავესახა გზები მომავალი შრომის მასწავლებელთა მომზადების ოპტიმიზაციისათვის. აღნიშნული თვალსაზრისით, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ჩვენ მიერ გამოზნული კვლევის პირველი ნაწილი, სადაც ნაცადია: დარღვეული

სენსორული ველისადმი ვიზომოტორული ადაპტაციის („სივრცითი აზროვნების“, „სივრცითი წარმოსახვისა“ და ახალი სივრცითი ორიენტაციების დაუფლების პროცესების), მოტორული განწყობის ეფექტებისა და სივრცითი კონსტრუირების უნარების განვითარების საკითხთა ერთიანობაში შესწავლა.

§3. მეთოდ. ექსპერიმენტში, რომელიც სამ სერიად ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო პედაგოგიური ინსტიტუტის ზ/ტექნიკისა და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის 100 სტუდენტმა.

I სერიაში ცდისპირებს ევალეზობათ 5 დღის განმავლობაში ევარჯიშათ ქალღმერთ დახაზული ტოლგვერდა სამკუთხედის კოპირებაში, რომლის თითოეული გვერდის სიგრძე 7, 5 სმ იყო. ჩვენს მიერ წინასწარ აღნიშნული საწყისი წერტილიდან, რაც შეიძლება ზუსტად, ცდისპირს კალმის წვერი სამკუთხედის კონტურზე გატარებით ფიგურისათვის უნდა შემოეგულა. თავისი ხელის მოქმედების სიზუსტეს იგი ვიზუალურად პრიზმატული სათვალევებით აკონტროლებდა, რომელიც მხედველობის ველის ინვირსიას ახდენდა და ამდენად ცდისპირთა თავის ხელს, კალმის წვერს და ფიგურას ვერტიკალური შებრუნებით ხედავდა. ამ მიზნით, ცდებში გამოყენებული იყო ფსიქოლოგიის კათედრაზე სპეციალურად დამზადებული აპარატი — ინვერტოსკოპი, რომლის წინა დაფაზე დამონტაჟებული იყო პრიზმატული ბინოკულარული სათვალე, ხოლო უკანა დაფაზე მაგრდებოდა ქალღმერთ დახაზული სამკუთხედებით.


ცდისპირთა მეორე ნაწილმა გავარჯიშების ცდებში გამოიყენა ასევე ჩვენს მიერ დამზადებული პრიზმატულ სათვალეებიანი სპეციალური ნიღაბი, რომელიც იმავე პრინციპით ახდენდა ველის შეცვლას.

გავარჯიშების მიზნით ცდისპირებს ევალეზობათ ერთი და იგივე სანუშაო შეესრულებინათ დღეში 5-ჯერ 5 დღის განმავლობაში მანამ, სანამ სრულ სიზუსტეს არ მიაღწევდნენ. ვინც ადრე მიაღწევდა მიზანს, მეხუთე დღემდე აღარ აგრძელებდა სამუშაოს.

მიღებული შედეგების გაზომვას ვახდენდით ე. წ. მრუდზომის (ანუ „კურვიმეტრის“) გამოყენებით, სმ-ებში იზომებოდა ცდისპირის მიერ კონტურზე გავლებული ხაზის სეერთო სიგრძე და გადახრის (შეცდომის) რაოდენობა. გავარჯიშების ყოველი დღის ყველა ცდის მიხედვით ყურადღება ექცეოდა, თუ მერამდენე ცდაზე მიიღწეოდა გავარჯიშების ეფექტი ანუ მინიმუმამდე მცირდებოდა დარღვევა ხელის მოქმედებაში.

II სერიაში იმავე ცდისპირთან შესწავლებოდა ფიქსირებული განწყობის ეფექტები ორივე ხელით მოტორული აქტივობის სფეროში ვიზუალობის გამოცხვით.

კათედრაზე ჩვენს მიერ სპეციალურად დამზადებულ საზომ ღერძზე, რომელზეც 100 მმ სიგრძის დანაყოფებიანი სკალა იყო დამაგრებული, მოძრაობდა ორი სახელური. მარცხნიდან მარჯვნივ, — მარცხენა ხელისათვის და მარჯვნიდან მარცხნივ, — მარჯვენა ხელისათვის. მარცხენა ხელის მოძრაობა ნულიდან მარჯვნივ, 25 სმ-დე გრძელდებოდა, რადგან სპეციალური სამაგრი ხელის შემდგომ მოძრაობას ზღუდავდა, ხოლო მარჯვენა ხელს განაპირა 0-იანი დანაყოფებიდან, მარჯვნიდან მარცხნივ 50 სმ-ზე, ე. ი. მთელი სკალის ნახევარზე თავისუფალი მოძრაობის საშუალება ეძლეოდა (იხ. სურათი).



სურ. 1

სავაწყობო ცდებში ცდისპირებს ევალეზობდათ მარცხენა და მარჯვენა ხელით 15-ჯერ გაემეორებინათ ერთდროული მოძრაობა მარცხნიდან 25 სმ-ზე, ხოლო მარჯვნიდან 50 სმ-ზე (ე. ი. მარცხენასთან შედარებით შეესრულებინათ ორჯერ მეტი მოძრაობა) და დაემახსოვრებინათ ხელების გადაადგილების მანძილი.

კრიტიკულ ცდებში, რომელიც 20 ექსპოზიციამდე გრძელდებოდა, ცდისპირებს მეთებოვებოდათ ჯერ მარცხენა ხელით შეესრულებინათ 25 სმ-იანი მოძრაობა, შემდეგ კი მარჯვენა ხელით მოძრაობის მანძილი პროპორციულ-ტულ-კინესთეტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მარცხენა ხელის მოძრაობის მანძილისათვის გაეტოვებინათ. როგორც კი ცდისპირი ვერბალურად ორივე ხელის მოძრაობის მანძილის ტოლობას დაადასტურებდა, კრიტიკულად ცდა ხელახლა მეორედებოდა.

III სერიაში ცდისპირთა სივრცითი კონსტრუირების უნარების ფორმირების დონეების დადგენის მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, გამოყენებული იქნა სივრცით-ტექნიკური აზროვნების ტესტი. ტესტში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სიროთლის 56 ამოცანა. ყოველ კონკრეტულ ამოცანაში ცდისპირს ევალეზობდა ისე გაეერთებინა თავის წარმოსახვაში გეომეტრიული ფიგურების დანაწევრებული ნაწილები, რომ სრული ფიგურა მიეღო. მუშაობის დროსა და სიხუსტის გაზომვით საშუალება გვეძლეოდა დაგვედგინა ტექნიკური აზროვნების სხვადასხვა დონეები, რაც სპეციალური ფორმულით 56 ამოცანის შესრულების ხარისხში (B) გამოიხატა.

§4. ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი. მიღებული ექსპერიმენტული შედეგებით 100 ცდისპირის მონაცემები სამივე სერიის მიხედვით ძირითადად ოთხი მიმართულებით დალაგდა, რამაც საშუალება მოგვცა ცდისპირები პირობითად ოთხ ჯგუფად (A, B, C და D ჯგუფებად) დაგვეყო.

A და B ჯგუფების ერთობლივი მონაცემების საშუალო მაჩვენებელი სამივე სერიის მიხედვით ასახულია ტაბულა № 1-ში.

ტ ა ბ უ ლ ა № 1

ჯ ა ზ ე ბ ი	ცდისპირთა რაოდენობა	I ს ე რ ი ა					II ს ე რ ი ა		III სერია	
		გავარჯიშების ცდები შეცვლილ ვიზუალურ ველში							ფიქსირებული განწყობის ცდები მოტორულ ველში	ამოცანის შესრულების ხარისხი (B)
		I ცდის მიხედვით		ბოლო ცდის მიხედვით		მერამდენე ცდაზე მიაღწია სიზუსტეს?	ილუზიის სიდიდე I ექსპ-ის მიხედვით	ილუზიის სიდიდე 20-ე ექსპ-ის მიხედვით	სტატის მიხედვით	
		საერთო სიგრძე	გადახრის რაოდენობა	საერთო სიგრძე	გადახრის რაოდენობა					
A	54	36,4	37,5	4,5	1,2	III დღეს 10—15-ე ცდები	27,5	2,8	57,5	
B	26	15,6	19,1	9,6	12,0	IV-V დღეს 16—25 ცდები	4,6	2,2	21,3	

№ I ტაბულაში მოცემული მახასიათებლებიდან ჩანს, რომ A ჯგუფმა პირველ სერიაში თავიდანვე მოქმედების დიდი დარღვევა უჩვენა (36,4 სმ, 37,4), მაგრამ მალე გავარჯიშდა (ბოლო ცდის მიხედვით — 4,5 სმ, 1,2), რამდენადაც ცდისპირთა უმრავლესობამ ექსპერიმენტის მესამე დღეს 10-15-ე ცდებში უჩვენა გავარჯიშების საგრძნობი ეფექტი.

მეორე სერიაში ცდისპირებმა თავიდან დიდი კონტრასტული ილუზია აჩვენეს და მალე გადავიდნენ ადექვატურ აღქმაზე (ილუზიის სიდიდე I ექსპოზიციის მიხედვით — 27,5; 20-ე ექსპოზიციის მიხედვით — 2,8). მესამე სერიაში სტატის მონაცემებით, ამ ჯგუფმა სივრცით-ტექნიკური აზროვნების მაღალი ხარისხი უჩვენა (B-57,5).

B ჯგუფმა A ჯგუფისაგან განსხვავებით საწინააღმდეგო შედეგები უჩვენა: პირველ სერიაში, თავიდან, მოქმედების მცირე დარღვევა (15, 6 სმ, 19, 1) და ნელი გავარჯიშების ეფექტი (ბოლო ცდის მიხედვით — 9, 6 სმ, 12, 0). გავარჯიშების ეფექტი უმნიშვნელო იყო მეხუთე დღისთვისაც კი.


მეორე სერიაში, პირველ ექსპოზიციაში კონტრასტული ილუზია შედარებით მცირე იყო და ცდისპირები გვიან გადავიდნენ ადექვატურ აღქმაზე (ილუზიის სიდიდე I ექსპოზიციის მიხედვით — 4, 6; 20-ე ექსპოზიციის მიხედვით — 2, 2). ამ ჯგუფმა მესამე სერიაში სტატის მიხედვით სივრცით-ტექნიკური აზროვნების ნაკლები ხარისხი უჩვენა (B-21,3). იხ. დიაგრამა № 1 და № 2.

C და D ჯგუფების ერთობლივი მონაცემების საშუალო მაჩვენებლები სამივე სერიის მიხედვით ასახულია ტაბულა № 2-ში.

№ 2 ტაბულაზე წარმოდგენილი მახასიათებლებიდან ირკვევა, რომ C ჯგუფმა პირველ სერიაში შეცვლილი ვიზუალური ველის პირობებში თავიდანვე მოქმედების დიდი დარღვევა უჩვენა (32,7 სმ; 37,0) და გავარჯიშება საერთოდ ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ხუთივე დღეს ვარჯიშობდა და ყველა 25 ცდა ჩაატარა (ბოლო ცდის მიხედვით — 31,5 სმ; 36,6).


ლიჯნაჟა №1

A - ვაგუი



ლიჯნაჟა №2

B - ვაგუი



მეორე სერიაში, ამ ჯგუფის ცდისპირები კონტრასტული ილუზიის და-
დი ეფექტით საერთოდ ვერ გადავიდნენ აღქვატურ აღქმაზე (ილუზიის სიდიდე
პირველი ექსპოზიციის მიხედვით — 25,5; 20-ე ექსპოზიციის მიხედვით —
22,0). მესამე სერიაში ჯგუფმა სტატ-ის მიხედვით, სხვებთან შედარებით, სივ-
რცითი კონსტრუირების უნარის მეტად დაბალი დონე უჩვენა (B-5,6).

II ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ ცდის-
პირთა ამ ნაწილმა პირველ სერიაში თავიდან მოქმედების მცირე დარღვევა
უჩვენა (2,9 სმ.; 0,3), ამიტომ გავარჯიშებასაც ფაქტიურად ადგილი არ ჰქონია
(ბოლო ცდის მიხედვით — 1,6 სმ , 0,2).

მეორე სერიაში II ჯგუფმა კონტრასტული ილუზიის ისეთი მცირე ეფექტა
გამოავლინა, რომ აღქვატურ აღქმაზე გადასვლაც არ მომხდარა (ილუზიის სი-
დიდე პირველი ექსპოზიციის მიხედვით — 1,6 სმ , 20-ე ექსპოზიციის მიხედ-
ვით — 0). მესამე სერიაში კი II ჯგუფის ცდისპირებმა სივრცით-ტექნიკური
აზროვნების საკმაოდ მაღალი დონე უჩვენეს (სტატისტიკის მიხედვით B-50,2).
იხილეთ დიაგრამა №3 და №4.


ტ ა ბ უ ლ ა № 2

ჯ გ უ ფ ე ბ ი	I ს ე რ ი ა						II ს ე რ ი ა		III სერია
	გავარჯიშების ცდები შეცვლილ ვიზუალურ ველში						ფიქსირებული გან- წყობის ცდები მო- ტორულ ველში		ამოცანის შესრულე- ვის ხარის-
	I ცდის მიხედვით		ბოლო ცდის მიხედვით		მერამდენე ცდაზე მიალწია სიზუსტეს?	ილუზიის სიდიდე I ექსპ-ის მიხედვით	ილუზიის სიდიდე 20-ე ექს- პოზიციის მიხედვით	ხი (B) სტა- ტ-ის მიხედვით	
	საერთო სიგრძე	გადახრის რაოდენ- ობა	საერთო სიგრძე	გადახრის რაოდენ- ობა					
C	12	32,7	37,0	31,5	36,6	V დღეს 20-25-ე ცდები	25,5	22,0	5,6
II	8	2,9	0,3	1,6	0,2	I დღის 1-5 ცდაზე	1,6	0	50,2

ზოგადი დასკვნები:

როგორც ნაშრომში თავიდანვე იყო აღნიშნული, ჩვენს მიზანს წარმო-
ადგენდა ექსპერიმენტულად შეგვესწავლა შეცვლილი ვიზუალური ველისადმი
შეგუება და განგვეხილა იგი, როგორც „პერცეპტული დასწავლის“ პროცესი,
რომლის დროსაც ხდება ახალი ორიენტაციებისა და ხერხების დაუფლება,
ახლებური დამოკიდებულებების აგება შეცვლილი სენსორული სიტუაციისადმი.

ჩვენი აზრით, შეცვლილი ველისადმი ადაპტაციის მთელ პროცესს დ. უზნა-
ძისეული ფიქსირებული განწყობის მექანიზმი უნდა ედოს საფუძვლად, რაზეც
მიუთითებს ის კავშირი, რომელიც გამოვლინდა ჩვენს ცდებში ველისადმი
შეგუების პერცეპტული ეფექტების კანონზომიერებებსა და ფიქსირებული გან-



ტაბულა № 3 და № 4

წყობის ილუზიის კანონზომიერებებს შორის. ამასთანავე გაირკვა ის გარემო-
ებაც, რომ ჩვენს მიერ ექსპერიმენტულად გამოვლენილი კანონზომიერებანი
გარკვეულ კავშირშია სივრცითი კონსტრუირების განვითარების დონეებთან,
რის შემოწმებასაც შევეცადეთ წარმოდგენილ ნაშრომში.

ჩვენი ვარაუდით, ვერტიკალურად შებრუნებული ვიზუალური ველის
გასწორების პროცესი მიმდინარეობს სუბიექტის სპეციფიური აქტივობის სა-
ფუძველზე, რომელიც ორი ფაქტორის ურთიერთობის, ამოცანის სწორად
და სწრაფად შესრულების მოთხოვნილებისა და შეცვლილ ვიზუალურ სი-
ტუაციაში ამ მოთხოვნილების რეალიზაციის ფონზე მიმდინარეობს. ამ ორი
ფაქტორის — მოთხოვნილებისა და დარღვეული სიტუაციის ურთიერთობა
ქმნის ადამიანში ახალი მოქმედების შესრულების მზაობას, ახალ განწყობას,
რაც საფუძველად ედება შეცვლილი ვიზუალური პირობებისადმი ადაპტაციის
ანუ ველისადმი ახალი დამოკიდებულების აგების პროცესს. ამიტომ, შეცვ-
ლილ ველში ჩატარებული ექსპერიმენტების პარალელურად ამავე ცდისპი-
რებზე ჩავატარეთ ფიქსირებული განწყობის ეფექტების გამოკვლევა წმინდა
მოტორულ აქტივობაში, ხოლო შემდგომ, პროფესიული უნარების გამო-
ვლენის თვალსაზრისით დავადგინეთ კონკრეტულ-ტექნიკური უნარების განვი-
თარების ბუნება ზოგადი ტექნიკის სპეციალობის სტუდენტებთან, როგორც
მომავალ შრომის მასწავლებლებთან.

ამრიგად, ჩვენ მიერ მიღებული ექსპერიმენტული შედეგები უფლებას
გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

1) ექსპერიმენტულად გამოირკვა, რომ უდავოდ არსებობს გარკვეული
კავშირი ადამიანის პერცეპტულ-მოტორულ აქტივობას, ფიქსირებულ განწყო-
ბასა და სივრცითი კონსტრუირების უნარის დონეებს შორის, ხოლო ამ ურ-
თიერთკავშირის შესწავლა ერთ-ერთ ოპტიმალურ გზას უნდა წარმოადგენდეს
ადამიანის პერცეპტული განვითარების, ფიქსირებული განწყობისა და ტექ-
ნიკურ-კონსტრუქტიული უნარების შემდგომი კვლევის საქმეში.

2) შეცვლილ ვიზუალურ ველში, სენსომოტორულ აქტივობაში დიდი დარ-
ღვევის მქონე ცდისპირებმა განწყობის ცდებში გამოავლინეს კონტრასტული
ილუზიის დიდი ეფექტი და პირიქით;

3) რაც უფრო დიდია ცდისპირებში ვიზიომოტორული დარღვევის მაჩვენ-
ებელი, შეცვლილ ვიზუალურ პირობებში აქტივობის პირველ დღეს, მით
უფრო სწრაფად მიიღწევა გავარჯიშების ეფექტი (ველისადმი ადაპტაცია) და
პირიქით;

4) შეცვლილ ველში თავიდან აქტივობაში დიდი დარღვევის მქონე ცდის-
პირები უფრო სწრაფად ვარჯიშდებიან, კონტრასტული ილუზიების დიდი
რაოდენობით მალე გადადიან ადექვატურ აღქმაზე და სივრცითი კონსტრუ-
ირების უნარის შედარებით მაღალი დონით ხასიათდებიან (A ჯგუფი, 54%),
ვიდრე ისინი, რომლებიც თავიდან აქტივობაში უმნიშვნელო დარღვევას ავლე-
ნენ, უფრო ნელა ვარჯიშდებიან, მინიმალური რაოდენობის კონტრასტული
ილუზიებით ნელა გადადიან (ან სულ არ გადადიან) ადექვატურ აღქმაზე და
სივრცითი კონსტრუირების დაბალ დონეს უჩვენებენ (B ჯგუფი, 26%).

5) ექსპერიმენტულად გამოვლინდა ცდისპირთა ორი შედარებით მცირე
ქვეჯგუფი, რომელთაც ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები გამოავლინეს:
ერთმა ჯგუფმა აქტივობაში თავიდანვე მნიშვნელოვანი დარღვევებით გავარ-
ჯიშება ვერ შეძლო, დიდი რაოდენობის კონტრასტული ილუზიებით საერთოდ

ვერ გადავიდა ადექვატურ აღქმაზე და ძალიან გაუჭირდა სივრცით-ტექნიკური აზროვნების ტესტის (სტატ-ის) ამოცანების გადაჭრა (C ჯგუფი, 12%), ხოლო მეორე D ჯგუფი, თავიდანვე აქტივობის უმნიშვნელო დარღვევის ჩვენებით, გავარჯიშების გვერდის ავლით, კონტრასტული ილუზიების მინიმალური რაოდენობით მალე გადავიდა ადექვატურ აღქმაზე და სტატ-ის ამოცანები სწრაფად და მაღალი სიზუსტით ამოხსნა (8%).

6) მიღებული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სივრცითი კონსტრუირების პროცესს ფიქსირებული განწყობის მექანიზმი უნდა ედოს საფუძვლად.

ასეთია ის ექსპერიმენტული მონაბოვარი, რომელიც მივიღეთ ჩვენი შრომის მიმდინარე ეტაპზე, რაც კიდევ ერთ ნაკრძალბულ წვლილს უნდა წარმოადგენდეს სივრცის აღქმისა და კერძოდ, სივრცითი კონსტრუირების უნარების კვლევის გზით მომავალ შრომის მასწავლებელთა პროფესიულ-ტექნიკური მომზადების კანონზომიერებათა შესწავლის საქმეში.

ლიტერატურა

1. სკვ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986.
2. სკვ ც-ს აპრილის (1984 წ.) პლენუმის მასალები, თბ., 1984.
3. სკვ ც-ს იანვრის (1987 წ.) პლენუმის მასალები, თბ., 1987.
4. ქ. კუპრაშვილი, შეცვლილი ვიზუალური ველის რეორგანიზაცია და განწყობა, თბ., 1974.
5. ქ. კუპრაშვილი, აღქმის გზით პიროვნების კვლევის საკითხები, პედაგოგიური განწყობის ფორმირების ფსიქოლოგიური საფუძვლები უმაღლეს სკოლაში, საინსტიტუტთაშორისო მეცნიერულ შრომათა კრებულში, თბ., 1985.
6. ქ. კუპრაშვილი, კონსტრუქტულ-ტექნიკური უნარების განვითარების დონეების დიაგნოსტიკისათვის სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებში, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, თეორიული ნარკვევი, თბ., 1986.
7. Ананьев В. Г., К проблеме восприятия пространства и пространственных представлений, Мат-лы науч. совещания, Л., 1959.
8. Бережная Е. К., О роли зрительной обратной связи в точностных движениях, «Управление движениями», Изд. «Наука», Л., 1970, с. 72.
9. Ботвинников А. Д., Основы методики обучения черчению, М., «Просвещение», 1966.
10. Восприятие и деятельность, под ред. А. Н. Леонтьева, МГУ, 1976.
11. Гатев А. В., О взаимодействии зрительного и двигательного анализаторов при регулировании двигательных реакций, Жур. «Высшая нервная деятельность», № 14, 1964.
12. Запорожец А. В., Венгер Л. А. и др., Восприятие и действие, М., 1967.
13. Запорожец А. В., Избранные психологические труды, т. II, «Педагогика», М., 1986.
14. Зинченко В. П., Восприятие и действие, Автор. диссерт. на соиск. учен. степени доктор. пед. наук, М., 1966.
15. Кликс Ф., Проблемы психофизики восприятия пространства, М., 1965.
16. Кудрявцев Т. В., Психология технического мышления, «Высшая школа», М., 1975.
17. Логвиненко А. Д., Зрительное восприятие пространства, МГУ, 1981.
18. Ломов Б. Ф., Опыт экспериментального исследования пространственного воображения, В кн.: Проблемы восприятия пространства и пространственных представлений, М., 1961.
19. Миттельштетт Х., Управление и регулирование при ориентации живых существ, сб. «Процессы регулирования в биологии», 1960.

20. Надирашвили Ш. А., Фиксированная установка и перцептивно-моторная активность, Экспериментальные исследования по психологии установки, т. 5, Тбилиси, 1970.
21. Нониашвили Т. А., Сенсомоторная активность и фиксированная установка, диссерт. на соиск. учен. степени канд. психолог. наук, Тбилиси, 1979.
22. Якиманская И. С., Развитие пространственного мышления школьников, М., «Педагогика», 1980.
23. Boring E., Visual perception as invariance, „Psychol. Rev.“, vol. 59, 1952.
24. Brown G., Perception of depth with disoriented vision, „Brit. G. Psychol.“. vol. 19 1928, p. 135.
25. Carr H. An introduction to space perception, N. Y., Longmans, Green, 1935.
26. Cohen H. B., Some critical factors in prism adaptation, „Americ. G. of Psychol“ . vol. 79, 1966, 285-290.
27. Day R., Siger G., Sensory adaptation and behavioural compensation with spatially transformed vision and learning, „Psychol. Bull*“, 1967. vol, 67, p. 307-322,
28. Dodwell P. Ed., Perceptual learning and adaptation, Selected readings, edited by P. s. Dodvell, Penguin books. 1970.
29. Ewert A., Factors in space localization during inverted vision“, G. „Psychol, Rev.“, vol 43 and 44, 1936-37.
30. Foley. J. Jr., An experimental investigation of the effect of prolonged inversion of the visual field in the rhesus monkey, J. Genet. Psychol“, 1940, vol, 56, p. 21-45.
31. Gibson J. J., The perception of the visual world, Allen and Unwin (Houghton-Mifflin), 1950.
32. Harris C. S., Perceptual adaptation to inverted, reversed and displaced vision, „Psychol. Rev“., 72, vol. 6, 1965, p. 419-444.
33. Hay J. C., Langon B. and Pich H. L., Spatial parameters eye-hand adaptation to optical distortion, „J. of Exper. Psychol“., 1971, vol, 91, № 1. 11-17.
34. Hebb D. O., The organisation of behaviour, Chapman and Hall/Wiley, 1949.
35. Held R. and Hein A. Movement produced stimulation in the development of visually guided behaviour, „J. Comparative and Phys. Psychol“., vol. 56, 1963, p. 872.
- 36.. Helson W. H., Visual space perception, N. Y., 1960.
37. Helson H., Adaptation level theory, New-York, Harper 1964.
38. Hess E. H., Space Perception in the Chick, „Science Americ“. 1956, p. 71—80.
39. Howard I. P., The adaptability of the visual—motor sistem (N. Y. University, Toronto), 1970.
40. Hritzuk J. and Taylor L., A relationship between field dependency—independency and Ustanovka (Set), Univers. of Calgary.
41. Köhler I., The formation and transformation of the perceptual world, „Psychological Issues“, 1964, N. Y., vol. III, № 4, Monogran—12, p. 1-173.
42. Kottenhoff H., Situation and personal influences on Space perception with experimental Spectacles, Acta Psychologica“, 1957, vol XIII, Part I, № 2, p. 77-79 and Part II, № 3, p. 151-161.
43. Mc Clelland D. C., Personality an integrative view, in Psychology of Personality, Six modern approaches, Grove Press inc., New York, 1966.
44. Peterson G. and Peterson J. K., Does practice with inverting lenses make vision normal? „Psychol. monogr“, 1938, vol. 50.
45. Rock I., The nature of perceptual adaptation, Basic Books, Inc. Publishers, N. Y.—London, 1966.
46. Smith K. U. and Smith W. M., Perseption and Motion (Philadelphia—London), 1962.
47. Snyder F. W. and Pronhon N. Vision with spetial inversion, Wichita Kansas, 1952.
48. Stratton G. M. Same preliminary experiments on vision, J. Psychal. Rew“, Vol. 3, 1896.

49. Taylor J., The behavioral basis of perception, New Haven: Yale Univ. Press, 1962.
50. Werner W., Wapner S., Sensory-tonic field theory of Perception, Symposium on Personality and Perception, Duke Univ. Press, 1950.
51. Witkin H. A., Perception of body position and of the position of the visual field, „Psychol Monographs“, 1949, vol, 63, p. 1-46.
52. Witkin H., Dyk P., Faterson H., Goodenough D., Psychological differentiation, New York, Wiley, 1962.
53. Wooster M., Certain factors in the development of a new spatial co-ordination, 1909.

დ. ტ. კუპრაშვილი

**კ. ვЗАИМООТНОШЕНИЮ СПОСОБНОСТИ
ПРОСТРАНСТВЕННОГО КОНСТРУИРОВАНИЯ И
ФИКСИРОВАННОЙ УСТАНОВКИ**

Резюме

В представленной работе дана попытка экспериментального изучения природы взаимоотношений, способности пространственной ориентации, конструктивно-технического мышления и фиксированной установки человека.

Установленные закономерности имеют определенное теоретическое значение и практическую ценность для подготовки учителей труда в соответствии с требованиями, предусмотренными школьной реформой.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ახალი თარგმანები

პროფესორ ერიკლე ტაბოვილის მიმავიღრმოგიდან

ფ. ნიცუხე

ესე იტყოდა ზარატუსტრამ*

შანაკოვანისათვის

მიყვარს ტყე. ცუდია ქალაქში ცხოვრება: იქ მრავალი ვნებით აღტიენებული.

უკეთესი არ არის კაცისმკვლელის ხელთ მოხედვე, ვიდრე ვნებიანი ქალის ოცნებაში?

შეხედეთ ამ მამაკაცთ: მათი თვალები მოწმობენ — ქვეყანაზე უკეთესი არა იციან-რა, თუ არ დედაკაცთან წოლა.

ტალახია მათი სულის შიგნეულში; და ვაი, ოდეს მათ ტალახს სულიცა აქვს!

ნეტავ სრულ იყვნეთ, თუნდ ვით ცხოველნი! ხოლო ცხოველი თვისებით უმანკოა.

მოგიწოდებთ თქვენი გრძნობის მოკვდინებად? გრძნობის უმანკობისათვის მოგიწოდებთ.

მოგიწოდებთ უმანკობად? უმანკობა ვიეთისათვის სიქველეა, ხოლო მრავალთათვის თითქმის ნაკლი.

იგინი თავს იკავებენ: მაგრამ ძუ ძალლი ავხორცობისა შურით იყურება ყოველი მათი საქმიდან.

თვით სიქველის მწვერვალებამდე და სულის სიცივეშიაც თან სდევთ მათ ეს ცხოველი და მისი უმადურება.

და ვითარი თვალთმაქცობით ითხოვს ძუ ავხორცობა სულის ნაწილაკს, ოდეს ხორცის ნაწილაკისათვის უარს ეტყვიან.

გიყვართ ტრაგედია და ყოველი, რაც გულს ამსხვრევს? ხოლო მე არ ვენდობი თქვენს ძალს.

ძლიერ სასტიკი თვალები გაქვთ და გულისთქმით უმზერთ ტანჯულთ. ფერი ხომ არ იცვალა თქვენმა ავხორცობამ, რათა თანაგრძნობად იწოდებოდეს.

და კვლავ იგავ გაძლევეთ თქვენ: არა მცირენი, რომელთა მსურდათ განხმა ეშმაკისა, თვით მიიმართნენ ნეზვებად.

რომელს უმანკობა მიიმედ აწევს, ურჩიეთ ხელი აიღოს, რათა იგი არ იქმნეს გზა გარესკნელად — ესე არს უწმიდურებად და ავხორცობად სულისა.

გეტყვი თქვენ სიტყვას უწმიდურ საქმეთათვის? ჩემად ესე არ არის უარესი.

* დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1988, № 1, 2.

მცნებარი უხალისოდ შედის წყალში არა ოდეს ჭეშმარიტება უწმიდუ-
რია, არამედ ოდეს იგი მდაბალია.

ჭეშმარიტად, არიან უმანკონი არსებით: უფრო ფაქიზნი გულით, იგინი
უფრო ხალისიანად და უხვად იცინიან, ვიდრე თქვენ.

იგინი სცინიან თვით უმანკობას და კითხულობენ: „რა არის უმანკობა!
უმანკობა შესლილობა არ არის? ხოლო შესლილობა ესე თვით მოვიდა
ჩვენთან, არა ჩვენ მასთან.

ჩვენ შევთავაზეთ ამ სტუმარს თავშესაფარი და გული: აწ ჩვენთან ბინად-
რობს, — დარჩეს, რამდენიც ჰსურდეს!“.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მიმოზრისათვის

„მხოლოდობა მარად ზედმეტია ჩემთვის“ — ესე ბჭობს განდევილი. „მა-
რად ერთხელ ერთი — ჟამთა სვლით ორსა ჰქმნის!“.

„მე“ და „მე“ მარად ფრიად ბეჯითნი არიან ბაასში: ვინ აიტანდა, რომ
მეგობარი არ ჰგებდეს?

განდევლისათვის მეგობარი მარად ნესამეა: მესამე საცობია, რომელი
ხელს უშლის, რათა ორთა ბაასი წიაღვლიდეს.

ეს, მრავალთა მრავალნი არიან სიღრმენი ყოველ განდევილთა. ამად სწუ-
ხან იგინი მეგობრისა და მისი სიმალისათვის.

ჩვენი რწმენა სხვისათვის ამჟღავნებს, რაც თვით ჩვენ შორის გვსურს
ვიწამოთ. ჩვენი სევდა მეგობრისათვის ჩვენი გამცემია.

და ხშირად სიყვარულით ჰსურთ მხოლოდ შურს თავს გადაახტნენ. და
ხშირად ხელსა ჰყოფენ სხვათ და მტერს გაიჩენენ, რათა დაჰფარონ, რომ
თვითაც ხელსაყოფელნი არიან.

„მტერი მაინც იყავ!“ — ესე იტყვის ჭეშმარიტი მოკრძალება, რომელი
ვერ ჰბედავს მეგობრობის თხოვნას.

ვის მეგობარი ჰსურს, მართებს სურვილი მისთვის ომისა: და ომისათვის
კი ჯერ არს მტრად ყოფის ცო დ ნ ა

გმართებს შენს მეგობარში პატივსა სცემდე მტერს. ძალ გიძს შენს მეგო-
ბარს მიუახლოვდე და მას არ მიეკედლო?

ხედვიდე შენს მეგობარში შენს უკეთეს მტერს. იყავ მასთან გულით
უახლოეს, ოდეს ებრძოდე.

არა გსურს სამოსლით ფარულ იყო შენი მეგობრის წინაშე? პატივისცემა
მეგობრისა, რომ ეძლევი მას ვით ხარ? ამად გისტუმრებს იგი შენ ეშმაკისაკეჲ.

რომელი არ იმაღვის, ამით სხვას ამხედრებს: ესე დიდად გეშინოდეთ სი-
შოშვლისა, დიახ, ღმერთები რომ იყოთ, მაშინ შევრცხვებოდათ თქვენი ტანსა-
ცმელისა.

არ ძალ გიძს მეგობრისთვის საკმაოდ ლამაზად მოიროთ: რადგან უნდა
იქმნე მისთვის ისარი და სურვილი ზეკაცისათვის.

გინახავს შენი მეგობარი უკვე მძინარი, — რათა შეგეტყო რანაირია? რა
არის სახე შენის მეგობრისა? იგი საკუთარი შენი სახეა, გაუთლელ და უხეშ
სარკეში.

გინახავს შენი მეგობარი უკვე მძინარი? არ შეგეშინდა, რომ შენ მეგობარს ესეთი შეხედულება აქვს? ჰე, ჩენო მეგობარო, ადამიანი რამეა, რაც ჯერ არს ძლიერ იქმნეს.

ხელოვანი უნდა იყოს მეგობარი შენი ამოცნობისა და სიჩუმისათვის: არა გმართებს ყოველს ზედვიდუ. შენი სიზმარი გამცნობდეს, თუ რას იქმს შენი მღვიძარი მეგობარი.

იყოს შენი თანასიბრაღული ამოცნობად: ჯერ სცანი, ჰსურს თუ არა შენს მეგობარს შენი თანასიბრაღული. იქნებ მას შენი უღრეკი თვალი უყვარს და გამოხედვა მარადისობისა.

თანასიბრაღული მეგობრისადმი დაჰფარე მაგარი ნაჭუჭით, გმართებს ამით ილესდე კბილს. მაშინ იგემებ შენ მის სინაზეს და სიტკბოს.

ხარ შენი მეგობრისათვის წმინდა ჰაერი და მარტოობა, პური და წამალი? ვიეთს არ ძალ უძს საკუთარი ჯაჭვებისაგან განთავისუფლება და მეგობრისათვის კი იგი მხსნელია.

მონა ხარ? მეგობრობა არ ძალ გიძს. ტირანი ხარ? მეგობართ ვერ მოიპოვებ.

ღიდს ხანს იყო მონა და ტირანი დედაკაცის შორის ფარული. ამაღ არას დედაკაცი უძლური მეგობრობად და მხოლოდ სიყვარული იცის.

დედაკაცის სიყვარულში უსამართლობაა და სიბრძავე ყოველისადმი, რაც არ უყვარს. დედაკაცის თვით შეგნებულს სიყვარულში ნათელთან ერთად კვლავ მოულოდნელობაა, ელვა და დამე.

დედაკაცი კვლავ უძლურია მეგობრობად. დედაკაცები კვლავ კატები არიან და ფრინველები. ანუ უკეთ ძროხები.

დედაკაცი კვლავ უძლურია მეგობრობად. ხოლო მითხარით, მამაკაცებო, რომელია თქვენ შორის მძლე მეგობრობისათვის?

ჰე, თქვენ, მამაკაცო, თქვენი სილატაკით და სულის ძუნწობით! რასაც თქვენს მეგობარს აძლევთ, მუ მტერსაც მიცემდით და ამით ლატაკი არ ვიქნებოდით.

არის ამხანაგობა: იყოს მეგობრობა!

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

ათასი და მრთი მიზნისათვის

მრავალი ქვეყანა და მრავალი ხალხი ინახულა ზარატუსტრამ: ესე აღმოაჩინა მან მრავალ ხალხთა სიქველე და ბოროტება. არა ხელმწიფება უნახავს ზარატუსტრას სოფელსა ზედა უდიდეს სიქველისა და ბოროტისა.

არა ხალხს ძალ უძს ცხოვრება, რომელს საფასური არ აქნდეს; უკეთუ ჰსურს თავის შენახვა ჯერ არს აფასებდეს არა მზგავსად მეზობლისა.

მრავალი, ამ ხალხისათვის კეთილად მიჩნეული, მეორესათვის სამარცხვინო და საგმობელია: ამას ვხედავ მე. მრავალს ვპოვებდუ ბოროტად წოდებულს აქ იქ მეწამული ქლამილით მოკაზმულსა.

აროდეს ესმოდეს მეზობელს მეზობლისა: მარად ჰკვირობდა ერთი მეორის შესლილობას და უკეთურებას.

ფიცარი სიქველეთა ჰკიდია ყოველს ხალხს, იგი მის ძლიეათა ფიცარია; იგი მისი ნების ხნა ხელმწიფებისათვის.

ქების ღირსია, რაც შისთვის საძნელოა; ყოველს აუცილებელს და ძნელს

იგი სიქველეს უწოდებს; და ყოველს, რაც დიდი ჭირვისაგან შვებას მოუბოვებს, იშვიათს, უმძიმესს, — მას უწმინდესად მიიჩნევს.

რითაც იგი ბატონობს და იმარჯვებს და ბრწყინავს მეზობლის შიშად და შურად — ესეა მისთვის უზენაესი, უპირველესი, საზომი, აზრი ყოვლისი.

ჰეშმარიტად, ძმავო ჩემო, უკეთეს სცანი ხალხის ჭირვა, ქვეყანა, მისი ცა და მეზობელი: ამოიცნობ მის ძლევათა კანონს და რად მიიმართება იგი ამ აღსავლით თვისი იმედისაკენ.

„გმართებს მარად პირველობა და სხვებზე მაღლა დგომა: არავინ უყვარდეს შენ იჭვიან სულს, თუ არ მეგობარი“ — ეს აფორიაქებდა ყოველი ბერძენის სულს: და იგი მიდიოდა ბილიკით თავისი სიდიადისა.

„მართლის თქმა და შვილდისარის მარჯვედ ხმარება“ — ძვირფასად მიაჩნდა და ძნელად იმ ხალხს, რომელმა მე სახელი მომცა — სახელი ჩემთვის ძვირფასი და სამძიმო.

„მამისა და დედის პატივისცემა და მორჩილება მათი ნების სულის წილამდე“, — ფიცარი ამ ძლევათა სხვა ხალხმა იდო თავზე და შეიქმნა ამით ძლიერი და მარადიული.

„ერთგულება და ერთგულებისათვის სისხლისა და პატიოსნების მსხვერპლად შეწირვა თვით უკეთური და სახიფათო საქმისათვის“: ამა მოძღვრებით აიძულებდა თავს მესამე ხალხი და ესე თავის იძულებით გაივსო იგი და დამძიმდა დიდის იმედებით.

ჰეშმარიტად, ძმავო, ადამიანთ თვით შექმნეს ყოველი თვისი სიქველე და ბოროტება. ჰეშმარიტად იგი არავისგან აულიათ, არ უბოვნიათ, არ ჩამოვარდნილა იგი ვით ხმა ზეცით.

ადამიანმა დასდო ფასი საგნებს თვისი დადგინებისათვის, — პირველად შექმნა საგნების აზრი, ადამიანის აზრი. ამად ეწოდება მას „ადამიანი“, ეს არს: ფასმდებელი.

ფასდება ქმნა: ისმინეთ ესე მმქმედნო! თვით ფასდება ყოვლის ფასდებულის ფასი და სამკაული.

ფასდებით იქმნება ღირებულება: და უფასდებოდ ყოფის კაკალი ფუჭე იქნებოდა. ისმინეთ ეს თქვეს, მმქმედნო!

ღირებულებათა ცვალებადობა — მმქმედთა ცვალებადობაა. მარად შემუსრავს, რომელს მქმედობა მართებს.

პირველად მმქმედი ხალხი იყო და მხოლოდ შემდეგ კერძონი; ჰეშმარიტად, კერძო კვლავ უფროსად ახალგაზრდაა ქმნილებათა შორის.

ხალხი აღიგებდა ოდესღაც ფიცარს თვისი სიქველისა. სიყვარული, რომელს ხელმწიფება სწადიან, და სიყვარული, რომელს მორჩილება სწადიან, ერთად აღაგებდა თავისთავის ამ ფიცართ.

სიყვარული ჯოგისადმი უფრო მოხუცია, ვიდრე სიყვარული „მესადმი“: და მხოლოდ ვიდრე კეთილსინდისიერება ჯოგია, ბოროტსინდისიერებას „მე“ ეწოდება.

ჰეშმარიტად, გაიძვერა „მე“, უსიყვარულო, რომელი ეძიებს სარგებელს მრავალთა სარგებლობაში, ჯოგის დასაბამი არ არის, არამედ მისი წარხდომა.

მოსიყვარულენი ჰქმნიდნენ მარად, მათ ჰქმნეს სიქველე და ბოროტება. ცეცხლი სიყვარულისა ვარვარებს სიქველეთა სახელებზე და ცეცხლი რისხვისა. მრავალი ქვეყანა ინახულა ზარატუსტრამ, და მრავალი ხალხი: არა ხელ-



მწიფება აღმოუჩენია ზარატუსტრას სოფელსა ზედა, უფროს მოსიყვარულეთა საქმისა: „სიქველე“ და „ბოროტებაა“ სახელი მათი.

ჭეშმარიტად, საშინელია ხელმწიფება ამა ქებისა და კიცხვისა. მითხარით, ძმანო, ვინ დამიძღვეს მას? მითხარით, ვინ დაადებს ხუნდებს ამ საშინელებისათას კისერს?

ათასი მიზანი არსებობდა დღემდე, რადგან ათასი ხალხი ჰვიებდა. კვლავ გვაკლია ხუნდები ამ ათას კისრისათვის, გვაკლია ერთი მიზანი.

ხოლო მითხარით, ძმანო: უკეთუ კვლავ მიზანი არა ჰვიებს კაცობრიობისათვის — ჰვიებს ესე თვით? —

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

მომხმის სიყვარულისათვის

ეხუტებით მოყვართ და ამისათვის კეთილ სიტყვებს ჰპოვებთ. ხოლო გეტყვით თქვენ: თქვენი სიყვარული მომხმისადმი თქვენდამივე უკეთური სიყვარულია.

თქვენს თავს ელტვით მოყვასისადმი და ამით გასურთ შეიქმნათ სიქველე: ხოლო მე განვსჭვრეტ თქვენს „თავისდებას“.

„შენ“ უფრო მოხუცია ვიდრე „მე“; „შენ“ აღიარებულია წმიდათა წმიდათ, ხოლო კვლავ „მე“ არა: ამად ეხუტება ადამიანი მოყვასს.

მოგიწოდებთ მომხმის სიყვარულისათვის? უფრო მოგიწოდებთ მომხმისაგან ლტოლვასა და შორეულის სიყვარულისადმი!

მომხმის სიყვარულზე მაღალია სიყვარული შორეულისადმი და მყობადისა; და ადამიანთა სიყვარულზე ჩუჩოვის მაღალია სიყვარული საგანთა და ლანდებისადმი.

ლანდი თან რომ გსდევს, ძმაო, უფრო ლამაზია ვიდრე შენ; რად არ შეასხავ მას შენს სხეულს და ძვლებს? ხოლო გეშინის და ილტვი მომხმისადმი.

ვერ რიგდებით ერთმანეთ შორის და არა საკმარისად გიყვართ ერთმანეთი: ამად გასურთ აცდინოთ მოძმე თქვენდამი სიყვარულისათვის და შევარაყდეთ მისი შეცდომითა.

გისურვებთ ვერ მოგვარებულყვეთ ყოველგვარ მოძმესთან და მეზობელთან; ამით თქვენ თვით თქვენი თავიდან შექმნიდით მეგობარს და მის აღვსილ გულსა.

მოუწოდებთ მოწმეს, ოდეს გასურთ თავის ქება; და ოდეს დააჯერებთ მას თქვენთვის კეთილ იფიქროს, თვით იწყებთ კარგის ფიქრს თქვენი თავისათვის.

სიცრუეს იტყვის არა მხოლოდ იგი, რომელი თვისი მეტყვების წინააღმდეგ მეტყველებს, არამედ უფროსად იგი, რომელი თვისი უმეტყვების წინააღმდეგ იტყვის. და ესე ეტყვი თქვენთვის მეზობელს და ატყუებთ მას თქვენთვის.

ესე იტყვის რევენი: „ადამიანთან ურთიერთობა ხასიათს აფუტებს, უფროსად როდეს იგი არა გაქვს“.

ვიეთი მიდის მეზობელთან, რათა თავი ეძიოს, ვიეთი, რათა თავი დაჰკარგოს. თქვენი უკეთური სიყვარული თავისადმი ჰქმნის თქვენ მარტობას საპყრობილედ.

შორეულნი არიან, რომელნი განიღებენ მომხმისადმი თქვენი სიყვარულისათვის; და ოდეს ხუთნი მოიყრით თავს, მარად მეექვსეს სიკვდილი მოელის.

არ მიყვარს თქვენი ზეიმიც: მრავალი მსახიობი მინახავს ამ დროს და თვით მაყურებელნიც ხშირად მსახიობთაებრ იგროხებოდნენ.

არა მოყვასისას გასწავით, არამედ მეგობრისას. იყოს მეგობარი ზეიმი მიწისა და წინაგრძნობა ზეკაცისა.

გასწავით მეგობრისას გულით სავსისას. ხოლო ჯერ არს იყო ღრუბელი, ოდეს გასურს სიყვარული აღდისილი გულისა.

გასწავით მეგობრისას, რომელს მოაქვს სრულქმნა სოფლისა და სასმისი სიკეთისა, — მქმნელი მეგობრისას, რომელი მარად მზადაა მოსანიჭებლად სრულქმნილი სოფლისა.

და ვით სოფელი მბრუნავი მის შორის განიყრება, ესრედ გრკალად მბრუნავი მის შორის კვლავ შეიყრება — ვით ყოფა სიქველისა ბოროტებით, ვით ყოფა მიზნისა შემთხვევით.

მყობადი და შორეული იყოს მიზეზი შენი დღეისა: შენს მეგობარში გიყვარდეს ზეკაცი, ვით შენი მიზეზი.

ძმანო, არ გირჩევთ მოძმის სიყვარულს: გირჩევთ სიყვარულს შორეულისას.

ესე იტყოდა ზარატუსტრა.

(გაგრძელება იქნება)

გერმანულიდან თარგმნა მერიკლე ტატიშვილმა

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოხოქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბილის, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის სამდივლი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ჟურნალ „მეცნიერებათა“)

სარედაქციო კოლეგია

6144/208



ფასი 85 კაპ.

ინდექსი 76195